წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასკომის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დღიური

- მუსოლინი დაინიშნა პროფკავშირთა საქმეების მინისტრად.
- ამუნდსენის დირიჟაბლი ვადზედან შპიცბერგენისაკენ გადაფრინდა.
- ესპანეთ-საფრანგეთის მოლაპარაკება რიფელებთან შეწყდა.
- ედო ფიმენის სიტყვით ბულგარეთში, სასტიკი თეთრი ტერორია გამეფებული.
- ჰელსინგფორსში გაიხსნა ფინეთის პროფკავშირთა ყრილობა.
- ფრანკის კურსი კვლავ ეცემა.
- ხელი მოაწერეს ოსმალეთ-სპარსეთის ხელშეკრულებას ურთიერთ ნეიტრალიტეტის შესახებ.

შაბათი, 8 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 102 (1557)

ინგლისის ამბები და ბრძოლა მთლიანობისათვის

რაც დღე გადის, გაფიცვის ტალღა იზრდება და მთელ ინგლისს ედება. პირველ დღეებში გაფიცულებს ემატებიან ახალ-ახალი რაზმები. მოსალოდნელია ქვეყნის მთელი სამრეწველო ცხოვრების შეჩერება. საყოველთაო გაფიცვა ხორციელდება ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით. ინგლისის მუშათა კლასის სოლიდარობამ, ბრძოლის ნებისყოფამ და დარაზმულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ამავე დროს ისტორიას არ ახსოვს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის ისეთი იშვიათი დემონსტრაცია როგორის მოწმენი ამჟამად ვართ. ყველა ქვეყნის პროლეტარებს კარგად ესმით, რომ დღეს ინგლისში გაჩაღებულ ბრძოლას აქვს უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობა, რომ ამ ბრძოლის გამარჯვება თუ დამარცხება მათი გამარჯვება თუ დამარცხებაცაა.

ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო მუშათა კლასი მხურვალე თანაგრძნობით გამოეხმაურა თავის ინგლისელ ძმებს. ეს თანაგრძნობა არ არის მარტო მორალური ხასიათის. სხვა ქვეყნების მუშები მზად არიან აქტიური დახმარება აღმოუჩინონ ინგლისელ ამხანაგებს. ამ მხრივ უკვე იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები. შეწყვეტილია ნახშირის მიწოდება ინგლისისათვის, რომ გაფიცვა არ შეფერხდეს. გაფიცულთა ნივთიერ უზრუნველყოფისათვის დაწყებულია თანხების გაღება და შეწირულებათა შეგროვება.

საგულისხმო ის არის, რომ კლასობრივი სოლიდარობის და მთლიანობის სული გამომდინარეობს მუშათა ქვედაფენებიდან. ეს სოლიდარობა ატარებს მასიურ და სტიქიურ ხასიათს. მუშების ასეთ სულიერ განწყობილებას მათი ზედაფენები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ. [illegible] წინააღმდეგ გალაშქრებას დღეს[illegible] ვერ ბედავენ მუშათა კლასის პროფესიონალური მოღალატეები. მისი მემარჯვენე ხელმძღვანელები. ინგლისის მუშათა მოძრაობის რეფორმისტ ბელადები, თვით ამსტერდამის მესვეურებიც კი სიტყვიერად მაინც ჯერჯერობით მხარს უჭერენ გაფიცულებს და დახმარებას პირდებიან.

მაგრამ ამასთან ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამსტერდამი და სოციალ-დემოკრატია გაურბიან ერთიანი ფრონტის შექმნას წითელ პროფინტერნთან და კომუნისტებთან. როგორც ვიცით, გასულ თვეში, როცა ინგლისში ორივე მხარე გახურებულ [illegible] ბრძოლისათვის. პროფინტერნის ბიურომ წინადადებით მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალს ინგლისის მუშებისათვის საერთო ძალებით დახმარების მოწყობის შესახებ. ამსტერდამის გაერთიანების მეთაურებმა ეს წინადადება უარყვეს. გაფიცვის გამოცხადების შემდეგ დასავლეთის ქვეყნების კომუნისტები ასეთივე წინადადებას აძლევენ სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ უკანასკნელნი აჭიანურებენ ამაზე პასუხის გაცემას და ერთიან ფრონტს საბოტაჟს უცხადებენ. პროფინტერნის აღმასბიურო ხელმეორედ მოუწოდებს ამსტერდამს, რომ გაერთიანებულ იქნას ორივე ინტერნაციონალის ძალები და მათი მომხრე ორგანიზაციები ინგლისის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარებლად და მხარის დასაჭერად.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობის მთლიანობისმტრები თუნდა ეხლაც, როცა ინგლისში უაღრესი მნიშვნელობის ამბები ხდება, შესცვლიან თავის წინანდელ პოლიტიკას ამ დარგში. მათ ეშინიათ, რომ რევოლიუციონურ პროფორგანიზაციებთან და კომუნისტებთან გაერთიანება ინგლისის პროლეტარიატისადმი დახმარების საქმეში კომუნისტებს ჩაუგდებს ხელმძღვანელობას.

გარდა ამისა, რეფორმისტებს ეშინიათ იმისიც, რომ ვაი თუ ამ შემთხვევაში ერთიანი ფრონტის განხორციელებამ ევროპის კონტინენტის მუშათა კლასი გადააცდინოს იმ ფარგლებს, რომლებსაც უსაზღვრავენ მას ამსტერდამის მეთაურები, ე. ი. ჯერ ერთი, ამ მუშათა კლასის სოლიდარობამ და დახმარებამ ინგლისელ მებრძოლებისადმი არ მიიღოს უფრო ფართე და გადაჭრილი ხასიათი, ვინემ ეს მათ დასაშვებად მიაჩნიათ; მეორე, დასავლეთის მუშათა კლასმა ერთიანი ფრონტის გატარება არ გამოიყენეს თავისი საკუთარი მიზნებისათვისაც, თავისი ძალების დასარაზმავად „მშობლიური" კაპიტალისტების და მათი დამქაშების წინააღმდეგ.

ინგლისის პროლეტარიატის ეხლანდელი გრანდიოზული ბრძოლა უკარნახებს მსოფლიო მუშათა კლასს თავის რიგების შემჭიდროებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ინგლისის ბურჟუაზიის და ამ შემთხვევაში მის გვერდით მდგარ საერთაშორისო ბურჟუაზიის დამარცხება. განცალკევებული გამოსვლები შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს. საჭიროა მოქმედების კომიტეტების შექმნა, მუშათა ყველა ძალების გაერთიანება, მიუხედავად პარტიული მიმართულების სხვადასხვაობისა.

სოციალ-დემოკრატიის და ამსტერდამის მესვეურებს ეს არ უნდათ. ეხლაც უარყოფენ ისინი ერთიან ფრონტს. მაგრამ ინგლისის ამბებმა მოძრაობაში მოიყვანა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი. მასიური ლტოლვა მთლიანობის აღდგენისადმი უფრო გაძლიერდა მასში. მიუხედავად რეფორმისტ-ბელადების საბოტაჟისა, ინგლისის მუშათა კლასის ეხლანდელი ბრძოლა და მით გამოწვეული საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობის გაძლიერება შეიქნება უდიდეს ფაქტორად მთლიანობის მისაღწევად, და ეს არა მარტო ინგლისის მუშებისადმი დახმარების საკითხში, არამედ გაცილებით უფრო ფართე მასშტაბით.

ბრძოლა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ინგლისის ამბები ბუნებრივად ვითარდებიან, ინგლისის მრავალმილიონიანი პროლეტარიატი განაგრძობს გაფიცვას. საყოველთაო გაფიცვას მთელი მსოფლიო გაფაციცებით თვალყურს ადევნებს. ინგლისი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს ამბების ასპარეზს, იმ ამბების, რომლის ერთი საათი ერთ წელიწადს უდრის. გაფიცვის პირველი დღეები მოწმობენ, რომ ინგლისელ მუშებს აქვთ შესანიშნავი ნერვები, რომელნიც საუცხოვოდ უძლებენ გიგანტიურ, ინგლისის ისტორიაში გაუგონარ აბობოქრებას. კიდევ მეტი, ინგლისიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ბრძოლისაკენ მიისწრაფვიან ინგლისის მუშების ახალი ფენები, მებრძოლთა ახალი რიგები, ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს გამზადებული, დარაზმული, ჰყავს მუშების ახალი რაზმები, რომელნიც მოულოდნელად მოელიან მოწოდებას გამოსვლისათვის. მუშების ახალმა ნაწილმა აღარ დაუცადა ხელმძღვანელთა განსაკუთრებულ მოწოდებას და სტიქიურად მიატოვა მუშაობა. გაფიცვა დღითი დღე ფართოვდება. მესამე დღეს მუშაობა შეწყვიტეს მანქანების საამშენებლო ქარხნების მუშებმა, ხოლო გუშინ კი—ელექტრონის სადგურების და გემების საამშენებლო ქარხნების მუშებმა. შემდეგში ეკონომიურად აუცილებელი გახდება მეურნეობის იმ დანარჩენ დარგების შეჩერება, რომელნიც წარმოების მხრივ გაფიცულ დარგებზე არიან დამოკიდებული.

გაფიცვის გაფართოვებასთან ერთად საგრძნობლად მწვავდება მხარეების დამოკიდებულება. გახშირდა გაფიცულთა შეტაკება შტრეიკბრეხერებთან. თვით შეტაკებები სულ უფრო და უფრო მღელვარე ხასიათს ღებულობენ. მთავრობა ცდილობს უტიფრად ბურთი ჩასჩაროს პირში მუშურ პრესას და დაუმორჩილოს ის „სკოტლან-იარდის" ბნელ სუბიექტების კონტროლს.

მეორეს მხრივ სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ის ფაქტი, რომ გაფიცულ პროლეტარების და თვით გენერალურ საბჭოს ზურგს უკან მზადდება ღალატი.

კლასობრივ მტრებთან თავგანწირულ შეჯახების დროს, როცა გაფიცვას უერთდებიან ასი ათასობით ახალ-ახალი მუშები, როცა მთავრობა გასაქანს არ აძლევს მუშურ პრესას, როცა პოლიციელები სცემენ გაფიცულებს, იმ დროს, როცა ყველაზე უფრო საჭიროა გაფიცულთა მთლიანობა და გამძლეობა, სწორედ ამ დროს—მაკდონალდის ტიპის „კეთილმოსურნე ხანჯები" რაღაც საეჭვოდ უჩურჩულებენ ჩერჩილებს, ლოიდ-ჯორჯებს და იმ ვაჟბატონებს, რომლებმაც გაფიცულები „ერის მტრებად" გამოაცხადეს. მაკდონალდებმა გაფიცვის მესამე დღესვე დაამტკიცეს, რომ მათ ბევრი რამ სხვა შეუძლიათ, მხოლოდ მებრძოლ პროლეტარიატის რიგების ინტერესების დაცვა კი არა.

ეხლა უკვე არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ინგლისში კლასთა ბრძოლას თანდათან ემჩნევა პოლიტიკურ ბრძოლად გადაქცევის ტენდენცია. ეს, შესაძლოა, არც კი ჰქონდათ წარმოდგენილი მებრძოლ მასებს და მათ ხელმძღვანელთ. მაგრამ ეს უეჭველად ასეა და შემდეგში ვერავითარი ხელოვნური ზომები ვერ შეაჩერებენ გაფიცვას წმინდა პროფესიონალური ბრძოლის პროკრუსტოს სარეცელზე. თვით ბალდუინის მთავრობამ გამოიწვია პოლიტიკურ ბრძოლაში მუშათა კლასი, რომელმაც გაფიცვა გამოაცხადა. თვით ბალდუინის მთავრობამ განაცხადა, რომ საყოველთაო გაფიცვას ის უკანონოდ სთვლის, ის არის ანტიკონსტიტუციონური, მიმართულია არსებულ პოლიტიკურ საფუძვლების წინააღმდეგ და წარმოადგენს ორუფლებიანობის უხეშ გამოხატულებასო. შემდეგ თვით ბალდუინის მთავრობა დღითი დღე ისე იქცევა, როგორც გაფიცულ მუშებზე შურისმაძიებელი მთავრობა. თუ ინგლისის პროლეტარებს სწადიათ ამ სახელოვან ბრძოლაში გამარჯვების მოპოება, მათ აუცილებლად უნდა მიიღონ ეს გამოწვევა. მათ უნდა იბრძოლონ ინგლისში მუშათა მთავრობის შესაქმნელად. ასეთია ბრძოლის რკინის ლოღიკა, რომლის გვერდის ახვევა შეუძლებელია.

საერთაშორისო პროლეტარიატი მოვალეა თავისი ძალების დაუზოგავად დაეხმაროს ინგლისელ მუშებს. ყოველი მხრიდან მოდის ცნობები, რომ ინგლისის მუშათა გაფიცვის მხარეზეა ყველა ქვეყნის პროლეტართა რაზმების მხურვალე თანაგრძნობა. ყველა ქვეყნის პროლეტარები აშკარავებენ თავიანთ სოლიდარობას: აგროვებენ შემოწირულებას, უარს ამბობენ ინგლისში გადასაგზავნ ტვირთების გადაზიდვაზე, არ ბეჭდავენ ინგლისურ კონსერვატიულ გაზეთებს კონტინენტზე, ღებულობენ ყოველივე ზომებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ დახმარების გაწევას ინგლისის ბურჟუაზიისათვის გარედან.

ინგლისის მუშების დახმარებას ჩქარობენ საბჭოთა კავშირის მუშებიც. დღეს გამოქვეყნებულ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მოწოდებას ინგლისელ გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ დღიური ხელფასი ერთ მესამედის გადადების შესახებ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, გამოეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანი პროლეტარები, რომელთათვის ესოდენ ძვირფასია ბრიტანელ მუშების გამარჯვება. ჩვენი ვალია დავეხმაროთ ინგლისელ ძმებს. ჩვენ შევასრულებთ ამ მოვალეობას ბოლომდე.

მოსკოვიდან ტელეგრაფით
7 მაისი.

საყოველთაო გაფიცვა ინგლისში

საერთაშორისო პროლეტარიატი ეხმარება გაფიცულთ

სტერლინგის კურსი ეცემა.—გენერალურ საბჭოს განზრახული აქვს გააფართოვოს გაფიცვა.—გაფიცულია 82 კავშირი.—თეატრები დახურულია.—მუშები სცემენ შტრეიკბრეხერებს.—აფიცრები ძალადობენ ჯარისკაცებზე.—პოლიციამ გაჩხრიკა კომპარტიის ბინა.

გაფიცვა ფართოვდება

სტერლინგის კურსი ეცემა

მოსკოვი, 7 მაისი. **მოსკოვის საქონლის ბირჟის საფონდო განყოფილების ცნობით, უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში გირვანქა სტერლინგის კურსი 1½ კაპეიკით დაეცა, ხოლო 30 აპრილის ოფიციალური ფასების მიხედვით, კურსი 2½ კაპეიკით არის დაცემული.**

აფიცრების ძალადობა

ნიუ-იორკი, 6 მაისი. 5 მაისს ზღვაში გასვლამდე 3 წუთით ადრე გემ „არამიკი"-ს კომანდა, რომელიც ინგლისში მიემგზავრებოდა, 46 კაცის შემადგენლობით, **შეეცადა გემის მიტოვებას და ნაპირზე გადასვლას.** მაგრამ გემის აფიცრებმა მოასწრეს კიბეების აწევა და გემის ნაპირიდან დაშორება.

ლონდონი, **6 მაისი. პორტსმუტიდან ლონდონში გასულ სამხედრო მატარებლის მემანქანემ მიატოვა ორთქლმავალი, რის გამოც ეშელონის აფიცრები იძულებული შეიქნენ თვითონ წაეყვანათ მატარებელი.**

გაფიცვის გაფართოვების საკითხი

ლონდონი, **6 მაისი. 5 მაისს პროფკავშირთა გენერალური საბჭო იხილავდა საკითხს გაფიცვის შემდეგი გაფართოვების შესახებ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის გამოტანილი.**

სარწმუნო წრეები ფიქრობენ, რომ 7 მაისს გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ელექტრო-სადგურების მუშები, რის გამოც შეუძლებელი გახდება მოძრაობის აღდგენა ქალაქის რკინისგზებზე და აგრეთვე შეწყდება მუშაობა იმ წარმოებებში, რომელნიც ელექტრონის ენერგიით მუშაობენ.

ადვილი შესაძლებელია აგრეთვე, რომ გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებენ ბამბის მრეწველობის მუშები.

კრეისერი და გამანადგურებლები

ლონდონი, 6 მაისი. კარდიფში **მოვიდა მსუბუქი კრეისერი. მდინარე მერსიზე, ლანკაშირის საფეიქრო და საქვანახშირო რაიონში, მოვიდა ორი გამანადგურებელი.**

ქვე-კომისიები

ლონდონი, 6 მაისი. საგაფიცვო ორგანიზაცია თანდათან მტკიცდება. გაფიცვის ხელმძღვანელმა პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ გამოჰყო ხუთი ქვეკომისია: ტრანსპორტის და კავშირის, ინფორმაციის, სასურსათო, ინსტრუქციების და საფინანსო. **გენერალური საბჭო ოფიციალურად იუწყება, რომ საორგანიზაციო მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. საბჭო იმეორებს თავის პირვანდელ მოწოდებას მუშებისადმი: „იყავით მტკიცე და დაიცავით წესრიგი".**

თემთა პალატაში

ლონდონი, 6 მაისი. თემთა პალატაში განახლდა კამათი განსაკუთრებულ მდგომარეობის შესახებ. მუშათა პარტიის წევრმა **ბატეიმ** ბრალი დასდო მთავრობას მაღაროს მეპატრონეთა მფარველობაში და განაცხადა, რომ მთავრობას ხელს უწყობს მაღაროს მუშები სიმშილის საშუალებით.

„თუ რომელიმე მწარმოებელი—განაცხადა **ბატეიმ**, შეეცდება განაახლოს მუშაობა შტრეიკბრეხერების საშუალებით, იმ შემთხვევაში აუცილებლად დაიწყება მღელვარება".

მთავრობის სახელით გენერალურ პროკურორმა **ხოგმა** განაცხადა:

უკვე მარტო ის გარემოება, რომ ხალხს აკრძალული აქვს იმუშაოს თავის საქმეზე, ვინაიდან ეს არ სურთ პროფკავშირთა ორგანიზაციებს, მარტო ეს სავსებით ამართლებს მთავრობის იმ განკარგულებებს, რომელთაც ჩვენ ეხლა ვიხილავთ".

მუშათა პარტიის წევრმა **ჯეკ ჯონსმა** განაცხადა.

„თუ მთავრობის წარმომადგენლებმა ასეთი ენით დაიწყეს ლაპარაკი, მაშინ მუშათა პარტიას შეუძლია კიდევ უფრო დიდი ნაბიჯი გადასდგას. თუ ომზეა ლაპარაკი, ჩვენ მზადა ვართ".

ერთი კვირის შემდეგ

ლონდონი, 6 მაისი. პარლამენტის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა მუშათა პარტიის წევრმა ბორდი ჯონსონმა, რომელმაც განაცხადა, **რომ ერთი კვირის შემდეგ მრეწველობის არც ერთი დარგი არ იმუშავებს, გარდა იმ წარმოებებისა, რომელთაც ექნებათ ნებართვა აღებული პროფკავშირთა გენერალურ საბჭოსაგან.**

პარლამენტმა 291 ხმის უმრავლესობით 26-ის წინააღმდეგ უარყო მუშათა პარტიის შესწორებები რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულ იქნა განსაკუთრებული მდგომარეობის გამოცხადების გამო.

შეტაკება შტრეიკბრეხერებთან

ლონდონი, 6 მაისი. ცდამ, რათა განეახლებიათ ავტობუსების და ტრამვაის მოძრაობა შტრეიკბრეხერების დახმარებით, **გამოიწვია შეტაკებები ნიუკესტლში, ჩესტერში, ლიდსში, ჰულში, ბირმინგამში, ბარნსლეში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში და აგრეთვე ლონდონის შემდეგ რაიონებში:** ვოლვორტში, კემბერველში, პოპლარში, ვესტგემში, გამერსმიტში, ბეტნალში, გრინში, პადინგტონში, კინგსკროში, ბორდიჩში და ბოლტემსტეუში. ლიდსში დატუსაღებულია 30 მდე კაცი, ბორდიჩში—50. ბორდიჩში დაპატიმრებულთ მიუსაჯეს ციხე სხვადასხვა ვადით 7 თვემდე.

პოპლარის ნავთსადგურში შეტაკების დროს დაიჭრა 3 კაცი. კემბერველში დაიჭრა 4 პოლიციელი.

გაფიცულია 82 კავშირი

ლონდონი, 6 მაისი. გენერალურ საბჭოს ცნობით მთლიანად ან ნაწილობრივ გაფიცული არიან შემდეგი კავშირები: 9 კავშირი სამთო-მადნო მუშათა ფედერაციიდან, 3—რკინისგზელთა, 6—ტრანსპორტის სხვა დარგებიდან, 3—გემების აღმშენებელთა, 21—მანქანების აღმშენებელთა, ჩამომსხმელთა და სხვ., 9—რკინის და ფოლადის მრეწველობიდან, 13—აღმშენებელ მუშათა, ხის დამმუშავებელთა და დგამის მკეთებელთა, 2—მბეჭდავთა და ქაღალდის მრეწველობის მუშათა 2—განმანაწილებელ ორგანიზაციების მუშათა, 1—საზოგადოებრივ დაწესებულებების მოსამსახურეთა, 3—კავშირი შავ მუშათა. სულ გაფიცულია 82 კავშირი. არ მუშაობენ ასეული ათასი დაურაზმავი მუშები, რადგან კვალიფიციური მუშები გაფიცული არიან.

თეატრები დახურულია

ლონდონი, **6 მაისი. ლონდონში დაიხურა 8 ყველაზე დიდი თეატრი.**

„ნეიტრალური ადგილი"

ლონდონი, 6 მაისი. ლონდონის ეპისკოპოსმა წინადადება მისცა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს აირჩიოს მისი სასახლე, როგორც ნეიტრალური ადგილი, მოლაპარაკების გასამართავად.

შოფერები შეუერთდენ

ლონდონი, **6 მაისი. ლონდონში შოფერები შეუერთდენ გაფიცვას.**

ისევ მაკდონალდი

ლონდონი, 6 მაისი. 6 მაისს შეუმოწმებელი ხმების თანახმად, რომელთაც სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, **ბალდუინმა მაკდონალდი მოსალაპარაკებლად მიიპატიჟა გაფიცვის შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ.**

არავითარი ნიშნები

ლონდონი, **6 მაისი.** **რეიტერის სააგენტოს ცნობით, არ არსებობს არავითარი ნიშანი, რომ განახლებულ იქნება მოლაპარაკება. ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ ხელ-მეორედ განაცხადა, რომ ის მზად არის განაახლოს მოლაპარაკება, მაგრამ, სააგენტოს სიტყვით, არაფერი არ მოწმობს იმას, რომ ის მზად არის დაემორჩილოს მთავრობის პირობებს, რომელიც მოითხოვს, რომ პირველ რიგში შეწყვეტილ იქნეს გაფიცვა.**

ენერგიის მიწოდება

ლონდონი, 6 მაისი. გენერალურმა საბჭომ ნება დართო მიეცეს ელექტრონის ენერგია განათებისათვის სახლებს, ქუჩებს, მაღაზიებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომლებიც ამზადებენ სურსათ-სანოვაგეს, როგორც მაგალითად ფურნეებს, საბულკეს და სხვა. **სამრეწველო წარმოებისათვის ენერგიის მიწოდება აკრძალულია.**

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 6 მაისი. საფრანგეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება:

„ბოლდუინმა ინგლისის პარლამენტში გაფიცვა დაახასიათა, როგორც კლასთა ბრძოლა. **საყოველთაო გაფიცვა არის პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.** ინგლისის მრეწველების შეტევა მიმართულია არა მარტო ინგლისის სამთა-მადნო მუშების, არამედ მთელი მსოფლიოს მუშების წინააღმდეგ. **საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ჩეხია-სლოვაკიის სამთა-მადნო მუშები მხარს დაუჭერენ ინგლისელ მუშებს მათ გიგანტურ ბრძოლაში. ინგლისის მუშების ბრძოლა გადაჭრით აყენებს საკითხს ამსტერდამის და პროფინტერნის ერთიან ფრონტის შესახებ.**

საფრანგეთის კომპარტია დაჟინებით მოუწოდებს ყველა მუშებს დასახმარებლად. რეფორმისტული კონფედერაციის მომხრე მუშები არ დაკმაყოფილდებიან უნაყოფო და ბრტყელი დეკლარაციებით სოლიდარობის შესახებ. ყველა დარაზმული და დაურაზმავი მუშები უნდა გაერთიანდენ ინგლისის სამთა-მადნო მუშების და მთელი მუშათა კლასის გამარჯვებისათვის საბრძოლველად".

გერმანიის მუშების დახმარება

ბერლინი, 6 მაისი. გერმანიის მუშათა კლასი შეუდგა ინგლისელ სამთო-მადნო მუშათა დახმარების პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას. ინგლისის ნავთსადგურში ნახშირის გატანის წინააღმდეგ გარდა სამთო-მადნო მუშათა კავშირისა და მასში შემავალ თავისუფალ პროფკავშირების გაერთიანებისა, გაილაშქრეს აგრეთვე სამთო-მადნო მუშების ქრისტიანულმა. გირშ-დუნკერის და პოლონელ მუშათა კავშირებმა.

ჰამბურგის ნავთსადგურის მტვირთავთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება არ შეასრულონ ისეთი მუშაობა, რომელიც ხელს შეუშლის ინგლისელ მუშების გაფიცვას. გადასატვირთავ პუნქტებში დაგროვდა ინგლისში გასაგზავნ ტვირთების დიდი რაოდენობა, ვინაიდან შეუძლებელია ამ ტვირთების გადაგზავნა დანიშნულებისამებრ.

გაფიცვის მტერთა ბანაკში

შტრეიკბრეხერებს სცემენ

ლონდონი, 6 მაისი. ინციდენტებს ადგილი აქვს მხოლოდ გზებზე. ლონდონში სამშაბათს და ოთხშაბათს აღელვებულმა ბრბომ დასწვა რამდენიმე ავტობუსი.

კემბერველში ბრბო თავს დაესხა ტრამვაის ვაგონს, მაგრამ ცხენოსანმა პოლიციამ გაჰფანტა თავდამსხმელები.

ბრაიტონში ავტობუსების 4 შტრეიკბრეხერ-შოფერს თავს დაესხენ. შტრეიკბრეხერებს სასტიკად სცემეს.

ასეთივე ცნობები მოდის თითქმის ყველა ქალაქებიდან.

საკლატვალას დასჯა

ლონდონი, 6 მაისი. ინგლისის თემთა პალატის დეპუტატს კომუნისტ საკლატვალას მიუსაჯეს 2 თვის ციხე იმ სიტყვისათვის, რომელიც მან წარმოსთქვა ჰაიდ პარკში.

საკლატვალას წინადადება მისცეს დაედვა პირობა, რომ ის გამოიჩენს „კარგ ყოფაქცევას", რის უზრუნველსაყოფად მას უნდა შეეტანა 500 გირ. სტერლინგი. საკლატვალამ უარი განაცხადა ასეთი ვალდებულების მიცემაზე, რამაც გამოიწვია ზემოდ აღნიშნული განაჩენის გამოტანა.

ჩხრეკა კომპარტიის ბინაზე

ლონდონი, **6 მაისი. 6 მაისს პოლიციამ გაჩხრიკა კომუნისტების ბინა.**

შეტაკება ედინბურგში

ლონდონი, **6 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 5 მაისს ღამით ედინბურგში მოხდა შეტაკება რამოდენიმე ათას გაფიცულებსა და პოლიციას შორის. ბრბომ ქვები და ბოთლები დაუშინა პოლიციელებს. ხუთი პოლიციელი და რამდენიმე მუშა გაგზავნილ იქნა საავადმყოფოში. დატუსაღებულია 5 კაცი.**

რეიტერის სიყალბე

ლონდონი, 6 მაისი. რეიტერის სააგენტო ავრცელებს ხმებს, თითქოს მთავრობა წარმატებით და ნაყოფიერად ებრძვის გაფიცვას.

რეიტერის ერთ-ერთ დეპეშაში მოყვანილია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რკინისგზის სამმართველოს ცნობა, რომ ამ გზაზე, თითქოს, დადის 500-ზე მეტი მატარებელი; ცნობაში აღნიშნულია, რომ მატარებლებში მუშაობენ მოხალისეები. სააგენტო იუწყება, აგრეთვე, რომ ექსპრესი „მფრინავი შოტლანდელი", რომელიც მუშაობს ლონდონსა და ედინბურგს შუა, ხვალ განაახლებს მოძრაობას და რომ შაბათს მოტორიანი გემი „პაკსტენი" ესბერგში წავა მგზავრებით, რომლებიც მიემართებიან სკანდინავიისა და სხვა ქვეყნებში.

სასაცილო ტრაბახი

ლონდონი, 6 მაისი. მთავრობა თავის ცნობებში აღნიშნავს, რომ 5 მაისს გაგზავნილ იქნა 334 მატარებელი. ეს ციფრი მეტად უმნიშვნელოა, რადგან ნორმალურ დროს სახელმწიფოში მუშაობს რამოდენიმე ათი ათასი მატარებელი. გარდა ამისა ოფიციალურ ცნობებში აღნიშნული ციფრი ხელოვნურად გადიდებულია. ყველა მნიშვნელოვანი საბარგო დეპოები დაკეტილია. რკინის გზის სამი კავშირის წევრები გაფიცული არიან ყველანი ერთ კაცამდე. მთავრობის ტრაბახი, რომ მან შესძლო ნაწილობრივი მოძრაობის აღდგენა, სასაცილოა.

შტრეიკბრეხერები უძლური არიან

ლონდონი, 6 მაისი. პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს ორგანო „ბრიტანეთის მუშა", უკეთებს რა ჯამს შექმნილ მდგომარეობას, სწერს:

„მთავრობის ცნობები აღნიშნავდენ, რომ განახლდა რამოდენიმე ავტობუსის და რამოდენიმე სამგზავრო მატარებლის მოძრაობა. **მაგრამ მაღაროები არ მუშაობენ, საქონლის გადაზიდვა არ სწარმოებს, ნავთსადგურები დახურულია, ფაბრიკები იხურება. შტრეიკბრეხერების ორგანიზაციას არ ძალუძს მათი ამუშავება. ეს შეუძლიათ მხოლოდ ორგანიზაციულად დარაზმულ მუშებს.** უკანასკნელი კი ამაზე არ დათანხმდებიან მანამ, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილებები".

სრული სიყალბე

ლონდონი, 6 მაისი. გაზეთ „დეილ მეილმა", რომელიც დაბეჭდეს პარიზში საფრანგეთის შტრეიკბრეხერებმა—ფაშისტებმა, გაავრცელა ხმები, თითქოს მაკდონალდი, სმიტი, კუკი და პროფკავშირების სხვა ლიდერები შეეცადენ 5 მაისს გამონახათ შეთანხმების ფორმულა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ განახლდებოდა მოლაპარაკება სამთო-მადნო მუშებსა და მწარმოებლებს შორის. თუ მაღაროს მეპატრონეები უარს იტყოდენ ლოკაუტზე, იმ შემთხვევაში, თითქოს, პროფკავშირების ლიდერებს შესაძლოდ მიაჩნდათ მოლაპარაკების დაწყება მეფის სანახშირო კომისიის მოხსენების საფუძველზე.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში კუკმა განაცხადა, რომ მთელი ეს ისტორია სრული სიყალბეა და რომ სამთო-მადნო მუშების ფედერაცია ძველ პოზიციაზე სდგას.

გლაზგოს ჟურნალისტები

ლონდონი, **6 მაისი. გლაზგოდან მიღებული ცნობების თანახმად, ადგილობრივ ჟურნალისტების კავშირმა დაადგინა არ ითანამშრომლოს იმ გაზეთებში, რომელიც შტრეიკბრეხერების დახმარებით გამოდის.**

გაფიცვის გამოძახილი

პროფორგანიზაციების თათბირი

მოსკოვი, 7 მაისი. **პროფინტერნის ბიურომ დაადგინა ახლო მომავალში პარიზში მოიწვიოს შემდეგი ქვეყნების პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი:** საფრანგეთის, ბელგიის, ჩეხო-სლოვაკიის, ჰოლანდიის და გერმანიის. თათბირის მიზანია გამომუშავებული იქნას ის ღონისძიებანი, რომელიც დაკავშირებულია ინგლისელ მუშების დახმარების საკითხთან.

საფრანგეთის შემთანხმებელთა პოზიცია

პარიზი, 6 მაისი. შემთანხმებელ პროფკავშირთა გაერთიანების წარმომადგენლებმა სამთო-მადნო მუშების რკინისგზელების, ნავთსადგურის მუშების და მეზღვაურთა კავშირებთან თათბირზე მხარი დაუჭირეს ინგლისის გაფიცულ მუშაბისათვის დახმარების გაწევას. ყველგან დაიწყო ფულების შეკრება, რაც წარმატებით მიმდინარეობს.

ჰოლანდიის ნავთსადგურებში

ამსტერდამი, 6 მაისი. როტერდამის, ამსტერდამის და სხვა ნავთსადგურების მუშები თანაგრძნობას უცხადებენ ინგლისის გაფიცულ მუშებს.

ინგლისთან მიმოსვლის შეწყვეტის გამო, როტერდამის ნავთსადგურში დაგროვილია ინგლისში გასაგზავნი დიდძალი ტვირთები.

ნორვეგია—ინგლისი

ოსლო, **6 მაისი. ნორვეგიის მთავრობამ აკრძალა ნახშირის გატანა ნორვეგიიდან.**

ნორვეგიის გემების მიმოსვლა ინგლისის ნვთსადგურებში დროებით შეწყვეტილია.

ამანათების გადაგზავნის შეწყვეტა

ბერლინი, **6 მაისი. გერმანიის საფოსტო სამმართველომ შესწყვიტა ამანათების გზავნა ინგლისში.**

ყვითლები ლაყბობენ

ბერლინი, 6 მაისი. მომავალი კვირის დასაწყისში ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმი განიხილავს საკითხს ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

საერთაშორისო სოლიდარობა

ამერიკის მუშების თანაგრძნობა

ნიუ-იორკი, 6 მაისი. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ გერნმა გაილაშქრა ინგლისის მუშების წინააღმდეგ, **ამერიკელი მუშები თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლას.**

ინგლისის შტატის სამთო-მადნო მუშათა პროფსაბჭომ ინგლისელ სამთო-მადნო მუშებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც იგი აღუთქვამს მათ დახმარებას.

მანქანების ამშენებელ მუშათა კავშირის თავმჯდომარემ ჯონსტონმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„ინგლისელი მუშები აძლევენ ამერიკელებს ბრძოლის გაკვეთილს".

პროფკავშირთა გაერთიანების ოფიციალური წარმომადგენლები გაურბიან პირდაპირ პასუხს კითხვაზე —გაუწევს თუ არა გაერთიანება დახმარებას ინგლისელ მუშებს და აცხადებს, რომ ისინი მოელიან სათანადო მოწოდებას ინგლისიდან.

მექსიკის მუშების დახმარება

მექსიკა, 6 მაისი. მექსიკის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანმა განაცხადა, რომ **მექსიკის პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ინგლისელ მუშების ბრძოლას.**

კანტონის სოლიდარობა

ლონდონი, 6 მაისი. გენერალურმა საბჭომ მიიღო თანაგრძნობის დეპეშა კანტონის მთავრობისაგან, რომელიც ფინანსიურ დახმარებას აღუთქვამს საბჭოს.

ირლანდიის პროფკავშირების დახმარება

ლონდონი, 6 მაისი. ირლანდიის პროფკავშირთა კონგრესმა აცნობა ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს, რომ იგი მზადაა შეასრულოს ყველაფერი, რასაც მას მოსთხოვენ.

ჩეხო-სლოვაკიის მუშების ხმა

პრაღა, 5 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის ყველა პროფკავშირებმა მხარი დაუჭირეს ინგლისის მუშებისათვის დახმარების გაწევას. **შეწყვეტილია ჩეხო-სლოვაკიიდან ინგლისში ნახშირის გატანა.**

ა-კ. ყველა რკინისგზელებს

ამხანაგებო!

ინგლისის მუშათა კლასი გამოვიდა. 3 მაისიდან ინგლისში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა, რომელშიაც ხუთ მილიონზე მეტი შეკავშირებული მუშა ღებულობს მონაწილეობას. გაფიცვა გამოიწვია ქვა-ნახშირის მაღაროების მეპატრონეების მტაცებლურმა მოთხოვნილებამ; მწარმოებლებმა მოითხოვეს სამუშაო ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გაგრძელება. ეს მოვლენა ისტორიულ ფაქტორს წარმოადგენს არა მარტო ინგლისის მუშათა კლასისთვის, არამედ აგრეთვე მსოფლიო პროლეტარიატისათვისაც. ინგლისის მუშათა კლასი იძულებული გახდა კაპიტალისტების იერიშზე იერიშითვე გაეცა პასუხი თავისი საარსებო ინტერესების დასაცავად. ინგლისის სამრეწველო ცხოვრება კვდება. ბურჟუაზია თავს უყრის თავის ყველა ძალებს, რომ დაამარცხოს საყოველთაო გაფიცვა. პოლიცია, ჯარები და საზღვაო ფლოტი მომზადებული ყავთ საბრძოლველად.

მაგრამ ინგლისის მუშათა კლასი მარტო არ უნდა იქნეს დატოვებული ამ ბრძოლაში. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური ინგლისის ამბებს და ყოველივე ძალღონით დახმარება უნდა აღმოუჩინოს ინგლისელ მუშებს მათ ბრძოლაში, რადგან ინგლისის მუშათა კლასის გამარჯვება საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებაა.

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს სოლიდარობის გრძნობა, რადგან ჩვენ თვითონვე გვახსოვს ძმური დახმარება ინგლისელ მუშებისაგან, როცა ისინი, სამოქალაქო ომის და სხვადასხვა ინტერვენციების დროს, ხელს უშლიდენ ინგლისის ბურჟუაზიას თეთრების არმიისათვის საომარ მასალების მიწოდებაში საბჭოთა კავშირში. ამ ჟამად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი განსაკუთრებით ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს ამ ამბებს და მან ყოველმხრივი, როგორც მატერიალური, ისე მორალური დახმარება უნდა გაუწიოს ინგლისელ მუშებს ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის პროფესიონალური ორგანიზაციები უკვე გამოეხმაურენ ამ ამბებს და მატერიალურ დახმარებას უწევენ ინგლისელ გაფიცულ მუშების ოჯახებს.

რკინისგზელები, რომელნიც მოწინავე და ბრძოლაში გამობრძმედილ რაზმს წარმოადგენენ, განზე ვერ დარჩებიან ასეთ დიდ ამბებისაგან.

თვითეული ჩვენთაგანი უნდა განიმსჭვალოს სოლიდარობის გრძნობით ინგლისელ მუშებისადმი და ძმური ხელი უნდა გაუწოდოს მათ.

ამ ბრძოლიდან ინგლისის მუშათა კლასი გამარჯვებული უნდა გამოვიდეს, ხოლო ამას ის მხოლოდ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის თანაგრძნობით და დახმარებით მიაღწევს.

თუ საერთაშორისო პროლეტარიატი მხარს დაუჭერს ინგლისელ მუშებს ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში, ბურჟუაზია დამარცხებულ იქნება, ინგლისის ბურჟუაზიის დამარცხება კი—ეს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის დამარცხებაა.

დეე ბურჟუაზიამ თავი მოუყაროს თავის უკანასკნელ ძალებს, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი თავისი შეკავშირებული მოქმედებით და ერთიანი ფრონტით დაამარცხებს ბურჟუაზიის შემოტევას.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფესიონალური კავშირი მოუწოდებს თვითეულ რკინისგზელს გამოვიდეს ინგლისელ მუშების დასახმარებლად და თავისი წვლილი შემოიტანოს გაფიცულ მუშებისა და მათი ოჯახების სასარგებლოდ.

რამდენად უფრო მეტ დახმარებას აღმოუჩენენ მთელი მსოფლიოს მუშები ინგლისის მუშებს, მით უფრო ძლიერი იქნებიან უკანასკნელნი ამ ბრძოლაში.

თვითეული მუშა-რკინისგზელის რევოლიუციონური მოვალეობაა გაიმსჭვალოს თანამედროვე მომენტის მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის შეგნებით, რომ მზად იყვეს მოწოდებისათვის: „ყველანი ინგლისელ მუშების დასახმარებლად და სულ ყველაფერი მუშათა კლასის გამარჯვებისათვის".

გაუმარჯოს ინგლისელ მუშებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სოლიდარობას!

გაუმარჯოს ერთიან მტკიცე ფრონტს შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ!

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე **საბაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **სტეპანოვი.**

საბჭოთა კავშირის დახმარება

საკავშირო პროფსაბჭოს დახმარება

მოსკოვი, **6 მაისი. 5 მაისს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს გაუგზავნა 250.000 მანეთი. გარდა ამისა 6 მაისს რამდენიმე კავშირის ცკამ დამატებით გადასდო ინგლისის სამთო-მადნო მუშათა დასახმარებლად 66.000 მანეთი.**

ლენინგრადის პროფკავშირები

ლენინგრადი, 7 მაისი. **ლენინგრადის პროფკავშირებმა გადასწყვიტეს ინგლისის სამთო-მადნო მუშების სასარგებლოდ [illegible] მანეთი.**

მოსკოვის პროფკავშირები

მოსკოვი, 7 მაისი. **მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გაუგზავნოს ინგლისის მუშებს 75.000 მანეთი.**

საბჭოთა რუსეთის ყველა კუთხიდან

მოსკოვი, 7 მაისი. საბჭოთა რუსეთის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები გაფიცულ ინგლისელ მუშებისადმი თანაგრძნობის კამპანიების ჩატარების შესახებ. **ყველა წარმოება-დაწესებულებებში ერთხმად გამოაქვთ რეზოლიუციები ინგლისის მუშებისათვის მატერიალურ დახმარების შესახებ.**

ნოვოროსიისკის ნავთსადგურში

ნოვოროსიისკი, 7 მაისი. **ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვის გამო. ნოვოროსიისკის ნავთსადგურში შესწყდა იმ გემების დატვირთვა, რომლებიც ინგლისში მიდიან.**

„ცენტროსოიუზის" დეპეშა

მოსკოვი, 7 მაისი. ცენტროსოიუზმა საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსს მიმართა დეპეშით, რომელშიც ნათქვამია:

„ვსთხოვთ ალიანსის აღმასკომს გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება ინგლისის მუშების გაფიცვის მიმართ ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ. ალიანსს არ შეუძლია პოლიტიკური ნეიტრალობის მომიზეზებით დახმარება არ აღმოუჩინოს ინგლისის პროლეტარიატს მის გიგანტიურ ბრძოლაში. მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ყურადღება კოოპერაციისაკენ არის მიმართული: მისგან მოითხოვენ, რომ მან იკისროს სურსათ-სანოვაგის მიწოდება გაფიცულთა და მათი ოჯახებისათვის. ჩვენ გვეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა და ამოცანა: ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული.

მოვითხოვთ საერთაშორისო კოოპერატიული დახმარების მოწყობას ზედმიწევნით ფართო მასშტაბით. კოოპერაციის მიერ შეკრებილი ფული პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს უნდა გადაეცეს.

გთხოვთ სასწრაფოთ აცნობოთ ჩვენი წინადადება კომინტერნის აღმასკომის ყველა წევრებს სასწრაფო გადაწყვეტილების მისაღებათ".

ინჟენერების მიმართვა

მოსკოვი, 7 მაისი. გაიხსნა ინჟინერთა და სამთა-მადნო მუშების მე-4-ე საკავშირო ყრილობა. ყრილობამ მიიღო მიმართვა გაფიცულ ინგლისელ მუშებისადმი. ყრილობამ ინჟინერების, ტექნიკოსების და სამთა-მადნო მუშების პრეზიდიუმს დაავალა შეიმუშაოს და სასწრაფოდ ცხოვრებაში გაატაროს ზომები გაფიცულ ინგლისელ მუშებისათვის მაქსიმალური მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოში

მოსკოვი, 7 მაისი. 6 მაისს გაიმართა მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს გაფართოვებული პლენუმის სხდომა, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, საგუბერნიო განყოფილების და კავშირთა გამგეობის წევრთა თანდასწრებით. ლოზოვსკის და რადეკის სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებს პროფესიონალურ კავშირთა ყველა წევრებს ინგლისის მუშებისადმი თანაგრძნობის ნიშნად გადარიცხონ დღიური ხელფასის ერთი მეოთხედი ინგლისის მუშების ბრძოლის ფონდში. გადარიცხვა უნდა გატარდეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების დადგენილებათა საშუალებით.

„ცენტროსოიუზი"

მოსკოვი, 7 მაისი. „ცენტროსოიუზის" **გამგეობამ გადასდო 10.000 მანეთი ინგლისის მაღაროს მუშების დასახმარებლად.**

ტრანსპორტის მუშების ხმა

მოსკოვი, 7 მაისი. რკინის-გზელთა, [illegible] და ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციას ამსტერდამში. დეპეშაში ნათქვამია, **რომ საბჭოთა კავშირში ნაწილობრივ გაიფიცენ მტვირთავები და მეზღვაურები იმ გემების, რომლებზედაც იტვირთება ინგლისში გასაგზავნი ტვირთები.** კავშირების ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს საერთაშორისო ფედერაციას გაერთიანებულად იმოქმედონ გაფიცულ ინგლისელ მუშების დასახმარებლად და საერთო ბოიკოტი გამოუცხადონ ნახშირის და სხვა ტვირთების გაზიდვას ინგლისში, რაც ჩაშლას უქადის გაფიცვას.

თანხების გადარიცხვის წესი

მოსკოვი, 7 მაისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოში მოდის ცნობები, რომ ინგლისში მომხდარ ამბების გამო, ზოგიერთ საკავშირთაშორისო ორგანიზაციებმა წინადადებით მიმართეს კავშირებს უკანასკნელთა საერთო საშუალებებიდან თანხები გადარიცხონ გაფიცულ ინგლისელ მუშების სასარგებლოდ.

საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ საჭირო არ არის თანხების გადარიცხვა ადგილობრივ საკავშირო ორგანოების საშუალებებიდან გაფიცულ ინგლისელ მუშების სასარგებლოდ, ვინაიდან მათ დახმარებას უწევენ პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები, რომელნიც საჭირო თანხებს თავის საშუალებებიდან სდებენ. ადგილობრივ საკავშირო ორგანოებმა კი უნდა გაჩაღონ მუშაობა ნებაყოფლობით შემოწირულებათა შესაგროვებლად კავშირების წევრთა შორის, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დადგენილების მიხედვით.

უკრაინის ქარხნებში

ხარკოვი, 7 მაისი. ეკატერინოსლავში ყველა ქარხნების მუშები ადგენენ თავისი ხელფასის ნაწილი ინგლისელ ამხანაგების სასარგებლოდ გადასდონ.

ოდესაში დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ ცნობას ინგლისში გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ქარხნებში იმართება მოძრავი მიტინგები და სტიქიური დემონსტრაციები ინგლისელ სამთა-მადნო მუშებისათვის თანაგრძნობის გამოცხადების ნიშნად.

ოდესის ნავთსადგურში

ოდესა, 7 მაისი. უცხოელი მეზღვაურები, რომელნიც ნავთსადგურში იმყოფებიან დიდ ინტერეს იჩენენ ინგლისის ამბებისადმი. მეზღვაურთა ინტერნაციონალურ კლუბში მოდიან დელეგაციები გაფიცვის ამბების გასაგებად.

ხერსონის ნავთსადგურში

ხერსონი, 7 მაისი. ხერსონის ნავთსადგურის მტვირთავებმა შესწყვიტეს ინგლისის გემის დატვირთვა. გემის კაპიტანმა დეპეშა გაგზავნა ინგლისში, რომ გემის გამოსვლა ნავთსადგურიდან შეუძლებელია.

უკრაინის მუშებისაგან

ხარკოვი, 7 მაისი. ხარკოვში უკრაინის პროფკავშირთა საბჭოსთან დაარსებულმა ინგლისის მუშათა დამხმარე ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა უკრაინის პროფესიონალურ კავშირთა ყველა წევრებმა გაფიცულ მუშების სასარგებლოდ ერთდროულად გადასდონ დღიური ხელფასის ერთი მეოთხედი

უკანასკნელი ცნობები

საგაფიცვო ლოზუნგი.

ლონდონი, 6 მაისი. კომპარტიამ წამოაყენა კიდევ ერთი საგაფიცვო ლოზუნგი: **„სამუშაო ქირის გადახდა გაფიცვის დროს, რომლისთვისაც პასუხისმგებელი არიან მწარმოებლები და მთავრობა“.**

გამოძახილი პოლონეთში.

ვარშავა, 6 მაისი. პოლონეთის პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა და პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ინგლისის მებრძოლ მუშებს და აღუთქვეს შესწყვიტონ ინგლისისათვის ნახშირის მიწოდება.

ვარშავა, 6 მაისი. ვარშავაში მიღებულ ცნობებით, დანციგში სასწრაფოთ ტვირთავენ გემებს პოლონეთის ნახშირის ინგლისში გასაგზავნათ.

გაფიცულებს 2 მილიონი მანეთი.

მოსკოვი, 7 მაისი. 7 მაისს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების საბჭომ შემდეგი დეპეშა გაგზავნა ლონდონში: **„ბრიტანეთის ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარეს პის და მდივანს სიტრინს. საბჭოთა პროფკავშირები გიგზავნით თქვენ დღეს ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის 2 მილიონ მანეთს. ეს მეორეჯერ გიგზავნით დახმარებას საბჭოთა პროფკავშირები შეკრებილ თანხებიდან. შეკრება გრძელდება. ძმური სალამი. საბჭოთა პროფკავშირების მდივანი დოგადოვი“.**

მთავრობის რადიო.

ლონდონი, 7 მაისი. მთავრობის რადიო იტყობინება: „საერთო გაფიცვის მესამე დღის მდგომარეობა უცვლელია“.

ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ მახლობელ ორ დღეში გამოირკვევა, შესაძლებელი იქნება თუ არა გაფიცვის ჩქარი ლიკვიდაცია.

მღელვარება

ლონდონი, 6 მაისი. გლაზგოს ერთ-ერთ აღმოსავლეთ კვარტალში სერიოზულ მღელვარებას ჰქონდა ადგილი. რამდენიმე შეტევის შემდეგ პოლიციამ დახცალა ტრამვაის საჯუდი მიდამოები, რომელიც მღელვარების ცენტრი იყო.

დაჭერილია 66 კაცი. რამდენიმე კაცი დაჭრილია.

ლონდონი, 6 მაისი. სამხრეთ-აფრიკის რეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა შეტაკებები; ცხენოსან პოლიციის ძლიერმა რაზმმა და რამდენიმე ასეულმა ქვეითა პოლიციელმა გაფანტეს მუშები.

რამდენიმე კაცი მსუბუქათაა დაჭრილი.

სამხრეთ-აფრიკის პროფკავშირების დახმარება

ლონდონი, 6 მაისი. სამხრეთ-აფრიკის პროფკავშირების ნაციონალურმა აღმასრულებელმა საბჭომ დაადგინა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ინგლისის გაფიცულ მუშებს და ხელი შეუშალოს ინგლისში პირველ მოთხოვნილების საგნების გაგზავნას.

ერთსულოვანი დახმარება

მოსკოვი, 7 მაისი. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის აუარება ცნობები მიტინგების და კრებების გამართვის შესახებ ინგლისის ამბების გამო. საბჭოთა კავშირის მშრომელნი სალამს უძღვნიან ინგლისის პროლეტარიატს და აღუთქვამს ყოველგვარ მორალურ და მატერიალურ დახმარებას. გროვდება შემოწირულებანი გაფიცულ მუშების დასახმარებლად.

სრულიად უკრაინის სამთო-მადნო მუშების ყრილობამ დაადგინა გადიდვას ნახევარი დღის ხელფასი უკრაინის სამთო-მადნო მრეწველობის ყველა მუშებისგან, რაც შეადგენს 200.000 მანეთს.

ტის ხელშეკრულება
ოსმალეთ-სპარსეთის ნეიტრალიტე-

ანგორა, 6 მაისი. ხელმოწერილია ოსმალეთ-სპარსეთის ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ორივე სახელმწიფო ვალდებული არის დაიცვან ნეიტრალიტეტი, თუ ერთი მათგანი საომარ განწყობილებაში იქნება სხვა სახელმწიფოსთან.

ხელშეკრულება დადებულია 5 წლით.

ფასების აწევა ნახშირზე

ლონდონი, 6 მაისი. ინგლისის ნახშირი გაძვირდა 4 შილინგით ერთ ტონზე.

დაჭერილია 66 კაცი. რამდენიმე კაცი მომავალ დღეებში ნახშირი კიდევ უფრო გაძვირდება.

საბერძნეთის გემის მეპატრონენი ნახშირს უკვეთენ გერმანიასა და ამერიკას.

უნდობლობის გამოცხადება.

ბერლინი, 6 მაისი. რეიხსტაგის სოც.-დემოკრ. ფრაქციამ დაადგინა უნდობლობა გამოუცხადოს რეიხსკანცლერს მთავრობის განკარგულების გამო სავაჭრო დროშის შემოღების შესახებ საზღვარგარეთის ნავთსადგურებში.

საქართველოს მშრომელთა ხმა

ა.-კ. რკინისგზელთა დეპეშა ტრედიუნიონებს

ამიერ-კავკასიის ორმოცი ათასი პროლეტარი რკინისგზელი თავის ძმურ სალამს გიძღვნის თქვენ და ღრმა თანაგრძნობას უცხადებს თქვენს ბრძოლას ინგლისის კაპიტალის წინაამდეგ.

ამხანაგებო, თქვენ მარტო არ ხართ შრომისა და კაპიტალის ბრძოლის დროშის ქვეშ.

მთელი მსოფლიოს მშრომელები შეამჭიდროვებენ თავის რიგებს, რომ ინგლისის მუშათა კლასმა საბოლოოდ დაამარცხოს თავისი საუკუნოებრივი მტრები.

გაუმარჯოს ინგლისის მუშათა კლასს!

გაუმარჯოს მთელი მუშათა კლასის სრულ სოლიდარობას!

გაუმარჯოს პროფმოძრაობის მთლიანობას!

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე **საბაშვილი**.

პასუხისმგებელი მდივანი **კოლოსოვი**.

ტვირთების გაგზავნის შეწყვეტა.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დეპეშით მიმართა თავის განყოფილებებს ბათომში, ფოთსა და სოხუმში შესწყვიტონ იმ გემების დატვირთვა, რომელთა გაგზავნა განზრახულია ინგლისში და აგრეთვე იმ გემების დატვირთვა, რომელთა შესახებ შეიძლება დაიბადოს ეჭვი, რომ სხვა ქვეყნების საშუალებით ისინი გაგზავნილი იქნებიან ინგლისში. ეს განკარგულება ეხება 1669 მტვირთავს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ნავთსადგურებში.

წარმოება-დაწესებულებებში

თამბაქოს ქარხანაში

აღნიშნულ ფაბრიკაში გუშინ წინ შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე მუშებმა მოისმინეს მოხსენება ინგლისის მებრძოლ მუშების მდგომარეობის შესახებ და ერთხმად გადასწყვიტეს ნიშნად პროლეტარულ სოლიდარობისა გადასდონ მათ სასარგებლოდ თავიანთი დღიური ხელფასი.

[illegible]

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება გამოსთქვამს სრულ თანაგრძნობას ინგლისის რევოლიუციონურ მუშების გმირულ ბრძოლისადმი და ადგენს: გაუწიოს მათ მატერიალური დახმარება ხელფასის ერთი პროცენტის გადადებით.

რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში

მთავარ სახელოსნოს მუშები ერთხმად ესალმებიან ინგლისის გაფიცულ მუშებს და ადგენენ გაუწიონ მათ დახმარება დღიური ხელფასის გადადებით.

თამბაქოს წარმოების მუშებში

თამბაქ. წარმ. მუშები ინგლისის მუშების გაფიცვას მხარს უჭერენ და ერთხმად ადგენენ გაიღონ თავიანთი წვლილი ინგლისის გაფიცულთა სასარგებლოდ.

მეკოლოფეები

საკარტონაჟო ფაბრიკა „ინტერნაციონალი“-ს მუშები ინგლისის მუშების სასარგებლოდ იღებენ თავიანთი ხელფასის ერთ პროცენტს.

ფეიქრები

ფეიქრები ინგლისის მებრძოლ მუშებს მხურვალედ ესალმებიან და მათ სასარგებლოდ იღებენ თავიანთი ხელფასის ერთ პროცენტს.

დეპოს მუშებში

დეპოს მუშები ინგლისის მებრძოლ მუშების სასარგებლოდ იღებენ თავიანთი დღიურ ხელფასს.

მეტყავეთა შორის

მეტყავეთა მუშები ინგლისის მუშების სასარგებლოდ სდებენ თავიანთ დღიური ხელფასს.

რკინისგზის სამმართველოში

რკინიგზელები მხურვალედ ესალმებიან ინგლისის გაფიცულ მუშებს და მათ სასარგებლოდ იღებენ დღიურ ხელფასს.

გრეხილ აბრეშუმის ქარხანაში

გრეხილ აბრეშუმის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ერთი დღის ხელფასი გადასდეს გაფიცულთა დასახმარებლად.

„ტემზა“-ში

ქარხანა—„ტემზა“-ს მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს გაუგზავნონ ინგლისის გაფიცულ მუშებს მისასალმებელი დეპეშა და მათ სასარგებლოდ გაიღონ დღიური ხელფასი.

საპნის ქარხანაში

აღნიშნულ ქარხანაში შემდგარმა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა [illegible] ინგლისის მებრძოლ მუშების სასარგებლოდ გადასდოს დღიური ხელფასი.

მკერავთა შორის

მკერავთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ გაიღოს დღიური ხელფასი.

საფეიქრო სინდიკატში

საფეიქრო სინდიკატის მუშა-მოსამსახურეებმა გადასდეს დღიური ხელფასი გაფიცულთა სასარგებლოდ.

პიონერთა შორის

6 მაისს, საღამოს 4 საათზე, მოხდა მთიელთა საბავშო სახლის პიონერთა კოლექტივის კრება, რომელზედაც იქნა მოსმენილი მოხსენება ინგლისის მუშათა კლასის გმირული გამოსვლების შესახებ. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „აღტაცებით გესალმებათ მთიელთა საბავშო სახლის პიონერთა კოლექტივი ინგლისის მუშებს. გისურვებთ საბოლოო გამარჯვებას და გაძლევთ სიტყვას, რომ ჩვენ, ნორჩი მთიელები, გაჭირვების წუთებშიც თქვენთან ვართ“.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის

მოსამსახურეთა საერთო კრებამ ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებელ ფონდის გასაძლიერებლად გადასდო: ვინც იღებს 50 მანეთამდე—ნახევარი დღის ხელფასი, 50-დან 100 მანეთამდე—ერთი დღის ხელფასი და 100 მანეთზე ზევით—დღენახევრის ხელფასი.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოსამსახურენი იწვევენ თბილისის აღმასკომს და ყველა მის ხელქვეით დაწესებულებათა თანამშრომლებს.

დუშეთში

დუშეთი, 7 მაისი. ხუთშ., 6 მაისს, შესდგა დუშეთის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება ინგლისში მომხდარ გაფიცვებზე.

საერთო კრებამ ზიზღი გამოუცხადა ინგლისის ბურჟუაზიას და გამარჯვება უსურვა გაფიცულებს.

მოლაპარაკება რიფებთან შეწყდა

პარიზი, 6 მაისი. ჰავასის სააგენტოს უდჟიდან ატყობინებენ, რომ 6 მაისს რიფების დელეგაციას არ ჰქონდა წარმოდგენილი პასუხი საფრანგეთის და ესპანეთის დელეგაციების წინადადებაზე. **ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება შეწყდება 6 მაისს და განახლდება სამხედრო მოქმედება**, რადგან რიფების წარმომადგენელთ შეუძლებლათ მიაჩნიათ ესპანეთის და საფრანგეთის დელეგაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ესპანეთ-საფრანგეთის დელეგაცია მოითხოვდა აბდ-ელ-ქერიმის განდევნას რიფების რესპუბლიკიდან.

პარიზი, 6 მაისი. **ჰავასის სააგენტოს ოფიციალური ცნობით, საზავო მოლაპარაკება რიფებთან შეწყდა.**



მაჰმედ აძერკან (მარცხნივ) **და ჰადდუ რიფების დელეგატები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ესპანეთ-საფრანგეთთან ქ. უჯდაში.**

ტერორი ბულგარეთში

მოსკოვი, 7 მაისი. დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივნის ედდო ფიმენის განცხადებამ იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მან მიიღო ბულგარეთში მგზავრობის დროს, სადაც ის დაესწრო პროფკავშირთა უკანასკნელ კონფერენციას. უწოდებს რა კომედიას იმ საზეიმო შეხვედრას, რომელიც მას და სხვა დელეგატებს გაუმართეს სოფიაში, ფიმენი აცხადებს:

„სინამდვილეში დელეგატებისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ბულგარეთში გასვლა. საზეიმო შეხვედრით შეიძლება მხოლოდ გულუბრყვილო ხალხის მოტყუება. ინფორმაცია, რომელიც მე მივიღე სარწმუნო წყაროებიდან, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ბულგარეთში მძვინვარებს თეთრი ტერორი და რომ მოჩვენებითი თავისუფლება არის შირმა, რომლის იქით განაგრძნობს მუშაობას შავი რეაქცია.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირი

საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის შედეგები

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება.

დღის წესრიგის მთავარი საკითხი

ჩვენი პარტიის ცეკას აპრილის პლენუმი, რომელიც გაიმართა 6—9 აპრილს, თავისი მუშაობის ხასიათის მიხედვით წარმოადგენდა მე-14 პარტიულ ყრილობის უშალო გაგრძელებას. ყრილობის დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს, როგორც ყველა ჩვენთაგანმა იცის, წარმოადგენდა სამეურნეო მდგომარეობის და სამეურნეო პოლიტიკის საკითხი. ყრილობის დღის წესრიგიდან ეს საკითხი პირველად მოხსნილი იყო იმ მიზნით, რათა იგი განხილული ყოფილიყო პარტიულ კონფერენციაზე. მაგრამ ვინაიდან პარტიის და საბჭოთა ქვეყნის წინაშე ღიათ იდგა სამეურნეო ხასიათის საკითხი, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ პასუხის გაცემას, დაუყოვნებლივ გადაჭრას და სამეურნეო ღონისძიებათა გადაჭრას და სამეურნეო ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას, ცეკას პლენუმმა დააყენა ეს საკითხი თავის დღის წესრიგში და სათანადოთ გადასჭრა იგი.

მე არ შევსცდები, თუ ვიტყვი, რომ ის, რაც გაკეთდა პლენუმზე შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ჩვენი პროგრამის მინიმუმად,—თუ შეიძლება ჩვენი პარტიული პროგრამის დაყოფა მინიმუმად და მაქსიმუმად,—ვინაიდან მახლობელ პერიოდში, როდესაც ჩვენ საბოლოოდ განვამტკიცებთ სოციალიზმის საფუძვლებს იმ, მიზნით, რათა შემდეგ სრულიად თავისუფლად ავაშენოთ სოციალური შენობის კედლები,—ამ პერიოდისათვის ჩვენი ცეკას პლენუმის პროგრამა არის ყოვლის შემცველი, რომლის გარშემო თავი უნდა მოიყაროს მთელმა ჩვენმა პარტიამ, როგორც თავის პროგრამა-მინიმუმის გარშემო.

პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში დასმული საკითხები რამდენიმედ ძველია; ჩვენ ყველამ ვიცით, რომ წარსული წლის შემოდგომაზე შემჩნეული იყო ერთგვარი შეფერხება ჩვენს სამეურნეო პრაქტიკაში იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა აშკარა შეცდომებს სამეურნეო გეგმების შედგენაში, რაც შესაფერ პასუხის გაცემას მოითხოვდა.

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია

მე-14 პარტყრილობის მიერ გამომუშავებულ დირექტივების და გენერალურ ხაზის—სახელდობრ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საჭიროების მიხედვით, ცეკას პლენუმმა კონკრეტიულად ჩამოაყალიბა ეს საერთო ხაზი და შეუფარდა იგი დღევანდელი პრაქტიკული მუშაობის საჭირბოროტო საკითხებს. ამაში მდგომარეობს პლენუმის მუშაობის უმთავრესი მნიშვნელობა.—სახელდობრ—პარტიის საერთო დირექტივების განმარტება, რათა ნათელი გამხდარიყო თვითეული სამეურნეო, საბჭოთა, პოლიტიკურ მუშაკისა და თვითეულ პარტიული ამხანაგისათვის ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშეა დასმული.

ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ გვექვს ორგვარი მოვლენები, რაც მოითხოვს პარტიის და მთელი საბჭოთა ქვეყნის ყველა ძალების დაჭიმვას გადაუდებელ ამოცანების გადასაწყვეტად.

აღდგენის პროცესი დასრულდა

ამჟამად მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ ჩვენ უკვე დავასრულეთ ჩვენი მეურნეობის აღდგენის პროცესი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში ჩვენს ამოცანას შეადგენდა დღევანდელი ჩვენი მრეწველობის აღდგენის დაწყება. თუ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით ქარხნების ამუშავებას, იმ დოვლათის გამოყენებას, რომელიც მივიღეთ, ამჟამად ჩვენ უკვე ჩიხს მივადექით და საჭიროა ყველა ძალების გმირული დაჭიმვა და ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანების გათვალისწინება.

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების ვერც მტერი და ვერც მოყვარე ვერ უარყოფს, რომ ჩვენ ამოვსწურეთ ძირითადი კაპიტალი ფაბრიკების, ქარხნების და წინანდელ რეჟიმიდან მიღებულ სხვა დამხმარე წარმოებათა სახით. და ჩვენ „კვალიფიციურმა მრეწველებმა“ უკვე აღვადგინეთ ის, რაც დანგრეული ან უმოქმედო იყო. აღარ არსებობენ დაცალიერებული ქარხნები, უკვე აღარ არიან აუმუშავებელი ქარხნები. პირიქით, ამჟამად ჩვენ აშკარად ვხედავთ ჩვენი მრეწველობის გადაუდებელ საჭიროებას. ვინაიდან, რაც დაგვრჩა და რაც გვაქვს, იგი უკვე საკმარისად გაიცვითა, მოითხოვს შეცვლას, სრულ გადაკეთებას. ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ესაჭიროება ახალი ფაბრიკები, ახალი ქარხნები, ახალი წარმოება.

აი ის მთავარი ფაქტი, რაც ყველას მიერ აღიარებულია, როგორც დაბრკოლება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ჩვენ არ გვყოფნის ის მრეწველობა, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ: ჩვენთვის საჭიროა მისი გამრავლება, არა მარტო იმისთვის, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ბაზრის უშუალო მოთხოვნილება, ჩვენი გადახდის უნარიანი ქალაქის და სოფლის მოთხოვნილება, არამედ იმისათვისაც, რათა მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ სოციალისტურ წესწყობილებას, საფუძველი ჩაუყაროთ მსხვილ მრეწველობას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიას, რაც წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო და ეკონომიურ დამოუკიდებლობის გარანტიას, ჩვენი საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას.

ამნაირად გაგებული ინდუსტრიალიზაცია არ არის პირდაპირი განმეორება იმისა, რაც შეადგენს მარქსისტის ანბანს. მრეწველობა, თავის თავად ცხადია, არის სოციალიზმის სამშობლო, იგი ადვილებს სოციალიზმის მშობიარობას. ინდუსტრიალიზაცია ჩვენს პირობებში გაგებული უნდა იქნას, როგორც ისეთი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს იზოლაციაქმნილ საბჭოთა ქვეყანას საძირკველი ჩაუყაროს სოციალისტურ წესწყობილებას, ააშენოს იგი ისე, რათა ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნეთ დაუსიზაციის კაპიტალისტურ ევროპის მაჩანალად გადაქცევის პერსპექტივისაგან. ამნაირი თვალსაზრისით არის გაგებული ინდუსტრიალიზაცია მე-14 პარტყრილობის მიერ და ეს გენერალური ხაზი განმარტა და კონკრეტიულად ჩამოაყალიბა ცეკას აპრილის პლენუმმა.

სამრეწველო ფონდის შექმნის საჭიროება

რაში გამოიხატება მოკლეთ ინდუსტრიალიზაციის პრობლემა? ეს პრობლემა ბოლოს და ბოლოს დაკავშირებულია კაპიტალების პრობლემასთან. თუ ის, რაც ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობის სახით, უკვე საკმარისად დატვირთულია და ამავე დროს გვაქვს გადახდის უნარიანი მოთხოვნილება, თუ ჩვენ უმიმრაო არ შეგვიძლია უცქიროთ იმას, რომ ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლად მოსალოდნელია გართულებანი, თუ სამრეწველო ზრდის შეჩერება წარმოადგენს დაბრკოლებას ჩვენს მუშაობაში,—რა თქმა უნდა, ინდუსტრიალიზაციის საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ გამოვნახოთ საკმარისი სამრეწველო ფონდი, რომელიც საჭიროა ჩვენი საწარმოვო ცენტრების მშენებლობის გასაუმჯობესებლად. ჩვენთვის საჭიროა საკმარისი სამრეწ[illegible] კრედიტო ფონდი, იქნება ეს საგარეო თუ საშინაო სესხი, სულ ერთია, ჩვენთვის საჭიროა საკმარისი სამრეწველო ფონდი იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი წინსვლა.

მეორეს მხრივ ამ პრობლემიდან გამომდინარეობს მეორე, მონათესავე პრობლემა, სახელდობრ—იმ სამეურნეო სიძნელეთა გადალახვა, რომელიც ჩვენ გვაქვს წარსული წლის შემოდგომიდან. ეს სიძნელენი აფერხებენ ჩვენ წინსვლას და ამავე დროს ქმნიან არა მარტო სამეურნეო დაბრკოლებებს, არამედ მას შეუძლია ჩაშალოს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის არსებული პოლიტიკური კავშირი, რომელიც შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს.

ამიტომ ჩვენი პარტიის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებში სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული წარსული წლის შემოდ[illegible]ნელეთ.

სამეურნეო სიძნელენი

იმისათვის, რათა ვიბრძოლოთ ამ პრობლემის სისწორით გადაჭრისათვის, ჩვენ ნათელი წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ იმაზე, საიდან გაჩნდა ეს პრობლემა, არა მარტო როგორც ფინანსიური გამოხატულება, არამედ როგორი ფორმით, როგორი რაოდენობით წამოიჭრა იგი ჩვენს წინაშე.

ცეკას პლენუმმა, რომელმაც ითამაშა ამ მხრივ სამეურნეო და პოლიტიკური ობსერვატორიის როლი, სწორი ანალიზი გაუკეთა თანამედროვე მდგომარეობას და აღნიშნა მისი ხასიათი, მოცულობა და თავისებურებანი.

იმ დაბრკოლებებს, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ჩვენი მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის დარგში და ამ სამეურნეო დაბრკოლებებიდან წარმოშობილ მოვლენებში, საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ მემკვიდრეობით მიღებული შეფარდებულობა, რომელიც შექმნილია არა კომუნისტური ხელისუფლების მიერ, არამედ იგი წარმოადგენს მეფის რეჟიმიდან მიღებულ მეურნეობის ისტორიულ უკუღმართობას. ეს შეუფარდებლობა—როგორც პროდუქციის რაოდენობით, ისე ღირებულების მხრივ სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობას შორის,—ეს შეუფარდებლობა წარმოადგენდა რუსეთის მეურნეობის დამახასიათებელ თვისებას.

შეუფარდებლობა მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის

თუ გადავიყვანთ ფულებზე, ეს შეუფარდებლობა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთ ფორმით, რომ სასოფლო მეურნეობა ყოველწლიურად გამოიხატებოდა 11 მილიარდ ომის წინა დროის მანეთებში, მრეწველობის პროდუქცია კი—მხოლოდ 7 მილიარდ მანეთებში. მაშასადამე მთელ ეროვნულ შემოსავალში სასოფლო მეურნეობას ხვდება თითქმის ორჯერ მეტი (ღირებულებით) პროდუქცია, ვიდრე მრეწველობას. თავისთავად ცხადია, ჩვენ გვქონდა უმთავრესად აგრარული ქვეყანა, მაგრამ რადგან არსებობენ მრეწველობის ელემენტებიც, ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ მას აგრარულ-სამრეწველო ქვეყანა. ამჟამად, რა თქმა უნდა, შეუფარდებლობის შეფებმა ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ იგი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ ამჟამად გვაქვს ერთმანეთის მოპირდაპირე დარგი—მრეწველობა და სასოფლო-მეურნეობა, ამასთანავე ეს შეუფარდებლობა ძალაში რჩება, არ გვყოფნის სამრეწველო საგნები.

დღეს, განსაკუთრებით კავშირიდან ისეთ სამრეწველო ოლქების ჩამოშორების შემდეგ, როგორც პოლონეთი და ნაწილობრივ ფინეთი,—ჩვენს გვაქვს მაკრატლის პირების განშორება პროდუქციის ამ ორ დარგს შორის. სასოფლო მეურნეობას, რამდენადაც იგი მცირე არ უნდა იყოს აბსოლიუტურ ციფრებში, აქვს უდიდესი მოთხოვნილება, რომელსაც მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს. ჩვენ ვიცით, რომ ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ გაიზარდა სყიდვითი უნარიანობა სოფლის, რომელიც გამოცოცხლდა, რომელმაც განდევნა მემამულეები, ბოქაულები, და რომელსაც აქვს ერთგვარი კულტურული მიღწევანი; სოფელი, რომელიც თავის მცირე ბიუჯეტიდან არ იძლევა დიდ ნაწილს გადასახადის სახით, მიწის სასყიდლათ, რაც მძიმე ტვირთად აწვა მას მემამულეთა-მეფის რეჟიმის დროს, სოფელი, რომელსაც დღეს აქვს გადიდებული მოთხოვნილება, გადახდის უნარის მქონე სოფელი დიდ მოთხოვნილებას უყენებს მრეწველობას; უკანასკნელს კი ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეუძლია.

აი, როგორ მდგომარეობაში იმყოფება ამჟამად შეუფარდებლობის საკითხი და თავის თავად ცხადია, ნათელი ხდება ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა: საჭიროა შეუფარდებლობის დაძლევა: ამის დაძლევა კი ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მრეწველობის გადახალისებით. ჩვენ უნდა გავატაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც მოითხოვს კაპიტალის ერთგვარ მონაწილეობას.

კაპიტალის პრობლემა ინდუსტრიალიზაციისათვის

კაპიტალის პრობლემა არის ინდუსტრიალიზაციის ამოცანის ცენტრი და ამ ამოცანის გადაწყვეტის საიდუმლოება.

მეორეს მხრივ, ჩვენ გვაქვს ამჟამად თავისებური მდგომარეობა იმ მხრივ, რომ ჩვენ რამენაირად ჩვენი მცირე საშუალებებიდან დავფაროთ ინდუსტრიალიზაციის გასატარებლად საჭირო ხარჯები. ამ საკითხის დაყენება ჩვენ არ შეგვეძლო 5 წლის წინად, ვინაიდან მაშინდელი პირობები ხელს არ უწყობდენ ამას: ჩვენ დავიწყეთ „ცალიერი ადგილიდან“. სამოქალაქო ომის და სამხედრო კომუნიზმის შემდეგ ჩვენ გვქონდა სუსტი სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა. მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა ომის წინა დროის 19 პროცენტს, სასოფლო მეურნეობის პროდუქცია კი—49 პროცენტს.

ცხადია, სოციალიზმის საძირკველის ჩაყრის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ დაქვეითებულ მდგომარეობიდან გამოგვეყვანა ჩვენი ჯაჭვის ყველაზე უფრო სუსტი რგოლი, ე. ი. სოფლის მეურნეობა. ეს იყო არა მარტო შინაური ბაზარი, არამედ აგრეთვე ნედლეულის და სურსათის ბაზა, რომელიც თავის პროდუქციას აწვდიდა პროლეტარიატს და წითელ არმიას, აწვდიდა ნედლეულს ფაბრიკებს, რომელნიც უნდა აგვემუშავებინა. ცხადია, მაშინ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერებული ყურადღება ექცეოდა მთელ რიგ ზომების მიღებას იმისათვის, რომ გამოგვეცოცხლებია და წინ წაგვეწია სოფლის მეურნეობა. ამიტომ მაშინ პირველ რიგში დაისვა უმნიშვნელოვანესი ამოცანა—პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან, უკანასკნელის მთავარ მასასთან—საშუალო გლეხობასთან.

ამჟამად საკითხი სხვავვარად სდგას. ქვეყანა, რომელიც ისეთ წელზე ოცნებობდა, როცა ჩვენ მარაგად რამდენიმე მილიონი ფუთი პური გვექნებოდა,— აი ეს ქვეყანა არა თუ თვითონ მაძღარია, არამედ უკვე თავის პროდუქციას ნედლეულის თუ სამრეწველო ექსპორტის სახით ასაღებს უცხოეთში რამდენიმე ასეულ მილიონი მანეთის რაოდენობით. მაგრამ ეს ქვეყანა განიცდის სამრეწველო საქონლის ნაკლებობას.

მაშასადამე, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უკვე მეორე მიმართულება მიიღო: მრეწველობის შემდგომი განვითარება, ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია გადაწყვეტილია, მაგრამ სად გამოვძებნოთ ფონდები, რომელიც ამ ინდუსტრიალიზაციას ესაჭიროება?

ცხადია, ჩვენთვის ერთხელ და სამუდამოდ აშკარა უნდა იყოს, რომ ჩვენ თავისებურ ქვეყანას წარმოვადგენთ არა იმიტომ, რომ მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე მუშები და გლეხები ბატონობენ; ჩვენ წარმოვადგენთ პირველ ქვეყანას, რომელმაც ინდუსტრიალიზაციის ეს პრობლემა სულ სხვა, ახალ საფუძველზე უნდა გადასჭრას, ვინემ დანარჩენმა ქვეყნებმა: ამერიკამ და ევროპამ. ამ ქვეყნებმა ინდუსტრიალიზაცია განახორციელეს აშკარა ძარცვის გზით, ძარცვავდენ როგორც თავის ქვეყნებში ყველა მწარმოებელ კალსებს, მუშათა კლასს და გლეხობას, ისე სხვა განათლებულ, ველურ და კოლონიალურ ქვეყნებს.

ჩვენ ხშირად უნდა ვიკითხოთ მარქსის „კაპიტალის“ ის თავები, სადაც აწერილია კაპიტალის პირველი დაგროვების პროცესი. ჩვენ იქ გავიგებდით,—ვისაც წაუკითხავს, მოიგონებდა და ვისაც არა—წაიკითხავდა,—თუ რა გზით აგროვებდა ბურჟუაზია კაპიტალს, რომელიც შედიოდა კაპიტალისტური მრეწველობის სისხლით გაჟღენთილ ფონდში. მუშათა კლასის და გლეხობის სისხლით და ოფლით იქმნებოდა ეს ფონდი. ჩვენ გავიგებდით რა დაუჯდა მუშათა კლასს ბურჟუაზიის მიერ კაპიტალის პირველი დაგროვება, რომელმაც უზრუნველჰყო მსოფლიოს მრეწველობის აყვავება. თუ ჩვენ მოვიგონებთ მე-19 საუკუნის ისტორიას, მოვიგონებთ ნაპალეონის ომებს და იმას, თუ რა მისცა ამ ომებმა საფრანგეთის ბურჟუაზიას, თუ მოვიგონებთ გერმანიის ომს, როცა გერმანიამ 70-იან წლებში არა თუ დაამარცხა საფრანგეთი, არამედ წაართვა მას 5 მილიარდი ოქროთი, რომელიც მრეწველობაში იყო დაბანდებული,—ჩვენ გამოვიტანთ დასკვნას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების ეს გზა მიუღებელი და შეუძლებელია ჩვენთვის, რადგან ეს არის მძლეური ექსპლოატაციის გზა. ამ გზას ჩვენ შეგნებულად უარვჰყოფთ. დაპყრობის გზასაც ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ შეგნებულად უარვყოფთ. რჩება ერთიღა გზა—სესხი, ე. ი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია კრედიტის შემწეობით. ამ გზას ჩვენ არ უარვყოფთ, თუ დაცული იქნება ჩვენი სრული დამოუკიდებლობა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი სურვილი ვერ პოულობს სათანადო ექვივალენტს,—აქ ჩვენ ერთგვარ დისპროპორციის ვღებულობთ.

შინაური რესურსები

ამრიგად, ჩვენ უნდა დავემყაროთ ჩვენს საკუთარ საშუალებებს დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რანაირი შესაძლებლობანი გვაქვს ჩვენ იმ ფონდების დასაგროვებლად, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ესაჭიროება. ამ მხრივ, რასაკვირველია, ჩვენი მდგომარეობა საკმაოდ ძნელი და მძიმეა, მაგრამ გამოსავალი არის. ჩვენში არის საშუალებები, არის სოციალისტური დაგროვების წყაროები, ჩვენ შეგვიძლია დავაგროვოთ ის ფონდები, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მოვაღონიეროთ ჩვენი მრეწველობა, გადავახალისოთ ის, ვაშენოთ ახალი სახელმწიფო და მაშასადამე სოციალისტური მრეწველობა ახალ ტექნიკურ საფუძველზე. ცეკას პლენუმმაც თავის პრაქტიკულ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა ამას და მიუთითა მთელ რიგ ისეთ ხელსაყრელ მომენტებზე, ისეთ რეალურ წყაროებზე, რომელიც ჩვენ საშუალებას მოგვცემს ჩვენს მუშაობაში ერთგვარი სიფრთხილის გამოჩენის გზით დავაგროვოთ ეს საშუალებები და ვაწარმოოთ სოციალისტური დაგროვების პროცესი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მიზნით.

ამ მხრივ ხელსაყრელი პირობები ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციამ მოგვცა: ჩვენ გავაუქმეთ მეფის ვალები, ჩვენ ხალხი გავანთავისუფლეთ რამოდენიმე ასეულ მილიონ მანეთის გადახდისაგან, რომელიც მას მძიმე ტვირთად აწვა ზურგზე და რომელიც მას უნდა ეხადა ამ ვალების ანგარიშში; რანაირი მოლაპარაკებაც არ უნდა სწარმოებდეს ინგლისთან ან ამერიკასთან, სულ ერთია, ამ ფულების სავსებით დაბრუნება მათთვის ამა თუ იმ ფორმით შეუძლებელია. შესაძლებელია ამის შესახებ გავმართოთ დავა და ვაჭრობა, მაგრამ ამ ტვირთს ჩვენ ვერავინ ველარ აგვკიდებს კისერზე.

ჩვენ ქონება ჩამოვართვით ბურჟუაზიას; მართალია, ბურჟუაზიის მიერ თავზე მოხვეულმა სამოქალაქო ომმა დიდძალი სიმდიდრე გაანიავა, რომელიც ამავე ბურჟუაზიას გამოვსტაცეთ, მაგრამ, ყოველშემთხვევაში, ბურჟუაზია სავსებით დამხობილია და მისი საკუთრება ჩვენს ხელშია. ჩვენ მოვახდინეთ მიწის ნაციონალიზაცია და მით შევქმენით წინასწარი პირობა სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად არა მარტო გლეხობის ხერხემლის გამაგრების მხრივ, არამედ შევქმენით დამატებითი წყარო სოფლის მეურნეობის წინ წასაწევად.

ამასთან ერთად ჩვენს ხელში არის საგარეო და ნაწილობრივ საშინაო ვაჭრობის მონოპოლია, საქონლის გამტარებელი ქსელი ნაწილობრივ ჩვენს ხელშია, ყველაფერი ეს ჩვენი კონტროლის და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ჩვენს ხელშია ძლიერი საკრედიტო ქსელი და მთელი რიგი მთავარ მბრძანებელ მაღლობებისა, როგორიც არის ტრანსპორტი და სხვ. ყველაფერი ეს ჩვენს ხელშია, მათ შეუძლიათ, მათ უნდა მოგვცენ სოციალისტური დაგროვების წყარო.

მაგრამ როგორ პირობებში? აქ ჩვენ გადავდივართ პოლიტიკურ ურთიერთობის სფეროში, რადგან დიქტატურას ჩვენ ვანხორციელებთ თავისებურად; საბჭოთა ქვეყნის დიქტატურა—ეს არის დიქტატურა, რომელსაც ანხორციელებს არა მარტო მუშათა კლასი, აქ მუშათა კლასს განუყოფელი და აუცილებელი პოლიტიკური კავშირი აქვს გლეხობასთან. და რამდენადაც გლეხობა წარმოადგენს არა მარტო პროლეტარიატის მოკავშირეს, არამედ ამავე დროს გადასახადის შემომტანსაც,—აქ ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ როგორმე ჩვენი სამეურნეო გეგმის გატარებისას ტკივილი არ ვაგრძნობინოთ გლეხებს, როგორც ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკურ თანამონაწილეს, და როგორც მწარმოებელს სოფლის მეურნეობაში. აქ ჩვენ განსაკუთრებული სიფხიზლე და სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რადგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას არა თუ პოლიტიკური დაბრკოლება, არამედ გლეხობასთან პოლიტიკური კავშირის ჩაშლის საფრთხეც.

მე-14 ყრილობა და ცეკას აპრილის პლენუმი წინდახედულად მიუდგა ყველა სამეურნეო ხასიათის საკითხებს და სწორედ ასეთი პოლიტიკური თვალსაზრისი სავალდებულოა პარტიისათვის, რომელიც ქვეყანას განაგებს, რომელიც ითვლება ხელმძღვანელად და ავანგარდათ. აქ იმალება უდიდესი საფრთხე, რადგან აქ ადვილია წაბორძიკება და მუშათა კლასის და გლეხობის იმ კავშირის საფრთხეში ჩაგდება, რომელმაც სასწაული დაანახვა მთელს მსოფლიოს მით, რომ შესაძლებელი გახადა მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმარტოებულად არსებობა, რომელიც უკვე მეათე წელია ვითარდება.

მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობა

რაში მდგომარეობს მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობის საიდუმლოება? ეს არის იმ საშუალებების, იმ წყაროების სათანადოთ გამოყენება, რომელიც მე ჩამოვთვალე.

თუ ჩვენ მივეცით თავი გატაცებას, თუ გავყვევით ხშირ გეგმიანობის ერთგვარ „კაპრიზს“, თუ ჩვენ გავქანდით ისე, რომ აგვერია ერთად ყველა კარტები, თუ ჩვენ ისეთი ამოცანები დავისახეთ, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, ჩამოაცილებენ ჩვენს მრეწველობას სოფლის მეურნეობისაგან,—ამით ჩვენ გავსწყვეტთ კავშირს ქალაქის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის და საძირკველს შეურყევთ თვით საბჭოთა ხელისუფლებას. ცხადია, ასეთი გეგმიანობა იქნებოდა არა სოციალისტური დაგროვების წყარო, არამედ წყარო უბედურებისა საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატისათვის.

ვიმეორებ, თუ ჩვენ ჩვენს ხელში ჩაგვიგდებთ მუშაობის გეგმას ისე, რომ მხედველობაში ვიქონიებთ რეალურად განხორციელებულ ღონისძიებებს, რეალურ შესაძლებლობებს, თუ ჩვენ არ მოვახდენთ ნახტომს, არ მოვსწყდებით სოფლის მეურნეობას და გლეხობას, თუ ჩვენ ვიმოქმედებთ ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებებთან შეფარდებით, გავითვალისწინებთ, ჯერ ერთი, ჩვენი გლეხური ბაზრის მოთხოვნილებებს, მეორე, ჩვენი ხაზინის ფინანსიურ შესაძლებლობას,—მაშინ ჩვენ გამოვძებნით იმას, რომლითაც ყველაზე უმტკივნეულოდ და სწორად გადავსჭრით თანამედროვე ცენტრალურ ამოცანას, ე. ი. დავაგროვებთ ფონდს, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის გასაძლიერებლად.

ცეკას პლენუმმა თავის ძირითად მოხსენებაში, რომელიც გააკეთა პოლიტბიურომ, და კამათში, რომელიც ამ მოხსენების გარშემო გაიმართა, დიდი და ფხიზელი ყურადღება მიაქცია ამ პრობლემას.

მომჭირნეობის რეჟიმი

რა სდგას იმ ამოცანების ცენტრში, რომელიც ჩვენს წინაშე დასვა პლენუმმა ჩვენი მრეწველობის განვითარების ნორმალური გეგმის განხორციელების საქმეში? ჩვენ ვიცით, რომ ნავარაუდევი იყო ციფრი—ერთ მილიარდ მანეთზე მეტი მრეწველობისათვის, მაგრამ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდით შეგვემცირებია ჩვენი კაპიტალისტური ხარჯები 823 მილიონ მანეთამდე.

რასაკვირველია, ეს შემცირება არ არის კატასტროფიული, მაგრამ [illegible] რომ მრეწველობა ძალიან დიდათ დაზიანდება, თუ ჩვენ მაქსიმალურ ციფრს ვივარაუდებთ, დავიქირავებთ ათი ათასობით მუშებს, თავს მოუყრით ნედლეულ და სასშენ მასალებს, რომელიც საჭიროა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ შემდეგ კი გატეხილ ვარცლის წინაშე დავდგებით, ჩვენი საფინანსო გეგმა ჩაიშლება, იძულებული ვიქნებით დავითხოვოთ ათასობით მუშები და ხიფათი შეგვემთხვევა როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ დარგში.

ასეთი საფრთხე თავის დროზე იქნა გათვალისწინებული და ცეკას პოლიტბიურომ დროულად მოგვცა სიგნალი—ცოტათი შეანელეთ ტემპი, ნუ მოედებით ყველაფერს არ არსებული მილიარდების იმედით.

მაშასადამე: რეალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ერთი მხრით მოთხოვნილების და მოწოდების საჭიროებას და მეორე მხრით—სახელმწიფოს ფინანსიურ რესურსებს,—აი როგორი გეგმა უნდა იქნეს დასახული განსახორციელებლად.

პარტია, თავისი პლენუმის სახით, ლაპარაკობს: „მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმი“.

რასაკვირველია, ჩვენ დავეჩვიეთ, რამოდენიმე დღის ან კვირის შემდეგ, ბევრი ლოზუნგი ზედმეტი ხდება, ბარდება არქივს, ეძლევა დავიწყებას. მაგრამ ეს ლოზუნგი, მომჭირნეობის, დაზოგვის ლოზუნგი ჩვენს კომუნისტურ პარტიას ექნება მანამდე, სანამ ჩვენ არ შევქმნით კომუნისტურ საზოგადოებას, რადგან ჩვენთვის სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ყველა დანარჩენი გზები მოხსნილია.

რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ბოროტ მოვლენასთან, რომელსაც მომავალში შეუძლია გაანადგუროს ჩვენ მიერ დაგროვილი დოვლათის დიდი ნაწილი ჩვენი ხელგაშლილობის და უყაირათობის გამო, იმდენათ პარტია გვეუბნება, რომ ამ რესურსების უფრო მიზანშეწონილად დაგროვების და მათი მიზანშეწონილად გამოყენებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ეკონომიის რეჟიმი.

რასაკვირველია, აქ ლაპარაკია არა ისეთ რეჟიმზე, რომ ჯიბეში ჩაუძვრე შენს მეზობელს და არც ისეთ რეჟიმზე, რომ შეზღუდო აუცილებელი მოთხოვნილებები. აქ ლაპარაკი იმაზე, რომ ეს პრინციპი ძვალ-რბილში უნდა გაუჯდეს მთელს ჩვენ სახელმწიფოს, მთელ ჩვენ სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოებს, მთელს კოოპერაციას და მთელ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ეკონომიის რეჟიმისაკენ უნდა იქნეს მიმართული მთელი ჩვენი ენერგია და ძალ-ღონე, რათა რაც შეიძლება მიზანშეწონილად გამოვიყენოთ და მოვიხმაროთ ის საშუალებები, რომელთაც ჩვენ ვიღებთ მრეწველობიდან, ჩვენი სავაჭრო საქმიანობიდან, კრედიტიდან და სხვ. თუ არ იქნება ეს ეკონომია, არ იქნება ეკონომიის სასტიკი რეჟიმი, ჩვენ თვალწინ განიავდება ის საშუალებებიც კი, რომელიც ჩვენ გვქონდა აქამდის.

პროლეტარიატის დიქტატურა აღმშენებლობის პირველ წლებში მოითხოვდა დამატებითი ხარჯებს. რევოლიუციას და საბჭოთა ხელისუფლებას დიდი ხარჯები ესაჭიროებოდა. პროლეტარიატის დიქტატურის შენობა გარშემორტყმულია მრავალრიცხოვან დაწესებულებებით, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთი მეორეს, ან პარალელურად მუშაობენ, უმიზნოდ ხარჯავენ და ანიავებენ იმ საშუალებებს, რომლის დაგროვება შეიძლებოდა საბჭოთა სკივრში ინდუსტრიალიზაციისათვის გამოსაყენებლად.

ეხლა, პროლეტარული რევოლიუციის არსებობის მეცხრე წელში შეიძლება ამ დაწესებულებების ნაწილის გაწმენდა და ამასთანავე ერთად საჭიროა მთელი აპარატის რაციონალურად დაყენება და საშუალებების რაც შეიძლება მიზანშეწონილად ხარჯვა. და აქ სამეურნეო ხასიათის პროცესი იქცევა პოლიტიკურ ხასიათის პროცესათ. არსებობს საგადასახადო პრესა მაგრამ ვინც ამბობს, რომ ინდუსტრიალიზაციის საშუალებები, უმთავრესად, გამონახულ უნდა იქნეს ამ პრესის საშუალებით, ან იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლითაც სახელმწიფო ღებულობდა დამატებითი საშუალებებს გლეხობისაგან, ის ვერ ამჩნევს, რომ სწყვეტს რა სამეურნეო ამოცანას, ის იმავე დროს ძირს უთხრის ჩვენს პოლიტიკურ სიმტკიცეს.

შემოსავლის წყაროები

გლეხების შემოსავალი ჩვენ ვიცით, ის არც ისე გასაოცარია. შემოსავლის ნაწილის აღება შეიძლება პირდაპირი გადასახადების ან სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებზე ფასების აწევის საშუალებით. და გლეხობის მიმართ, რომელიც იხდის პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს, სხვადასხვაგვარ აქციზების სახით,—თუ ამ გლეხობას დააწვება კიდევ მეტი ტვირთი სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებზე ფასების გადიდების სახით,—რასაკვირველია, ასეთი შემოსავალი ჩვენ დიდ ზიანს მოგვიტანს, რადგან გამოიწვევს იმ პოლიტიკური კავშირის დარღვევას მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ციხე-სიმაგრეს. და ამიტომ ცენტრალურ კომიტეტის პლენუმს არა ერთხელ განუცხადებია სხვადასხვა შემთხვევებში, რომ მრეწველობას ჩვენ ვერ ავაშენებთ მხოლოდ გლეხობის ხარჯზე.

არის ერთი თვალსაზრისი, რომელმაც ლიტერატურული გამოხატულება ჰპოვა მაგალითად ამხ. პრეობრაჟენსკის წერილში. ეს თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი საგლეხო მეურნეობა უნდა გადაიქცეს „მრეწველობის კოლონიათ“, რომ მრეწველობას თავის რეკონსტრუქციისათვის და გადახალისებისათვის აქვს ერთად-ერთი წყარო—გლეხი როგორც მომხმარებელი და გადასახადის გამღები.

ასეთი შეხედულება ცეკამ გადაჭრით უარყო, რადგან ინდუსტრიალიზაციის პრობლემა—ეს, რასაკვირველია, არის პრობლემა, რომელიც ეხება გლეხობასაც, ვინაიდან ეს ინდუსტრიალიზაცია შეეხება სასოფლო-მეურნეობასაც;—მაგრამ ჩვენი მრეწველობის ხარჯების ერთად ერთ წყაროთ გლეხობის გადაქცევა—ეს ცეკამ სცნო საზიანო თვალსაზრისათ და გადაჭრით უარყო.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შემოსავლის იმ წყაროებს, რომლებიც სახელმწიფოს ხელშია.

მე უკვე ავღნიშნე, რომ სახელმწიფოს ხელშია ყველა უმთავრესი საბრძანებლო მწვერვალები: მეურნეობა, ტრანსპორტი, საშინაო და საგარეო ვაჭრობა, კოოპერაცია და ვაჭრობა. თუ ამ დარგებში ჩვენ შევსძლებთ ეკონომიის რეჟიმის გატარება, თუ ჩვენ შევსძლებთ ჩვენი აპარატის რაციონალიზაციის გატარება ისე, რომ ის მაქსიმალურად გაიაფებულ იქნა, თუ ჩვენ ვივაჭრებთ უფრო ცივილიზაციურად და სათანადო სიმაღლეზე დავაყენეთ ადმინისტრატიული მწვერვალები, მაშინ ჩვენ მოგვეცემა საშუალება დავაგროვოთ ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო საშუალებები.

კოოპერაციის ამოცანა

მეორეს მხრით, თუ ამჟამად არის ასეთი ორგანიზაცია, რომელიც არამც თუ აკმაყოფილებს მოსახლეობის სამეურნეო მოთხოვნილებებს, არამედ რომელსაც დიდ როლს აკისრებენ გლეხობის სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე დაყენების საქმეში, თუ კოოპერაციამ შესძლო გაჯანსაღება, ის გადაიქცევა არა მარტო გლეხობის, როგორც მოქალაქის და მწარმოებლის, ორგანიზაციის ელემენტათ, არამედ გახდება დაგროვების ელემენტი, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

ცეკამ აღნიშნა, რომ ეს ამოცანა ჯერჯერობით გაცილებით არ არის განხორციელებული. ცეკამ აღნიშნა, რომ ადგილებზე ბევრ მუშაკებს ჯერ კიდევ არ შეუგნიათ სავსებით კოოპერაციისათვის დაკისრებული ამოცანები, რომ პარტიის გადაწყვეტილებები უკანასკნელ წელს, განსაკუთრებით მეთოთხმეტე ყრილობის დადგენილება კოოპერაციის შესახებ,—ჯერ არ შეუთვისებიათ მთელ რიგ ადგილობრივ მუშაკებს.

კოოპერაციის აპარატის შენახვაზე იხარჯება 90 მილიონი მანეთი წელიწადში.

ზედმეტია ლაპარაკი რაიმე დაგროვებაზე, სანამ კოოპერაციაში არ იქნება გატარებული ეკონომიის სასტიკი რეჟიმი და სანამ კოოპერაცია თავის საორგანიზაციო შემადგენლობას არ შეამცირებს თუნდაც ისე, როგორც შეამცირა წითელმა არმიამ. უამისოდ შეუძლებელია კოოპერატიული კაპიტალების დაგროვება, კაპიტალების, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენ სოციალისტურ აღმშენებლობას.

სამუშაო ხელფასის საკითხი.

მეორეს მხრივ, ჩვენ გვაქვს აგრეთვე გასავალის ისეთი მუხლი, როგორიც არის სამუშაო ხელფასი. ამ სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ შემდეგი ციფრების მიხედვით: წარსულ წელს ანარიცხი სოციალურ დაზღვევისათვის შეადგენდა 400 მილ. მანეთს, ხოლო მიმდინარე წელს ის შეადგენს 600 მილ. მანეთს.

ამრიგათ, ჩვენ შემოსავალ-გასავლის ბალანსში სამუშაო ხელფასს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია.

როგორ უნდა მიუდგეთ ამ პრობლემას? ჩაჰბაათ მუშათა კლასი სოციალიზმის აღმშენებლობაში? ეს საკითხი ნათელია: ვინღა უნდა ააშენოს სოციალიზმი, თუ არა მუშათა კლასმა? ვინღა უნდა გაიღოს მსხვერპლი, თუ არ ამ კლასმა, რომელიც სოციალიზმს თავის აღთქმის ქვეყნად სთვლის და რომლისათვისაც მომავალი სოციალიზმის გარეშე არ არსებობს?

მაგრამ აქ დგება მეორე საკითხი: ჩვენ გვაქვს იმის ნიშნები, რომ ჩვენი ვალიუტა ირყევა. წარსული წლის სექტემბერში ბაზარზე გამოშვებულ იქნა ჩერვონცების დიდი რაოდენობა, რომელიც არ შეესაბამებოდა ბაზარზე არსებული საქონლის რაოდენობას და აღემატებოდა საქონლის ტრიალის მოთხოვნილებებს, რამაც გამოიწვია საქონლის გაძვირება. მაგრამ შეიძლება თუ არა აქედან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სათანადოთ გადიდებულ უნდა იქნეს ხელფასიც? მოთხოვნილება, რომ სამუშაო ხელფასი არავითარ შემთხვევაში არ იქნეს შემცირებული, რაც არ უნდა მოუვიდეს ჩერვონეცს, ცხადია, ეს თვალსაზრისი, შეიძლება, სასურველიც იყოს მუშათა კლასისათვის, მაგრამ ის მოწმობს, რომ მისი მომხრენი აღარ ითვალისწინებენ ამავე მუშათა კლასის ხვალინდელ დღეს.

ცეკამ გადაჭრით უარყო საკითხის ასე დემაგოგიურათ დაყენება. მან განაცხადა, რომ სამუშაო ხელფასი განმტკიცებულ უნდა იქნეს მიღწეულ დონეზე, მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას მეორე მხრიდან: უნდა უზრუნველვყოთ მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის შენარჩუნება არა იმით, რომ ჩვენ მივსცემთ მას დამატებითი ჩერვონცებს, არამედ იმით, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ იმ ფასების შესამცირებლად, რომლებთანაც აქვს საქმე მუშას, როგორც მომხმარებელს.

საცალო ფასების დაკლება.

და ეს ბრძოლა საცალო ფასების დაკლებისათვის ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში ექცევა. მისი მიზანია უშუალოდ დაკმაყოფილება მშრომელთა მასების, როგორც მომხმარებლის, რათა მას შეეძლოს სათანადო ფასებში მისთვის საჭირო საქონლის შეძენა. ფასების სწორი პოლიტიკის შედეგათ მომხმარებლები—მუშები, გლეხები, ღარიბი და საშუალო გლეხები იაფ ფასებში შეიძენენ საჭირო საქონელს და ეს იქნება საუკეთესო გზა მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის სიმტკიცის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ ამასთანავე ერთად, ეს ამოცანა, ეს პოლიტიკა სწყვეტს ჩვენი სინამდვილის მეორე მეტად მნიშვნელოვან საკითხს. როცა სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია იზრდება და ამ პროდუქციის ფასები ცოტათ თუ ბევრად დაბალია,—რადგან ჩვენ 1923 წლიდან ვეწევით ფასების დაკლების კამპანიას, და ვინაიდან პროდუქტების რაოდენობა არ შეესაბამება საქონელზე არსებულ მოთხოვნილებას, ჩვენ ვღებულობთ „მაკრატელს“ საბითუმო და საწვრილმანო ფასებს შორის,—სარგებლობს რა საქონლის ნაკლებობით, სარგებლობს რა ჩვენი მრეწველობის დაბალ საბითუმო ფასებით, კერძო კაპიტალი ზოგჯერ უმატებს ფასებს 100 და 200 პროცენტამდე, და ამრიგათ ის პრობლემა, რომელიც ეხება მუშას და გლეხს, მეორეს მხრით ეხება მთელს ჩვენს მრეწველობას და სპეკულიაციის ამ პროცესში მილიონების დიდი რაოდენობა გადადის კერძო კაპიტალის, კერძო ვაჭრის ხელში.

ჩვენ ამჟამად შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ დაახლოებით, თუ რამდენი შემოსავალი მიიღო კერძო კაპიტალმა უკანასკნელ წლებში, რამდენი ჩერვონეცი ჩაიკეცა თავის გაუმაძღარ ჯიბეში საბითუმო და საწვრილმანო ფასებს შორის არსებულ „მაკრატლის“ მეოხებით. ეს ციფრი უდრის 300—600 მილიონს. ყოველ შემთხვევაში, საშუალოდ შეადგენს 400—500 მილიონს. ეს ფული სპეკულიაციის და საბითუმო და საწვრილმანო ფასების შეუფარდებლობის გამო გადადის კერძო ვაჭრების ხელში და არ ხმარდება სოციალისტური აღმშენებლობის განმტკიცებას.

საწვრილმანო ფასების დაკლება და ბაზრის მოწესრიგება არის დღევანდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. აქ ჩვენ განვახორციელებთ ორ ამოცანას: დავიცავთ მუშათა კლასის და მომხმარებელ გლეხის ინტერესებს და, მეორეს მხრით, შევამცირებთ იმ თანხების რაოდენობას, რომელიც გადადის კერძო კაპიტალის, კერძო ვაჭრის ხელში.

აი დაახლოებით ის, რაც არის უმთავრესი ცეკას გადაწყვეტილებებში.

მეოთხე სხდომა

7 მაისს დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებები ადგილებიდან.

ეჩმიაძინის სამაზრო კომიტეტის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ესაიანი)

ამხანაგი ახასიათებს მაზრის საერთო მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ მაზრა ეკონომიურად საკმაოდ ღონიერად უნდა ჩაითვალოს. გადადის რა შემდეგ საბჭოთა ხელახალ არჩევნების გაშუქებაზე, მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი არჩევნები განსაკუთრებული სიცხოველით ჩატარდა.

გლეხობა ბლომად ცხადდებოდა კრებებზე და, რაც უმთავრესია, უახლოეს მონაწილეობას იღებდა კანდიდატების დასახელებაში. ზოგიერთ სოფლებში შემოდიოდა 30-მდე სია, ასახელებდენ 120-მდე კანდიდატს მაშინ, როდესაც ასარჩევი იყო მხოლოდ 25—30 დეპუტატი საბჭოში.

პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა არჩევნებზე დამაკმაყოფილებელი იყო.

ახალ საბჭოებში არჩეულია 1961 დეპუტატი; მათ შორის 975 უღარიბესი გლეხია, 281 სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია, 26 მოჯამაგირე და 140 ქალია.

არჩევნებმა დაამტკიცა, რომ პარტიის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ გადასახადების დაკლების, რევოლიუციონურ კანონიერების ატარების და სხ. შესაფერისი გავლენა იქონია გლხობის აქტივობის ზრდაზე.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 81,6 პროც. დანაკლისი აიხსნება იმით, რომ სუსტი იყო ფინანსიურ ორგანოების მუშაობა. გლეხკომების მუშაობა სუსტია. მაზრაში არის 11 კოოპერატიული პუნქტი. 8.957 წევრით. კარგათ არის განვითარებული სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია: არსებობს სასოფლო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის ამხანაგობები.

პარტორგანიზაციის მდგომარეობა ასეთია: მაზრაში 37 უჯრედია, მათ შორის 27 სასოფლო, წევრთა და კანდიდატთა რიცხვი უდრის 474. პარტორგანიზაცია უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში გაიზარდა და გაჯანსაღდა.

ბაქოს კომიტეტის მუშაობა

(ამხ. კასუმოვის მოხსენება)

თებერვალში და მარტში—ამბობს ამხ. კასმოვი.—ჩვენ ბაქოში ჩავატარეთ უპარტიო მუშათა კონფერენციები. ამ კონფერენციებზე გამოირკვა ბაქოს მუშათა კლასის დამოკიდებულება ჩვენი პარტიისადმი.

მუშათა კლასი დაინტერესებულია ჩვენი სამეურნეო მდგომარეობით. ის ფხიზლად უყურებს შექმნილ სამეურნეო დაბრკოლებებს და გათვალისწინებული აქვს მისი გამომწვევი მიზეზები.

ყველა კრებებზე მუშები მხარს უჭერენ ჩვენი პარტიის მიერ აღებულ კურსს ინდუსტრიალიზაციის საქმეში. კრებებზე მუშები მომჭირნეობის რეჟიმზეც ლაპარაკობდნენ. [illegible] დაწესებულებებში, მივლინების ხარჯებზე და სხვა და მოითხოვდნენ ამ ხარჯების შემოკლებას.

ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის სრული შეგნებიდან გამომდინარეობს ბაქოს მუშათა კლასის სწორი პოზიცია ხელფასის საკითხშიც. ამ ჟამად ისინი არ მოითხოვენ ხელფასის მომატებას, მაგრამ სამაგიეროდ ითხოვენ საქონლის ფასების დაწევას და კოოპერაციის მუშაობის გამოსწორებას.

ამხ. კასუმოვმა დაახასიათა შემდეგ ბაქოს მთა-მადნის მუშათა ხელფასი და აღნიშნა მიღწევები, რომელიც ამ დარგში არსებობს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუშები დიდათ არიან დაინტერესებულნი სოფლის საკითხებით. მათ აინტერესებთ გადასახადების, ღარიბ გლეხთათვის დახმარების და სხ. საკითხები.

საბჭოთა არჩევნებში დამახასიათებელია მუშათა აქტივობის ზრდა, ასე მაგალითად, თუ გასულ წელს არჩევნებში მუშათა 48 პროცენტი იღებდა მონაწილეობას, წელს ეს პროცენტი 56-ზე ავიდა. მუშათა საარჩევნო კრებები განსაკუთრებით ცხოვლად ტარდებოდა. წარმოდგენილი იყო დაახლოებით 3.000 კანდიდატი. დიდი იყო კამათში მონაწილეთა რიცხვი. კამათი სწარმოებდა ნაკაზის გარშემო. მუშები უმთავრესად კულტურულ საკითხებზე ლაპარაკობდნენ და მოითხოვდენ განათლების და საექიმო საქმის გაუმჯობესებას, ავალებდენ საბჭოს წევრებს ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვას და სხვა.

საბჭოში არჩეულია [illegible] კანდიდატი. მათ შორის კომუნისტები 63 პროც. შეადგენენ, კომკავშირელები 36 პროცენტი, დაზგის მუშები 30 პროცენტი. მიმდინარე წელს დაზგის მუშათა რიცხვი საბჭოში გადიდდა.

მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებათა შესწავლის კამპანია სწარმოებდა ორნახევარი თვის განმავლობაში. მთელი ორგანიზაცია ერთხმად შეუერთდა ყრილობის ყველა დადგენილებებს. შინა პარტიულ დემოკრატიის გატარებამ ხელი შეუწყო პარტაქტივის გაფართოებას.

პარტაღმზრდელობითი მუშაობა შესაფერის დონეზეა დაყენებული. პოლიტ-უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში სწავლობს 4.012 კაცი.

ორგანიზაციაში სულ 18.477 წევრი და კანდიდატია.

თბილისის კომიტეტის მუშაობა

(ამხ. სვანიძის მოხსენება)

ამხ. სვანიძე იწყებს თავის მოხსენებას თბილისის და მისი მაზრის საერთო სამეურნეო მდგომარეობის დახასიათებით და აღნიშნავს არსებულ მიღწევებს.

ქალაქის ყველა წარმოებები, ამბობს მომხსენებელი:—ტრამვაი, ელსადგური, სასაკლაო, აბანოები—იძლევიან წლიურად 751 ათასს მანეთ მოგებას. მიმდინარე წელს მაზრის ბიუჯეტი ორ მილიონამდე აღწევს. გარდა ამისა სათემო ბიუჯეტიც რეალურია, რადგან მაზრაში მსხვილ და საკმაოთ ღონიერი თემებია.

თბილისის მუშკოოპის მდგომარეობა ამ ჟამად დამაკმაყოფილებელია,—ის მოგებას იძლევა. მაზრაში არის 10 კოოპერატიული პუნქტი. არსებობს აგრეთვე—14 საკრედიტო ამხანაგობა.

ქალაქში საბჭოთა არჩევნები გადაიდო შემოდგომისათვის, ხოლო მაზრაში ის უკვე ჩატარებულია. მაზრაში ესწრებოდა კრებებს ამრჩეველთა 52,3 პროც. დამსწრეთა საერთო რიცხვის 33 პროც. ქალები დაესწრენ. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოთ მაზრაში პარტხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელი იყო. ჩატარდა არჩევნების წინასწარი კამპანია. მოწვეულ იქნა 36 ადგილას უღარიბეს გლეხთა კრებები და სხვა.

მაზრაში გლეხთა განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ მტკიცეა.

გადადის რა შემდეგ უპარტიო მუშათა შორის მუშაობაზე მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ისინი მთლიანად კომუნისტურ პარტიასთან ერთად არიან. ამ ჟამად თბილისში იწყება უპარტიო მუშათა კონფერენციები. მომხსენებელი შეეხო შემდეგ ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობას და გააშუქა ინტელიგენციის განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებათა დამუშავება სწარმოებდა აქტივის კრებაზე. კუსტას და უჯრედების კრებებზე სწარმოებდა ცალკე რეზოლიუციების შესწავლა. რეზოლიუციების უფრო ღრმად შესასწავლად დაარსებულია 20 წრე.

ამ ჟამად თბილისის პარტიული ორგანიზაციაში ირიცხება 8549 წევრი და კანდიდატი, მაზრაში 650. წევრთა საერთო რაოდენობიდან 67,7 პროც. მუშაა. უკანასკნელ თვეებში მუშათა პროცენტი ორგანიზაციაში შემცირდა, რაც მით აიხსნება, რომ ჩატარებულ იქნა ორგანიზაციის სოც. შემადგენლობის გადასინჯვა და ის ამხანაგები, რომლებიც არ იყვნენ მუშები სხვა სოც. ჯგუფში იქნენ გადარიცხული. საორგანიზაციო და აღმზრდელობითი მუშაობა ორგანიზაციაში გაუმჯობესებულია. ხშირად ხდება როგორც თბილისის ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრება, ისე ცალკე რაიონებისაც.

აპრილში ორგანიზაციაში ჩატარდა ბიუროთა ხელ-ახალი არჩევნები. ბიუროების საარჩევნო კრებები უჯრედებში ბევრ ადგილას კონფერენციებს წააგავდა, რადგან 2—3 დღის გრძელდებოდა. კრებებზე ირჩეოდა, როგორც ბიუროს მოხსენება, ისე ფაბქარხკომის ფრაქციის, სამეურნეო დარგის ხელმძღვანელ კომუნისტების და კომკავშირის უჯრედების ანგარიშები. ახალი ბიუროები ნაწილობრივ განახლებულია და შევსებული ახალი ძალებით.

დასასრულ მომხსენებელმა გააშუქა უჯრედების მდგომარეობა და აგიტპროპ მუშაობა ორგანიზაციაში.

ამხ. სვანიძის მოხსენების შემდეგ, თათბირმა საორგანიზაციო საკითხების დასამუშავებლად გამოყო სექცია, რის შემდეგ სხდომა სალამოსათვის გადაიდო.

მეხუთე სხდომა.

(ამხ. შახგილდიანის მოხსენება)

მომხსენებელმა პირველად გააშუქა ერევანის და მაზრის სამეურნეო მდგომარეობა და შეეხო ქალაქის და მაზრის ბიუჯეტს. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი გადადებულია სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. ის შეჩერდა აგრეთვე მიწათმოწყობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ სამაზრო კომიტეტს აღებული აქვს კურსი მიწათსარგებლობის სტაბილიზაციის დასამყარებლად.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შარშანდელთან შედარებით შემცირებულია 50%, მაგრამ ამ შემცირებულ გადასახადიდან აკრეფილია მხოლოდ 72% ჯერ-ჯერობით. გადასახადის ნაწილის აუკრეფლობას მომხსენებელი იმით ხსნის, რომ გლეხობა დაჩვეულია და ელოდება გადასახადის შემცირებას ან პატიებას, ისევე, როგორც ეს შარშან და შარშან წინ მოხდა.

სამომხმარებლო კოოპერაცია საკმაოთ ფეხგადგმულია; მასში ჩაბმულია მოსახლეობის 40—42%.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებისაკენ ლტოლვა,—სთქვა მომხსენებელმა,—გლეხობაში დიდია, მაგრამ ნივთიერ საშუალებათა სიმცირის გამო, მათ ვერ ვაძლევთ კრედიტებს და ამიტომ თავს ვიკავებთ ახალ ამხანაგობათა ორგანიზაციისაგან.

გლეხობის განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ სავსებით ლოიალურია, მაგრამ მათი აქტივობის ზრდასთან ერთად იზრდება კულტურული მოთხოვნილებებიც. ისინი მოითხოვენ სკოლების, სამკითხველოების, საექიმო პუნქტების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა გახსნას. კულაკობის საფრთხე, რასაკვირველია, არ არის, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი თავს იყრიან ეკლესიის გარშემო. სამღვდელოებაში დაიწყო განხეთქილება, არსებობს ახალი ეკლესია, რომელიც ჯერჯერობით სუსტია. ერევანში საკმაოდ ბევრი არიან შინამრეწველები, პარტიამ მიაქცია ყურადღება მათ შეკავშირებას და მათზე პარტგავლენის გაძლიერებას. შინაპარტიული მდგომარეობა ასეთია: ქალაქში არის 1064 წევრი და 818 კანდიდატი. მათ შორის 28 პროც. მუშებია, 42 პროცენტი—გლეხები, 30 პროც.—მოსამსახურეები. ქალთა რაოდენობა ორგანიზაციაში 8 პროცენტს უდრის. თურქი ქალები ორგანიზაციაში არ არიან. გლეხურ უჯრედებში ჩვენ ვცდილობთ ავიღოთ კურსი სასოფლო-სამეურნეო საკითხების განხილვისაკენ. წევრთა პოლიტგანვითარების დონე დაბალია, მიმდინარე წელს ჩაბმულია პოლიტსკოლებში 80 პროცენტი.

შეეხო რა საბჭოთა არჩევნების ჩატარებას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არჩევნებში კულაკები საკმაოთ მკაცრ შემოტევაზე გადმოვიდენ, მაგრამ ღარიბ და საშუალო გლეხობის წინააღმდეგობას წააწყდენ და დამარცხება განიცადეს. პარტხელმძღვანელობა არჩევნებში თუმცა აქა-იქ მოისუსტებდა, მაგრამ საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ამხ. შახგელდიანის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი ადგილებიდან მოხსენებების გარშემო. პირველი სიტყვა მიეცა ამხ. **სერგო ორჯონიკიძეს**, რომელმაც ვრცლად დაახასიათა პარტ.-საბჭოთა მუშაობა და აღნიშნა მისი ნაკლი და მიღწევები. ამ სიტყვის ანგარიშს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ საღამოს სხდომა დაიხურა, კამათი გაგრძელდება დღეს, დილის სხდომაზე.

საბჭოთა საქართველო

გურიის ჩაი

ოზურგეთი, 7 მაისი. მიმდინარე წელს ჩაის კულტურის განვითარებას ძალიან აფერხებს გასასაღებელი ბაზრების უქონლობა, მთელი ჩაის თითქმის 100% შარშანდელი მოსავლიდან გაუსაღებელი დარჩა. ამ ჟამად ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობის საწყობებში მოიპოვება 600 ფუთი გამხმარი ჩაი. ჩაის ასეთივე რაოდენობა მოიპოვება მიქელგაბირელის, ალანის, ნაგომარის და სხვ. საკრედიტო ამხანაგობათა საწყობებში.

აბრეშუმის თესლი გლეხობისათვის

ოზურგეთი, 7 მაისი. 5 მაისისათვის ოზურგეთის სამომხმარებლო საზოგადოებამ დაურიგა გლეხობას 2.500 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

გუთნები

ოზურგეთი, 7 მაისი. საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო გერმანიიდან გუთნების პირველი პარტია. გლეხებს ეძლევათ გუთნები შეღავათიან პირობებში.

აფხაზეთში

სოხუმი, 7 მაისი. ცნობამ ინგლისის სამთო-მადნო მუშების გაფიცვის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აფხაზეთის მშრომელებზე. 5 მაისს პროფსაბჭოს შენობის წინ გაიმართა მიტინგი. ორატორებმა განმარტეს ინგლისის ამბების მნიშვნელობა. აქვე მიტინგზე დაიწყო ფულის შეგროვება ინგლისელ ამხანაგების დასახმარებელ ფონდისათვის.

აჭარისტანი

ნავთის შესანახ შენობების რემონტი

ბათომი, 6 მაისი. ნავთის სინდიკატმა დაამთავრა ყველა ნავთის შესანახ აუზების რემონტი. რემონტზე დაიხარჯა 140.000 მანეთი.

საავტომობილო მიმოსვლა ართვინის გზატკეცილზე

ბათომი, 7 მაისი. ამ დღეებში განახლდება საავტომობილო მიმოსვლა ბათომართვინის გზატკეცილზე.

პროდუქციის ზრდა

ბათომი, 7 მაისი. თამბაქოს ქარხანა „ვოსტოკმა“ თავისი პროდუქცია გაადიდა 80 პროცენტით ფაბრიკის ელექტროფიკაციის წყალობით.

ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად

ბათომი, 7 მაისი. 6 მაისს ყველა მუშათა კლუბებში მოწვეულ იქნა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებები, რომელზედაც პასუხისმგებელ ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენებები ინგლისის ამბების შესახებ. კრებებზე გამოტანილ იქნა ერთსულოვანი დადგენილება ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ—ერთი დღის შრომის ხელფასის გადარიცხვის შესახებ.

ბესიას და გოგიას დისკუსია.

(სუფსა, გურია).

„მმაჩ“-ი—მოქალაქეობრივ მდგომარეობათა აქტების ჩამწერი მაგიდაა. ერთობ ბუნდოვანია სიტყვა „მოქალაქეობრივი მდგომარეობა“, მაგრამ მაინც დაკანონდა მოქალაქეობრივათ და იურიდიულ ცნებათა დარგიდან სალაპარაკო ენაშიაც დაიჭირა შესაფერი ადგილი.

ვსთქვათ კაცი დაიბადა. აშკარაა, აქ „მოქალაქეობრივ მდგომარეობასთან“ გვაქვს საქმე; ცოლი მოიყვანა ან გათხოვდა—აქაც უთუოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობაა, მაგრამ რა „მოქალაქეობრივი“ და მით უფრო „მდგომარეობა“ უნდა ვუწოდოთ გარდაცვალებას, როცა კაცი არა თუ მოქალაქეებიდან ითიშება სამუდამოთ, არამედ აგრეთვე ყოველივე დგომის უნარს ჰკარგავს.

მაგრამ რას იზამთ? ჩვეულება ზოგჯერ იგივე კანონია. ასე დაწესდა თავიდანვე და ასე შეითვისა ყურმა იმ ახალ, ფრიად სიმპატიურ დაწესებულების სახელწოდება, რომელსაც „მმაჩ“-ი ეწოდება. ოღონდ მაჩვი ნუ იქნება და „მმაჩ“-ს კიდევ შეურიგდება ადამიანი.

გოგიას და ბესიასაც „მმაჩ“-ზე ჰქონდათ კამათი. მაგრამ, სულ სხვა მიდგომით, ვიდრე ეს ჩვენ ზევით განვმარტეთ. გოგიას შემთხვევით ხელში ჩაუვარდა გაზეთის ის ნომერი, სადაც ქორწინების კოდექსზე იყო მოთავსებული საკამათო წერილი.

„ბიჭო, გოგია, რა სწერია მაგ გაზეთში ახალი?“—შეეკითხა ბესია მწიგნობარ გოგიას. „რაი, ძამია, და აწი ქორწინება უნდა მოხთეს უმაჩოთ. მოგეწონოს—შეეყარე, არ დაგიჯდეს—გაეყარე. რაც ლამაზი ქალებია, შენი იქნება აწი, ჩემო ბესია“.

ბესია ოჯახის და შრომის მოყვარული ყაირათიანი გლეხია. მას ჭკუაში არ დაუჯდა ქორწინების ასეთი განმარტება.

„არა, ძამია, მე მაჩით შევეყრები და მაჩითვე გავეყრები“,—უთხრა ნაწყენი კილოთ ბესიამ გოგიას და ის იყო წასვლა დააპირა, რომ მოსაუბრემ სიტყვა პირში გამოართვა და, შეატყო რა ბესიას გაჯავრება, გულის გასახეთქათ მიახალა მას:

„შენ გინდა მაჩში წადი და გინდა რესპუბლიკის პრეზიდენტი ვახდი, ქალი მაინც არ შემოგხედავს, დაბზღრიკულხარ ყაძახი კვარაკუნჩხასავით“-ო.

ბესიას პირში ნერწყვი გაუშრა, თვალებში სიბრაზისაგან ცრემლები მოადგა, მუშტები თავის-თავად შეკუმშა და აქოჩრილი მივარდა გოგიას გასაგლეჯად. გოგიასაც, რასაკვირველია, არ ეძინა. შეიქნა ერთი ბურძგლაობა და დაცემ-ადგომა. იმდენი სცემეს ერთმანეთს გრძნობადაკარგულ ბესიამ და გოგიამ, რომ, როგორც აქ იტყვიან, რჯული გააცალეს ერთი-მეორეს. ბოლოს საქმეში მილიცია ჩაერია და მოჩხუბრები გააზავა, თორემ, ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე. მაგრამ ეს ხომ საქმეს არ უშველის. ასეთი შეტაკება ვინძლო ისევ განმეორდეს. რომ ასედაც არ იყვეს საქმე, საჭიროა მაინც ადგილობრივ კულტურულ დაწესებულება - ორგანიზაციებმა იზრუნონ ქორწინების კოდექსის ირგვლივ გამართულ კამათის განმარტებებზე.

ქვინტელი.

ახალი ქარხანა

(თელავი)

უმაღლესი სამეურნეო საბჭო ხსნის აბრეშუმის ძაფის ამოსახვევ ქარხანას ქ. თელავში. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ქარხნის საფუძვლიანად შეკეთებისათვის.

ორ სართულიანი შენობა, რომელიც თავისუფლად დაიტევს 300—350 მუშას ერთ საუკეთესო თანამედროვე შრომის ძეგლად უნდა ჩაითვალოს მთელ თელავის მაზრაში.

შენობის შეკეთება ოთხი თვეა რაც დაიწყო და ქარხნის სრულიად დამთავრებას, მანქანების დადგმით, ალბათ კიდევ დაახლოვებით ორი თვე მოუნდება. თვით შენობა თითქმის უკვე მზათ არის, ეხლა მუშაობა სწარმოებს ორთქლის ქვაბის მოსაწყობათ, რომლის მოშორებით უკვე დამთავრებულია ვებერთელა ერთ მილიონ ვედროს წყალტევის აუზი.

ძაფის ამოსახვევი მანქანები უკვე მიღებულია იტალიიდან და ორი დიდი ოთახი ძლივს იტევს მის ნაწილებს. მანქანების დასადგმელად იტალიიდან წამოსული არიან სპეციალისტები.

ქარხანაში ჯერ-ჯერობით მუდმივ იმუშავებს 150 მუშა-ქალი, ხოლო სეზონურათ 250. ქარხანა მოწყობილი იქნება დაბლა სართულში, ხოლო მაღლა—კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი, სამკითხველო, სცენა, დარბაზი კრებებისათვის და სხვა.

ამნაირად კახეთის დედა ქალაქ თელავში ძალიან მალე გვექნება სკუთარი აბრეშუმის ქარხანა, რომელიც ხელს შეუწყობს ჭიის პარკის გავრცელების, მოყვანის და გაუმჯობესების საქმეს.

მეაბრეშუმეობას აქამდე ხელს უშლიდა, სხვათა შორის, თუთის ხეების სიმცირე.

ქარხანა აწყობს მაზრის ყველა რაიონში თუთის სანერგეებს. ნერგები გლეხებს მუქთად დაურიგდებათ.

ვანლი.

წერილებიდან

ს. ხუნწი (სენ. მ.)

კარტაობა მინდვრათ. გაზაფხული აქაურ უსაქმო ახალგაზრდობისათვის დადგა. მთელი დღეობით მინდორში სხედან და კარტის თამაშობით ირთობენ თავს. მათ უყურებს მცირეწლოვანები და ირყვნებიან. რას უყურებს თემალმასკომი?

ვენერა.

ლანირ-ჯაგანი, (ქუთ. მ.)

იმედები არ გამართლა. პირველად გლეხები დიდ იმედებს ამყარებდენ ჩვენს გლეხკომზე. მაგრამ თავისი უხეირო საქმიანობით გლეხკომმა დიდი უნდობლობა დაიმსახურა მთელ სოფელში. აფთიაქის გასახსნელად შეგროვილი ფული, სად გაქრა, კაცმა არ იცის. მოთმინებიდან გამოსულ გლეხებმა დადგენილება გამოიტანეს გლეხკომის დახურვის შესახებ. საჭიროა მაზრგლეხკომი ჩაერიოს ამ საქმეში.

გლეხი.

ს. ამაღლება, (გურია)

ქელეხებს ბოლო არ ელება. არ იქნა, ჩვენმა გლეხებმა ვერ მოიშალეს უაზრო და განმანადგურებელი ჩვეულება ქელეხების მართვა. თვითეული მიცვალებულის დაკრძალვა ჰპირისუფალს უჯდება 100-150 მანეთი. სად შეუძლია ღარიბ გლეხს ამდენი ფულის გაღება, თუ მან არ ისესხა და არ ივალა, ან რაიმე ოჯახისათვის დიდი საგანძური არ გაჰყიდა. დროა გამოვეეთხოვოთ ამ დამღუპველ ჩვეულებებს.

ქოჩორა.

მუშათა ცხოვრება

როგორ გაიგეს მომჭირნეობა

(პატარა ფელეტონისებური)

— კაცო! რაღაც მომჭირნეობის რეჟიმი რომ შემოიღეს ახლა, იცი, რომ ეს კარგი საქმეა! იქნება ამიერიდან ეშველოს რამე იმ უთავბოლო და უანგარიშო ხარჯებს, რასაც ზოგიერთი ჩვენი გამგე-დირექტორები ჩადიოდენ! მხიარული და ზეჯითი კილოთი მიმართა საუზმის დროს ქარხნის მუშამ ხლომ ონოფრეს.

— რის მომჭირნეობა კაცო?! რას ამბობ?!

— აი ფულის, მასალის, სხვა და სხვა ხარჯების შემცირება—მომჭირნეობა, ხომ გესმის! ე. ი. ხარჯების შემოკლება.

— იცი, რა ვითხრა, ილო-ჯან?!

— რას მეტყვი?

— ეგ მომჭირნეობის რეჟიმი, იცი როგორ გაიგეს ზოგიერთებმა?

— როგორ?

— აი როგორ: აიღეს და მომჭირნეობის თვალსაზრისით, ზოგან შემოკლეს შტატი. მერე ვინ დარჩა შტატს გარეთ?

— შიკრიკი, ან მემანქანე ქალი კიდევ დაბალი მუშა-მოსამსახური. აიღეს და შეამოკლეს საკანცელარიო ხარჯები: ნაცვლათ ხუთი კალმისა, შეიძინეს სამი, ნაცვლად ერთი რზმა ქაღალდისა იყიდეს ნახევარი რზმა.

— სამაგიეროდ ჩვენი ინჟინერი უკვე ოცდარვა დღეა, რაც მივლინებაშია. ამას წინადაც ხომ იყო 23 დღე სამეგრელოსა და აფხაზეთის გზატკეცილების დასათვალიერებლად.

— მართლა, კაცო! ნეტა რა გააკეთა მან ამ ხნის განმავლობაში?

— რა გააკეთა? სამი დღე სწერდა პატაკს დაბრუნების შემდეგ (ესეც დროს მომჭირნეობა!).

— რაო, რა გააკეთეო?

— დავათვალიერე ზუგდიდის გზები და აფხაზეთის გზატკეცილებიო. სწერდა იგი პატაკში, შორიახლო (მიმოხრდომ), გავიარე ენგურის ხიდიან და ვინაიდან წვიმიანი დღე იყო დისტანციამდე არ მივსულვარ, საჭიროც არ იყო, ვინაიდან სამუშაოს უფროსმა გადმომცა, ყველაფერი რიგზედ არისო.

— ეს არის დათვალიერება?!

— დიახ, დათვალიერება, რომელიც დაჯდა სულ 37 თუმანი—14 კაპეიკის დაკლებით.

— 14 კაპეიკი რაღა არისო?!

— როცა ანგარიში გასწორა, 14 კაპეიკი დამორჩა დაუხარჯავი ოცდაჩვიდმეტ თუმნის ანგარიშში—და სწორედ ეს 14 კაპეიკი დააბრუნა უკლებლად.

— ყოჩაღ, ინჟინერო! აი „ნამდვილი მომჭირნეობის“ კაცი, სწორედ მაგი უფლია, რომ ის თოთხმეტი კაპეიკიც არ შემოიხარჯა ამ სიშორე გზაზე მოგზაურობის დროს.

ხუმრობა ხომ არ არის, სამეგრელოს და აფხაზეთის გზების „შორი ახლო“ დათვალიერება, ისიც წვიმიან დღეში.

— უფრო კარგს გეტყვი კიდევ. აზერბეიჯანის გზატკეცილების დისტანციის უფროსს ხუბა-აგდამში, მივლინების დროს ერთი-მეოთხმეტედით გამოუწერია მივლინების ფულადო და ეს მიტომ, რომ იქ კოღოები მწარეთ იკბინებოდენო“.

— კოღოების კბენა არაფერია, ჩემო მეგობარო! უფრო მწარე იქნება, როცა ჩვენი მუშკორები დაიწყებენ კბენას თხუნიის კალმის წვერებით. სთქვა ილომ და გაეშურა დაზგისაკენ ვინაიდან უკვე საყვირმა დაიგუგუნა და მუშებს მოუწოდებდა დაზგისაკენ.

მუშკორი პ. ჩხიკვაძე.

მუშაობაც ასეთი უნდა

სენაკის საბჭოთა მუშაკების კავშირის ახლად არჩეული გამგეობა ამხ. ს. თურქიას თავმჯდომარეობით ენერგიულათ მუშაობს. სამშაბათობით იმართება სამაზრო გამგეობის სხდომა. სხდომას ესწრებიან თითქმის გამგეობის ყველა წევრები და ყოველგვარი საკითხი სწყდება კოლეგიალურად.

გამგეობას გამოყოფილი ყავს: კულტკომისია, შრ. დაცვ. კომისია, ეკონომიური კომისია.

მუშათა კლუბის წევრად ითვლება 246 კაცი ყველა კავშირებიდან. მათ შორის 208 საბჭოთა კავშირის წევრია.

კავშირის წევრების თითქმის 80%—წევრია აგრეთვე „წერკუმსის“, „რემედასის“ „ავიაქიმის“ და სხვა.

წევრები იწერენ გაზ. „კომუნისტს“ და „მუშას“.

რაიადგილკომებს დარიგებული აქვთ პროფლიტერატურა და მოწყობილი სამკითხველო.

მაზრაში 8 ადგილკომია, რომელნიც აერთიანებენ 546 კავშირის წევრს. საწევრო გადასახადების აკრეფა ინდივიდუალურია და ჯამაგირებიდან გაქვითებას ადგილი არა აქვს.

საერთოდ, სენაკის მაზრის საბჭოთა მუშაკების სამაზრო გამგეობა წესიერათ მუშაობს. მუშაობაც ასეთი უნდა!

მუშკორი უჩა.

—:—

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს.

წაბლარის ხევის სახერხ ქარხანაში ვმუშაობთ 30-ზე მეტი მუშა. ჩვენ გვაქვს სასადილო. არის აქ მეპურე და მზარეული, რომელთაც შევყურებთ მუშები. ჩვენ აქ არც ერთს არ გვყავს ცოლშვილი. მუშები ძალიან უკმაყოფილო არიან სასადილოს გამგეობით. ჯერ ერთი, რომ ესენი თავის დროზე არ მოდიან თავიანთ სამსახურზე, მეორე ის, რომ მუშები გავდივართ სამუშაოზე დილის სრულ 7 საათზე და, რა თქმა უნდა, თუ არ ვჭამეთ ცოტა საჭმელი, ის 12 საათამდე ვერ ვიმუშავებთ. ესენი კი 9 საათამდე სასადილოში არ მოდიან. ამიტომ მუშებს საშუალება არ აქვთ, რომ 7 საათამდე პური ჭამონ და ქარხანაში მუშაობის დროს ჭამენ. ეს წარმოებისათვის საზარალოა.

ხშირი მოვლენაა, რომ მეპურეს ფქვილი არ მოუტანეს თავის დროზე და როდესაც მუშები 12 საათზე სწყვეტენ მუშაობას სადილის საჭმელად, საჭმელი მათ არ ხვდებათ მზათ. მუშები ამით ძალიან უკმაყოფილო არიან და მათში იწვევს ეს გარემოება საქმისადმი გულგრილობას. გულგრილობით კი წარმოება წინ ვერ წაიწევს.

მზარეული ამზადებს კვირაში სადილს სამჯერ ხორცით და სამჯერ ლობიოთი. ხორცი მიაქვთ უფრო ხშირად იმათ, ვისაც კარგი ხელფასი აქვთ. თუ დარჩება ძვლები და მისცემენ მზარეულს. მუშები ამაში ფულს იხდიან. ხორცს სხვები სჭამენ, მუშებს კი ძვლებს გვიგდებენ.

საჭიროა ეს ნაკლი გამოსწორდეს.

შავი მელა.

მუშათა ქრონიკა

— სახლი ინგრევა და პატრონი კი არსაიდან სჩანს. ნახშირის ქ. სახლი № 14 ძალზე მოძველებულია და დაზიანებული. სახლს კედლები გამონგრეულო აქვს. სახლის პატრონს სხვა სახლში ცხოვრობს და არხეინად ვაჭრობს ფაის მაღაზიაში. სახლს კი არავითარ ყურადღებას ის არ აქცევს. ამ სახლში უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ. ალმასკომი, აუწიე ამ ბოროტ კაცს ყური!

მუშკორი მისწრება.

წითელ ჯარში

1-ლ ქართ. ს. დივიზიის თბილისის გარნიზონის უპარტიო წითელარმიელთა მე-6 კონფერენცია

პირველი დღე

5 მაისს ქართ. მსრ. დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა თბილისის გარნიზონის უპარტიო წითელარმიელთა მე-6 კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა დივ. პოლიტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. **მიქაძემ** მოკლე მისასალმებელი სიტყვით. მისალმებებით გამოვიდნენ აგრეთვე არმიის პოლიტსამმართველოს და რევ. სამხ. საბჭოს წარმომადგენელი ამხ. **რატნეკი,** მეორე ქართ. დივიზიის წარმომადგენელი ამხ. ნუცუბიძე და სხ.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს: **სტალინი ბუხარინი, რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ლევანდოვსკი, ორჯონიკიძე და რატნეკი.** სამანდატო კომისიის, სამდივნოსი და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ 1-ლი სხდომა დაიხურა.

სხდომის შემდეგ დელეგატებისთვის დადგმულ იქნა წარმოდგენა წითელარმიელთა ძალებით.

მეორე დღე

6 მაისს, დილის სხდომაზე კონფერენციაზე ამხ. ქ. ოკუჯავამ გააკეთა მოხსენება „საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები. მოხსენების გამო რეზოლიუციის შემუშავება დაევალა კომისიას.

მესამე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა თბ. ალმასკომის წარმომადგენლის **ამხ. მესხის** მოხსენება ალმასკომის საქმიანობის შესახებ.

ამხ. მესხი დაწვრილებით შეჩერდა ალმასკომის ყველა სექციების საქმიანობაზე: შეეხო მაზრაში განათლების საქმეს, ჯანმრთელობის და სოფლის მეურნეობის მდგომარეობას. წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეში მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახლო ხანში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებიდან გამოშვებული იქნება 17.000 გლეხი, რომლებმაც წერა-კითხვა შეისწავლეს.

დასასრულ ის შეეხო ზაჰესის სადგურის დამთავრებას და სთქვა, რომ ზაჰესის სამუშაოები დასრულდება სექტემბერში და შემდეგ ორი თვის განმავლობაში გაშვებული იქნება ელექტრო ენერგია, რაც დიდ გავლენას მოახდენს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

მესამე დღე

7 მაისს, დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. მომხსენებლებათ გამოდიან თითო ნაწილიდან ორ-ორი წარმომადგენელი. ერთი 1902 წელში დაბადებულთაგან და მეორე 1903 წელში დაბადებულთაგან.

დილის სხდომაზე მოისმინეს მხოლოთ ერთი მოხსენება საარტილერიო ლეგიონიდან.

ადგილების წარმომადგენლები თავის მოხსენებებში ეხებიან უმთავრესად საზამთრო პერიოდში ჩატარებულ მუშაობის შედეგებს, კულტურული საქმიანობის. ვითარებას წითელარმიელებში და სხვა.

მუშაობა ერთი შეკრებიდან მეორე შეკრებამდე.

ტერიტორიალურ სისტემას თანდათან მტკიცე საფუძველი ეყრება. ჯარის აპარატი უკვე მთლიანად შეეგუა ამ ახალ წყობილებას და მუშაობა მიმდინარეობს შეუჩერებლად. შეკრებები ტარდებიან დამაკმაყოფილებლად და შედეგები მათი დადებითია.

ეხლა მთავარი ყურადღება მიქცეულია ცვალებად წითელარმიელებთან მუშაობაზე—ერთი შეკრებიდან მეორე შეკრებამდე.

ამ მუშაობის მტკიცე და საღ ნიადაგზე დაყენება ტერიტორიალურ სისტემის ცხოვრებაში მთლიანად გატარების და ტერიტორიალურ ნაწილების საბრძოლო უნარის განმტკიცების მთავარი პირობაა.

ამ დარგში ზოგიერთი თვალსაჩინო მიღწევები უკვე გვაქვს. ჩვენ დღეს-დღეობით მივაღწიეთ იმას, რომ ხელისუფლება ადგილებზე და მოსახლეობა მთლიანად გარკვეულია ასეთი მუშაობის საკითხებში და გვიწევენ ყოველგვარ რეალურ დახმარებას და, მეორე მხრივ, თვით ძირითად ნაწილების შემადგენლობამ სცნო აუცილებლად და საჭიროდ ამ მუშაობის წარმოება. ეხლა ჩვენს ამოცანას შეადგენს ამ მიღწევების მიზანშეწონილად გამოყენება და შესწავლა მდიდარ პრაქტიკულ მასალის, რომელიც მოგვცა წარსულმა მუშაობამ.

საჭიროა, რომ მუშაობაში ჩაებათ მთელი შემადგენლობა ტერიტორიალური ნაწილების. აქამდე ყურადღება ექცეოდა მხოლოდ და მხოლოდ მუშაობის პოლიტიკურ საგანმანათლებლო მხარეს. ეხლა კი ყურადღების ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს ცვალებად წითელარმიელების სამხედრო-პოლიტიკურ მომზადებაზე.

წარსულში ხელისუფლება ადგილებზე და პარტორგანიზაციები ეწეოდენ დიდ შრომას ტერიტორიალურ ნაწილების გასამაგრებლად და მათ უზრუნველსაყოფად მატერიალური მხრით, მაგრამ ეს მუშაობა არ იყო გეგმიანი, ხშირათ არ იყო შეთანხმებული სამხედრო ორგანოებთან; მომავალში საჭიროა, რომ მუშაობა იყოს აგებული გეგმაზე და თანხები, გაღებული სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ, იხარჯებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ საჭიროებებზე.

მომავალში მუშაობაში მთლიანად უნდა იქნას ჩაბმული სათადარიგო უფპოლიტშემადგენლობა. ცნობებიდან, რომლებიც ჩვენ ხელთა გვაქვს, სჩანს, რომ წარსულ მუშაობაში სათადარიგო უფშემადგენლობას ძალიან მცირე მონაწილეობა მიუღია. ეს ნაკლი უეჭველად უნდა გამოსწორდეს, ვინაიდან სათადარიგო უფპოლიტშემადგენლობის წყალობით ჩვენ შევძლებთ ცვალებად წითელარმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ მომზადების გაფართოებას და წვევამდელთა სწავლების საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებას.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები ამთავითვე, რომ ადგილებს მივაწოდოთ სახელმძღვანელო მასალა (პროგრამები, სამხედრო ლიტერატურა, ხელსაწყოები), რომლის უქონლობაც აფერხებდა სწავლებას.

ყველა ზემო ნათქვამის მოგვარება და განხორციელება მოგვცემს საშუალებას, რომ ცვალებად წითელარმიელთა მომზადება დავაგვირგვინოთ სასურველად და განვამტკიცოთ ჩვენი რესპუბლიკის ბრძოლის უნარიანობა.

ე. ხ.

ჩვენი საქმიანობა.

(მე-2-ე ლეგ. მე-6-ე ასეული).

ასეულში მოვსპეთ წერაკითხვის უცოდინარობა. წითელარმიელნი, რომლებმაც ჯარში გაწვევისას ანბანა არ იცოდენ, ეხლა თავისუფლად კითხულობენ წიგნებს და თანამშრომლობენ კედლის გაზეთში.

სამხედრო დისციპლინია ასეულში განმტკიცებულია. დეზერტირობას სრულიად არა აქვს ადგილი. წითელარმიელნი შეგნებულად ასრულებენ ყოველივე დავალებებს. დისციპლინის განმტკიცებას ხელს უწყობს ხშირი ბაასი საღამოობით ასეულის ცხოვრების ირგვლივ და სამხედრო ვალდებულებათა შესახებ.

გ—ა.

გასამხედროების ფრონტზე.

(ქუთაისის გარნიზონი).

გასამხედროების საქმეს დიდი მიღწევები აქვს ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლებში. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მეცადინეობა არ არის სავალდებულო, მსურველები მაინც ბლომად არიან.

ერთ-ერთ სასწავლებელზე მიმაგრებულია ოთხი მეთაური, რომელნიც ატარებენ სამხედრო მეცადინეობას კვირაში ორჯერ. სამხედრო სწავლებაში ჩაბმულ მოწაფეთა რიცხვი აღწევს 360-ს.

ნაწილის სამხ.-სამეცნიერო კომიტეტები მიმაგრებული არიან სასწავლებლებზე. ეს გვაძლევს საშუალებას ჩავაბათ სამხედრო საქმიანობაში მეტი წილი მოწაფეებისა.

გასამხედროების საქმე ცოტათი მოიკოჭლებს სამოქალაქო კლუბებში. აქ გვაქვს სამხედრო კუთხეები, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით საქმის დაყენება სწორ ნიადაგზე.

ქუთაისელი.

მორიგი გაწვევისათვის.

12 მაისიდან 16 მაისამდე მოხდება წინასწარი მოსამზადებელი გაწვევა 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის, რომელნიც მიწერილი არიან მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიის ერთეულებზე.

აღნიშნული ახალგაზრდები უნდა გამოცხადდენ თავიანთ ერთეულებში.

გაწვევის ვადა ორთვენახევარია.

აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ერთი თვის ვადით 1902 წელში დაბადებულნი ცვალებად შემადგენლობის წითელარმიელნი, რომლებიც მიწერილნი არიან მსროლელ ლეგიონებზე და რომლებსაც სამხედრო მომზადება სრულიად არ გაუვლიათ.

პროფკავშირებში

მეტყავეთა კავშირში

ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია კავშირის აქტივის ზრდა, რაიც ნათლად მოწმობს მუშების კულტურული დონის ამაღლებას, გაჯანსაღება დაეტყო მუშაობას ეკონომიურ და შრომის დაცვის სფეროში, რაიც ახალი გამგეობის შრომის უნარიანობას უნდა მიეწეროს. გამგეობამ შესძლო მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა ამ მიმართულებით.

კულტმუშაობა

მეტყავეთა კავშირის კლუბებში ამჟამად სწარმოებს ენერგიული კულტმუშაობა. ერთად-ერთი დაბრკოლება, რომელიც მდგომარეობდა კლუბების სათანადო შენობის უქონლობაში, ამჟამად აღმოფხვრილია. კავშირს ყავს მოწვეული ლექტორთა საჭირო კადრი, რომლის მეოხებით ინტენსიური ტემპით სწარმოებს მუშაობა სხვადასხვა წრეებში და მუშებიც ხალისიანად ეკიდებიან ამ საქმეს.

შემოღებულია კითხვა-პასუხის საღამო, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

წ. კ. უცოდინარობასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს და ახლო ხანში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნება.

მიღებულია ზომები წიგნთ-საცავ-სამკითხველოების და წითელი კუთხეების ქსელის გასაფართოებლად. უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში მოეწყო 23 ლექცია საჭირბოროტო საკითხებზე.

ხელფასის მოწესრიგება

ხელფასის საკითხი მწვავედ იდგა. ეხლა ეს საკითხი მოგვარებულია. სახელმწიფო ტრესტებში მუშებს ხელფასი გაუდიდდათ 10 პროცენტით, კერძო წარმოებებში მომუშავეებს 15 პროცენტით. ახლო ხანში დაიწყება ახალი კოლხელშეკრულებების დადება სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებთან. ახალ კოლხელშეკრულებებში სათანადოთ გადაჭრილი იქნება შრომის დაცვის საკითხები.

დასასვენებელ სახლების შესახებ

მეტყავეთა კავშირის გამგეობის ღონისძიებით მომავალ სეზონში დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება დაახლოებით 200 მუშა-მოსამსახურე. მუშები გაიგზავნებიან აგრეთვე კურორტებზე და წყლით სამკურნალო ადგილებზე.

ექსკურსიები

კავშირი ცდილობს ექსკურსიებს მიეცეს მასიური და სისტემატიური ხასიათი. პირველ მაისისათვის ექსკურსია ეწყობა ბათომში და შემდეგ ბაქოში. მუშები გაეცნობიან ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, დასასვენებელ სახლებს, საბაგვრო კრას და მათ ჭირ-ვარამს. ამგვარად წლევანდელი საექსკურსიო სეზონი ჩატარებული იქნება ფართო მასშტაბით.

ჯ—ია.

პროფმუშაობის ქრონიკა

მედსანშრომის მუშაკთა კავშირში

— **მოხსენება პროფსექციის მუშაობის შესახებ.** მედსანშრომის კავშირმა დაავალა პროფსექციის ბიუროს, ახლო მომავალში მოხსენება გააკეთოს თავის საქმიანობაზე ცენტრალურ გამგეობაში.

— **პლენუმი.** 26 მაისს, მოწვეულია მედსანშრომის კავშირის გაფართოებული პლენუმი.

— **დასასვენებელი სახლი.** ც. გამგეობამ დადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები ახალ-დაბაში დასასვენებელი სახლების ასაგებად.

— **მუშაობის გასაცხოველებლად.** დაევალა კავშირის საორგანიზაციო განყოფილებას გამოიმუშაოს სათანადო ღონისძიებანი ექიმთა და ვეტმუშაკთა სექციებს შორის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

— **ხელფასის დაგვიანების შესახებ.** ც. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს, რათა მაზრებში მომუშავე მედმუშაკებს თავის დროზე ეძლეოდეს შრომის ხელფასი.

— **მედმუშაკთა კავშირის** საერთო საქალაქო კრება მოწვეულია 25 მაისს. ამ კრებაზე აირჩევენ დელეგატებს საკავშირო მედმუშაკთა ყრილობაზე გასაგზავნად.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში

— **კულტფონდის ხარჯთ-აღრიცხვა.** ხელოვნების მუშაკთა კავშირის ც. გამგეობამ დაამტკიცა კულტფონდის ხარჯთ-აღრიცხვა იანვარი-ივნისის თვეების.

— **მუშაობა იცნეს დამაკმაყოფილებლად.** ც. გ-ბამ მოისმინა კინო-მრეწველობის ჯგუფკომების თავმჯდომარის ამხ. ანანოვის მოხსენება თავის საქმიანობაზე და სცნო დამაკმაყოფილებლად.

— **იუბილეების შესახებ.** კავშირმა მიიღო ახალი დებულება იუბილეების გამართვის შესახებ

— **სატარიფო შეთანხმების გამომუშავება.** ც. გამგეობამ დაავალა ფოტო-კინო სექციას შეიმუშაოს სატარიფო-შეთანხმებანი კინო-მახიობისათვის.

— **ხელოვნების მუშაკთა სახლი.** ც. გამგეობამ დაადგინა კულტფონდის 50% ანარიცხების ანგარიშში გაიღოს 2.000 მანეთი ხელოვნების მუშაკთა სახლის მოსაწყობად.

— **ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია.** ხელოვნების მუშაკთა კავშირ. საჭიროდ სცნო ცხოვრებაში გაატაროს ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია.

— **ცენტრალურმა გამგეობამ** სამაზრო განყოფილებების მუშაობის გამოსაკვლევად დასავლეთ საქართველოში მიავლინა ამხ. თოხაძე.

— **კავშირიდან გამორიცხვა.** ც. გამგეობამ საწევრო გადასახადის შემოუტანლობისათვის მექანიკურად გამორიცხა კავშირიდან ვენკოვსკი, ისეცკი, ურბანი, პანკრატოვა, ნოვაკი და ტესტოვი.

— **ამხანაგური საყვედურის გამოცხადება.** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა ამხანაგური საყვედური გამოუცხადა საოპერო თეატრის თანამშრომელთა იმ ჯგუფს, რომელმაც ამას წინად ჩაშალა საშეფო წარმოდგენა და პიროგოვისადმი თანაგრძნობის გამოცხადების მიზნით, მოაწყვეს გამოსვლა ადგილობრივ პრესის წინააღმდეგ ხელოვნების მუშაკთა სახელით, მაშინ, როდესაც გამგეობასთან ამ საკითხის ირგვლივ არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონიათ.

— **პროფდისციპლინის დარღვევისათვის.** გამგეობამ კავშირიდან გამორიცხა კიპარენკო-დამენკი.

სასოფლო მეურნეობა

ა.-ქ. სასოფ.-სამეურნეო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი

გუშინ, 7 მაისს, დილით გაიხსნა ა.-ქ. სასოფ. სამ. ბანკების წარმომადგენელთა მორიგი თათბირი.

სასოფ. სამ. ბანკის საქმიანობა

პირველათ თათბირზე გამოვიდა ა.-ქ. სასოფ. სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ჩხენკელი, რომელმაც გააკეთა ინფორმაციული მოხსენება სასოფლო სამეურნეო კრედიტის შესახებ ამიერ-კავკასიაში,

მომხსენებლის სიტყვით, მიმდინარე წელში აღსანიშნავია საგრძნობი გადიდება ცალკე ბალანსებისა (აქტიურ ოპერაციების ზრდა). რაც შეხება მიზნობრივ სესხების გაცემას, ცალკე რესპუბლიკებზე—იგი გამოიხატება შემდეგნაირად: საქართველოში 45,2 პროც., აზერბეიჯანში—35 პროც. და სომხეთში—19,8 პროცენტი. რესპუბლიკებში აღსანიშნავია აგრეთვე სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციების ზრდაც.

გადადის რა ძირითად ქსელის საქმიანობის დახასიათებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს ბალანსების ზრდას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მათში ძლიან მცირე ადგილი უკავია გლეხების მიერ ფულის შეტანას შესანახად.

საერთოდ მოხსენებიდან ირკვევა, რომ სასოფ. სამ. საკრედიტო სისტემა უდიდეს ყურადღებას აქცევდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

მოხსენებები ადგილებიდან

ამხ. ჩხენკელის მოხსენების შემდეგ ამავე თემაზე გააკეთეს მოხსენებები საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის სასოფ. სამ. ბანკების წარმომადგენლებმა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

გერმანული ფირმების ჩამოსვლა

ა.-ქ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ უკვე დაიწყეს ჩამოსვლა სხვადასხვა ქვეყნების ფირმებმა.

უკვე ჩამოვიდნენ: გერმანულ ფირმის „მაგირუსი“-ს ექსპონატები, რომელთა შორის აღსანიშნავია 30 მეტრიანი ავტოკიბე, დიდი სახანძრო ავტოცისტერნა, რომელიც იტევს 2 ათას ლიტრა წყალს და ხანძრის საწინააღმდეგო სხვა ხელსაწყოები. ფირმა „მაგირუსის“ ავტომობილები მონაწილეობას იღებდენ გასული წლის საკავშირო ავტო-გადარბენაში და დიდი სახელიც მოიპოვეს. აგრეთვე ჩამოტანილია ამავე ფირმის მიერ ორ-ბორბლიანი წყალსაქაჩი მილები და სხ.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს „მაგირუსის“ ფირმის წარმომადგენელმა ინჟინერ **ტენცმა** განაცხადა, რომ „მაგირუსი“-ს ფირმას დიდი სურვილი აქვს მჭიდრო კავშირი დაიჭიროს განსაკუთრებით ამიერ - კავკასიასთან და მოაწყოს თავისი წარმომადგენლობა თბილისში.

ჩამოსულ სხვა ფირმებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე გერმანული ფირმა „სიმენს - შუკკერტი“, რომლის ექსპონატები მთლიანათ შეიცავს სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების ნიმუშებს. ჩამოტანილ ნიმუშებს შორის აღსანიშნავია მანქანა ავტო - ფრეზი, რომელიც წარმოადგენს აგრო - ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევას: ავტო-ფრეზი ერთადაიმავე დროს ასრულებს გუთნის, ფარცხის და სხვა იარაღების დანიშნულებას. ექსპონატებს თან ჩამოყვა ინჟინერ-სპეციალისტი, რომელიც უხელმძღვანელებს ავტო - ფრეზის საცდელ - საჩვენებელ მუშაობას.

გერმანულ მესამე ფირმის „გენრიხ ლანცის“ წარმომადგენელი საბჭოთა ფირმა „მეტ“-თან ერთად გამოფენის ადგილზე ააგებს ელექტრონის სადგურს, რომლის ასამუშავებლად გამოიყენებს ტრაქტორებს.

თბილისში ჩამოვიდა აგრეთვე გერმანიის იარაღ - მანქანების დამამზადებელ 5 ფირმის წარმომადგენელი ინჟინერი **კიუნნეხი.**

ამ ფირმების მიერ გამოგზავნილია: სათესი მანქანები, ჩალის საჭრელები, მევინეობის დარგში საჭირო აპარატები, კულტივატორები, არცხები და სხ.

სინდიკატ „სელმაშის“ ნიმუშებიც ჩამოსულია. მათ შორის არის ერთი ტრაქტორი „ზაპოროჟეცი“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ტრაქტორების გადარბენაზე და საპატიო ადგილიც დაიკავა. ეს ტრაქტორი მონაწილეობას მიიღებს ტრაქტორების გამოცდაზე ყარაიაზში.

ლექციები

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოაწყოს ლექცია-მოხსენებები და საუბრები ექსკურსანტებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ადგილებისათვის იარაღ-მანქანების მიწოდების და საერთოდ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმე.

აგრეთვე ლექცია-საუბრებში გლეხ-ექსკურსანტებს განუმარტავენ, თუ როგორ უნდა ასდებოდეს სოფლად სასოფლო-სამეურნეო კომუნები, არტელები, კოლექტივები, მიწის საზიარო დამუშავების ამხ-ბები და სხვ.

ტრაქტორები

ბათომიდან თბილისს დაბრუნდა „ზაკსელმაშ“-ის დირექტორი ამხ. **წივწივაძე,** რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ამ დღეებში ამერიკიდან ბათომში მიღებულ იქნა 250 ტრაქტორი. აქედან 90 ტრაქტორი უკვე გატარებულ იქნა საბაჟოში და დაგზავნილ იქნა დანიშნულების ადგილზე. 90 ტრაქტორიდან 70 ტრაქტორი გაიგზავნა მებამბეობის რაიონებში, ორი ტრაქტორი გაეგზავნა სომხეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და ორი ტრაქტორიც გაეგზავნა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას ლაგოდეხის რაიონში, 16 ტრაქტორი ფორდის ფირმის თხოვნის თანახმად გამოგზავნილი იქნა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის. ფორდის თხოვნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ფორდის ექსპონატების გამოგზავნას გამოფენისათვის აგვიანდებათ. დანარჩენი 160 ტრაქტორი გამოგზავნილ იქნება საბარგო მატარებლით ამ კვირაში. საკითხი ამიერ-კავკასიაში კერძო პირთათვის ტრაქტორების გადაცემის შესახებ არ წამოჭრილა და არც შეიძლება აღძრულ იქნეს, რადგან ჩვენს მხარეში სასოფლო-მეურნეობის პირობები ისეთია, რომ მანქანების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიწის კოლექტიურად დამუშავების დროს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ამხანაგობა ამიერ-კავკასიაში სწრაფად იზრდება. მაგალითად ამ ჟამად საქართველოში აღრიცხულია 15 ასეთი ამხანაგობა, ხოლო სომხეთში—12.

ფორდი გამოფენაზე

ამერიკელ მსხვილ საავტომობილო ფირმის „ფორდი“-ს პავილიონში წარმოდგენილი იქნება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და ტრაქტორები „რონა-ბაუტ“-ის, „კუპსის“, „ტიურინგის“, „ტიუდურის“ და „ფორდორის“ მარკების და აგრეთვე ფორდის საბარგო ავტომობილების მთელი შემადგენლობის ნიმუშები.

წიგნაკები

გამოფენის დათვალიერების გასაადვილებლათ, გამოფენის მომწყობი კომიტეტი გამოფენის დღისათვის გამოუშვებს განსაკუთრებულ წიგნაკებს-აბონიმენტებს, რომელთა საშუალებით ამავე დროს შესაძლებელი იქნება გამოფენაზე შესვლა 5-ჯერ უფასოთ.

ხე-ტყის ნიმუშების გამოფენა

საგამოფენო კომიტეტმა წინადადებით მიმართა საქართველოს და სომხეთის სატყეო ტრესტებს გამოფინონ გამოფენაზე საზღვარგარეთ გასატანი ძვირფასი ჯიშის ხეების ექსპონატები.

საექსპერტო კომისიები

საგამოფენო კომიტეტმა დაადგინა გამოყოფილი იქნას საექსპერტო კომისიები ექსპონატების შესაფასებლად. შეფასება მოხდება მოსკოვის ტიმირიაზევის სასოფლო - სამეურნეო აკადემიის პროგრამის მიხედვით.

საგამოფენო კომიტეტმა წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთის და სხვ. ტყეების ტრესტებს გაგზავნონ გამოფენაზე ხე-ტყის მასალების ექსპონატები.

ახალი ვენახების გაშენება

ამჟამად კახეთში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ამერიკულ ლერწზე დამყნილი ვენახების გასაშენებლად. ცალკე გლეხ-მევენახეებს ახალი სისტემის ვენახების გაშენების საქმეში ხელმძღვანელობას უწევენ სახალხო მამულები და საცდელი სადგურები, რომელნიც რჩევა-დარიგებას აძლევენ მევენახეებს.

ვაზის დარგვის მოსამზადებელ პერიოდში გლეხები ცდილობდენ ზედმიწევნით შეესრულებიათ საცდელ სადგურზე მიღებული დარიგებანი და დაერგათ ის ჯიშები, რომელნიც ლაბორატორიულ გამოცდის თანახმად უფრო შეეფერებიან ამა თუ იმ ნიადაგს. მაგ. ურიათუბანის საცდელ სადგურის დამზადებული ნამყენი გაზი დანომრილი ჰქონდა სხვადასხვა ნიადაგის მიხედვით.

როცა დამყნილ ვაზის მიღების დროა დადგა მიღების მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ რაიმე წესრიგის დაცვა ნამყენის დარიგების დროს შეუძლებელი აღმოჩნდა. პირველი პარტიიდან თვითეულმა მევენახემ მიიღო—600 მეტრი ნამყენი, მეორე პარტიიდან—200 მეტრი.

გლეხებს ლერწი მიქონდათ ჯიშების განურჩევლად.

ნამყენის გაშენება გლეხებს ძალიან იაფი უჯდებათ ყოველ 100 მეტრში, რომელშიაც 200 ცალი ნამყენი გამოდის, გლეხები იხდიან 2. 5 მანეთს, ლერწის მყნობას თვითონ აწარმოებდენ და თავადვე რგავდენ გადაბრუნებულ მიწაში.

საგარაკო სეზონისათვის

კოოპერატიული აგარაკები

წელს დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება არა უმეტეს 5 ათასი მუშა - მოსამსახურისა. უპირატესობა, რასაკვირველია ეძლევა მათ, ვინც დაღლილი და მოქანცულია და ფიზიკურ ძალების აღდგენას საჭიროებს. დიდი ნაწილი მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების რჩება აგარაკზე წაუსვლელად, რადგან აგარაკები სიძვირის გამო მიუწდომელი რჩება. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად გამონახულ იქნა ერთი საშუალება: აგარაკების სამშენებლო ამხანაგობათა მოწყობა.

პირველად მთელს საბჭოთა კავშირში ასეთი საგარაკო სამშენებლო ამხანაგობა მოეწყო ყუბანში, აქ დაარსდა მუშების ამხანაგობა, რომელმაც შავი ზღვის ნაპირებზე იჯარით აიღო მივიწყებული და გაპარტახებული საგარაკო უბანი. ერთი წლის განმავლობაში ამხანაგობის საკუთარ ძალებით და თანხებით აგარაკი მოწესრიგებული და სავსებით აღდგენილ იქნა. ამ ჟამად ამ ორგანიზაციაში შედის 500-მდე მშრომელი, ამხანაგობის ძირითადი თანხა კი შეადგენს 10 ათას მანეთს.

უბნის საგარაკო ამხანაგობის დაარსება სანიმუშოდ გამოიყენეს ჩვენში. 1925 წელს შემოდგომაზე საქართველოში მოეწყო ორი საგარაკო-სამშენებლო ამხანაგობა—ერთი რკინისგზელთა ამხანაგობა „აგარაკი“-ს სახელწოდებით და მეორე ტრამვაის ამხანაგობა „დასვენება“. პირველს ჰყავს 40 წევრი, ხოლო მეორეს—35.

ამ გაზაფხულზე შესდგა კიდევ მეჭედავთა საგარაკო ამხანაგობა „ჯანმრთელობა“ და საკურორტო სამმართველოს მოსამსახურეთა ამხანაგობა „მეზობლობა“. ოთხივე ეს ამხანაგობა მიმდინარე საგარაკო სეზონში იწყებს სახლების შენებას აგარაკ **წაღვერში.**

საკურორტო სამმართველომ საქ. ჯანსახკომთან შეთანხმებით შეღავათიან პირობებში მისცა მათ მიწის ნაჭრები. თანხები—სესხის სახით ამხანაგობებისათვის მიიღო თბილისის კომუნალურმა ბანკმა. საჭირო თანხის 15—20 პროცენტი წინდაწინ შეგროვილ იქნა თვით ამხანაგობათა წევრებს შორის.

აგარაკების სამშენებლო ამხანაგობათა მოწყობის იდეა თანდათან ფეხს იკიდებს საქართველოს მუშა-მოსამსახურეებში. განზრახულია დაარსდეს კიდევ რამოდენიმე ამხანაგობა.

პატარა ფელეტონი

ინგლისის ამბების გამო

(მუშა-დეპუტატ საკლატვალას შეპყრობის გამო)

ცნობა არის:
„შეიპყრესო საკლათვალა“!..*)
მაგრამ
ათ-მილიონ-თვალა
გაფიცული შრომის ჯარი
მილიონი არის ხუთი!
დადგა წუთი,
წუთობით რომ ძლიერდება
მუშის კუნთი!
კუნთი... მხოლოთ არა ერთი:
მილიონი—
მილიონთან შენაერთი,
როგორც ერთი!
ხმალი, მკვეთრი,
აღიმართა ძველი ყოფის
ჯიუტ თავზე!..
ახლა ზავზე
აღარ ვფიქრობთ:
არც მე და არც ბალდუინი.
ბრძოლის ჟინი,
ბრძოლის რაში
მიწას ჰპოტავს და ჰყრის ცაში!..
ცა ელვებით ისერება...
ძირს კი ცეცხლით იწერება:
— „ძველს ომები“!..
— „რევკომები“!..
— „საბჭოები“!..
და ეს ცეცხლის ასოები
გულსა მწვდება, როგორც ნანა:
—„მთლად ქვეყანა,
ხმალით წელზე,
ხვალ გამოვა ბრძოლის ველზე!
ხუთ მილიონს გაზრდის ათად,
ათს-ასად და ასს-ათასად“!..
და ამ ფასად...
სისხლის ფასად
ის მიიღებს, რაც მას უნდა!..
ვსთქვათ: დღეს ჩარხი გადმობრუნდა
და დამარცხდა ბრძოლის ალი;
ვსთქვათ, რომ ჩადგა ეს გრიგალი!
მერე?!.
მერე, ამით, ჰფიქრობთ,
რომ ანთებულ ცეცხლს ჩაგვიქრობთ?!
ცეცხლს ხომ თვითონ ჩვენ ვაჩაღებთ
და მსოფლიოს შავ ყაჩაღებს
მას ვაწვიმებთ მელოტ თავზე!..
ჩვენ ვფიქრობთ, არა-ზავზე:
არც დღეს.
არც ხვალ
არც გაისად!
სანამ შევცვლით სხვა მაისად
ბრძოლის მაისს, ბრძოლის წუთებს!..
და როს დავლეწთ ყველა ხუნდებს,
მაშინ თვითონ ჩავანელებთ
ცეცხლს!..
მოვკიდებთ ჩაქუჩს ხელებს,
მაშ, შეიპყრან დეე, თუნდაც
არ ვსცნობთ ზღუდეს, გაუღუნავს,
და გამოვსჭედთ დიდ კომუნას!
საკლათვალა!
მაინც რწმენის და იმედის
მზე—„ცხრა თვალა“
თავს დაგვყურებს
ცეცხლოვანი ხუთი ქიმით..
ძირს ბრძოლაა!..
ამას თვით ცაც ადასტურებს
პირზე ღიმით!..

ნ. ზომლეთელი*)

---

*) ინდოელი კომუნისტი, ინგლისის პარლამენტის წევრი, რომელიც შეიპყრეს რევოლიუციონური სიტყვის წარმოთქმის გამო ახლანდელ გაფიცვასთან დაკავშირებით.

*) ამ ლექსიდან დაწყებული ჩემი ხვედრი ჰონორარი გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებულ ჩემი ნაწერებისათვის, გთხოვთ, გადარიცხოთ ინგლისის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარ ფონდში.
ამხანაგური პატივისცემით ნ. ზომლეთელი.

მისტერ ბალდუინის მუცლის გვრემა

...გენერალური გაფიცვა დაიწყო შუაღამისას. ყველა მაღაროებში შეწყვეტილია მუშაობა. შეწყვეტილია მუშაობა ყველა სტამბებში. შეჩერებულია რკინისგზებზე მიმოსვლა....

დეპეშებიდან.

მისტერ სტენლი ბალდუინ,
რად ხარ ცუდს გუნებაზე?
კუჭი თუ გაქვს მოშლილი,
„ბორჯომს“ მოგცემს ქებაძე!
სიმშვიდე რამ დაგიფრთხო,
ნეტა რამ შეგახურა?
რამდენზეა ასული
სიცხის ტემპერატურა?
თუ ბრმა ნაწლავს იტკიებ,
მან შეგშალა ჭკუაზე?
ჩვენ გვყავს კარგი ქირურგი
და განთქმული მუხაძე!
იქნებ ძველი სენი გჭირს,
გჩხვლეტავს თავის ნებაზე?—
გინდა ბეგთაბეგოვი,
ნათიშვილი, ვეფხვაძე!
მაშ რა გტკივა? რად შფოთავ?
მითხარ, დღეს რა გაწუხებს?
—„ოხ, მაღაროს მუშები
„მე მიჭერენ მარწუხებს!
„ალბიონის კუნძული
„ვხედავ განსაცდელშია;
„ქალაქები, დაბები
„გაფიცულთა ხელშია!
„ჩემი ძველი ინგლისი
„სადღაც მიექანება;
„და აღარ სჭრის მუდარა,
„აღარც მეფის ბრძანება!
„ჩემს ჯიბეს რომ დავაკლო
„ხომ „სამშობლო“ წახდება!
„კიდევ მკითხავ: რა მტკივა?
„ანუ რამ შემახურა?
„ორმოც გრადუსამდე მაქვს
„სიცხის ტემპერატურა!
„ცნობას ვერ ვწერ გაზეთში,
„ისიც კი დამეხურა!
„სიკვდილს ვებრძვი მოხუცი,
„თავს ვეღარ ვგრძნობ მეფურად.
„ვაგლახ, კარგო დროებავ,
„მეც პორფირი მეხურა!
„ნუღარ მკითხავ: რა მტკივა,
„ანუ რამ შემახურა!

ფიდო ლამია.

ახალი ხიდი მდინარე რიონზე

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ცალკე მშენებელი ორგანიზაცია 1925 წლის დეკემბერში შეუდგა დიდი რკინისგზის ხიდის აგებას საჯევახოში მდ. რიონზე.

გამომუშავებული გეგმის მიხედვით, ხიდი იქნება სიგრძით 264 მეტრი და დაეყრდნობა ოთხ ბურჯს.

ხიდის ასაგები ხარჯთაღრიცხვა უდრის 1.600.000 მანეთს. ხიდის აგების დამთავრება განზრახულია 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის.

ხიდის ასაგებ მთავარ სამუშაოებს წარმოადგენს 500 კუბიკურ ქვის სამუშაოები და 12.500 კუბიკური საჟენი მიწის ამოღება.



გეგმით მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის გათვალისწინებულია სამი დასაყრდნობი ბურჯის ამოყვანა სამტრედიის მხრიდან, ორი კესონის ჩაშვება და 8.000 კუბიკური საჟენი მიწის სამუშაოების შესრულება. ამჟამად ხიდის ასაგებ სამუშაოებზე მუშაობს 900 მუშა.

მუშებისათვის სამტრედიაში აგებულია ბარაკი. ნაწილი მუშებისა კი ცხოვრობენ ადგილობრივ ვაგონებში. ბინების სივიწროვის გამო მუშები კერძო დუქნებში ათევენ ღამეს, რისთვისაც ღამეში 40—50 კაპეიკს იხდიან. კარგათ არის დაყენებული მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

ამჟამად სამუშაოთა უფროსი ინჟ. გეიმანი წასულია მოსკოვში საჭირო მასალების შესაძენად.

ახალი ხიდის დამთავრების შემდეგ განზრახულია ძველი ხიდის (რომელიც ახალ ხიდს ზევით მდებარეობს) გამოყენება საფოსტო გზატკეცილისათვის.

ვ. წ.

გადასახლების საქმე

საქართველო მეტად მჭიდროთ დასახლებული რესპუბლიკაა; ჩვენში სრულებით არ არის თავისუფალი მიწები, მთელ რიგ მაზრების გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის მიწების ნაკლებობის გამო. არსებული ცნობებით, ზედმეტი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში უდრის 277.489 სულს ანუ 75.497 კომლს.

უმიწწყლო გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქება შეიძლება მხოლოდ მათი ახალ ადგილებზე გადასახლებით. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შეუძლია დააკმაყოფილოს მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა და ზედმეტი მოსახლეობის ერთი ნაწილი. ყველა უმიწწყლო გლეხების დაკმაყოფილების მიზნით საჭირო იქნება 60.000 გლეხური მეურნეობის ანდა 30.000 სულის გადასახლება ახალ ადგილებზე.

გადასახლების საქმე აქამდე ჩვენში შეჩერებული იყო თანხების უქონლობის გამო. წელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა გადასახლების განყოფილება, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ საქმეს. განყოფილება ფიქრობს, რომ გეგმიანი მიწათმოწყობის და მელიორაციის საშუალებით გადასახლების ფონდი შეიძლება გაიზარდოს 3.200—3.400 დესეტინა ახალი მიწებით; ამ რაოდენობიდან 2.000 დესეტინა მიღებული იქნება ტირიფონის ველის მორწყვიდან.

გადასახლების სრულიად საკავშირო კომიტეტმა ამიერ-კავკასიას გაუხსნა კრედიტი 712.000 მანეთის რაოდენობით; თუმცა ის ნაწილი, რომელიც ერგება საქართველოს ამ თანხიდან, არ დააკმაყოფილებს 1926 წლის გეგმით გათვალისწინებულ საჭიროებებს, მაგრამ მისი საშუალებით მაინც შესაძლებელი იქნება გადასახლების პრაქტიკულად დაწყება.

გადასახლების საქმეს ართულებს ის მდგომარეობა, რომ ყველა უმიწწყლო გლეხების დაკმაყოფილება მიწებით საქართველოს შიგნით შეუძლებელია. გეგმიანი მიწათმოწყობის და მელიორაციის საშუალებით უახლოესი ათი წლის განმავლობაში მიღებული იქნება მხოლოდ 80.000 დეს. მიწა, რაც დააკმაყოფილებს 22.000 კომლს, გადასასახლებელ კომლთა რაოდენობა კი უდრის 60.000. ამრიგათ, 38.000 კომლი დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მიწებით საქართველოს გარეთ.

გადასახლების საქმის გეგმიანათ ჩატარების მიზნით შედგენილია გადასახლების საქმის ათ წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლის მიხედვით ამ საქმისათვის ათი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 23.100.000 მანეთი.

მიწათმოწყობა 1926 წელში

მიწათმოწყობის მიმდინარე წლის საოპერაციო გეგმის მიხედვით განზრახულია შემდეგი სამუშაოების შესრულება: სამიწათმოწყობო საქმების მომზადება, ტრიანგულიაცია, სოფლების მიწათმოწყობა, სახვერების მოწყობა, საახალშენო საქმის მოწესრიგება და რესპუბლიკის საზღვრების გატარება.

მიწათმოწყობისათვის გეგმიანი ხასიათის მიცემის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა სამიწათმოწყობო საქმეების წინასწარ მომზადებას; ეს მომზადება მდგომარეობს მოსაწყობ რაიონების და სოფლების საცხოვრებელ პირობების გაცნობაში, რაშიაც მონაწილეობას იღებენ გარდა მიწათმომწყობისა სხვა სპეციალისტებიც.

ამ მუშაობის პროცესში ირკვევა მეურნეობის ტიპი, ხასიათი, მიმართულება, მისი დადებითი და უარყოფითი პირობები; გამოკვლეული იქნება აგრეთვე მიწების აკარგიანობა არსებულ მეურნეობასთან შეფარდებით.

სამიწათმოწყობო საქმეების წინასწარი მომზადება მიმდინარე წლის განმავლობაში იწარმოებს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში—სულ 257 სოფელში.

ტრანგულიაცია არის მიწისზომვის საფუძველი; მისი საშუალებით განზრახულია გამოსწორებული იქნეს ყველა ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა 1917 წლიდან 1925 წლამდე აგრარული რეფორმის დაჩქარებით გატარების დროს. შედგენილი იქნება ახალი, უფრო მჭიდრო ტრიგონომეტრიული ქსელი, რომლითაც დაფარული იქნება 335.000 დესეტინა. მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში ტრიანგულიაციაზე იმუშავებს 8 სპეციალისტი-ტრიანგულიატორი აღმოსავლეთ საქართველოში.

სამიწათმომწყობო მუშაობის მთავარ ძარღვს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწების მოწყობა; ეს მუშაობა სწარმოებს ორი მიმართულებით: ერთია ყოველი ცალკე კომლის მიწით დაკმაყოფილება კანონიერ ნორმებში, რაც გულისხმობს ნორმაზე ზედმეტი მიწის ჩამორთმევას. ამ მუშაობის დროს მხედველობაშია მიღებული მიწის ფაქტიური დანაწილება, რამდენადაც ეს დანაწილება ურყევია სხვადასხვა დაუძლეველ ბუნებრივ და სოციალურ პირობების გამო.

მეორე მიმართულება—მიწების ჯგუფური სარგებლობა და ამ საერთო მიწების მოწყობა. მიწის სარგებლობის ამ ფორმის დიდ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს ფორმა უახლოებს მიწის მუშებს კოლექტივიზაციის იდეას, პრაქტიკულად აადვილებს საამხანაგო ფორმაზე გადასვლას და მიწის დამუშავების მექანიზაციას და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას.

1926 წლის საოპერაციო გეგმის მიხედვით, ამგვარი მუშაობა მთელ რესპუბლიკაში ჩატარებული იქნება 268 სოფელში, რომელთა სივრცე უდრის 272.369 დესეტინას; ამ სოფლებში სცხოვრობს 49.128 კომლი.

რაიონის გზებზე

ახალი სადგური ბორჯომში

რემერტის ბაღში ბორჯომის ახალი სადგურის აშენების საკითხი განიხილა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ წარმომადგენლები: გზათა-მიმოსვლის კომისარის რწმუნებულისა ა.-კავკასიაში, ა.-კ. რკ. გზების და ბორჯომის ალმასკომის. საკითხი დადებითად გადასწყდა. სადგურში მატარებლების მისვლისათვის მდ. ბორჯომკაზე აგებულ იქნება რკინის გზის ხიდი.

რემერტის ბაღში სადგურის მოწყობის გამო კომპენსაციის სახით ა.-კ. რკ. გზების სამმართველო ბორჯომის ალმასკომს შეპირდა მდ. მტკვარზე სოფ. ქვიბისისათვის ხიდის აგებას ამ სოფელს აქამდე არ ჰქონდა გამოსავალი გზატკეცილზე, რომელიც მოდის ბორჯომისაკენ.

საქმის წარმოების რაციონალიზაციის კურსები

საქმის წარმოების მიზანშეწონილად წარმოების შესასწავლ კურსების გახსნის პროექტი მოწონებულია. ამ ჟამად მუშავდება გეგმა, პროგრამა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელთა დამტკიცების შემდეგ კურსები გაიხსნება.

ამ კურსებზე განზრახულია როგორც სამმართველოს, ისე ხაზების კანტორის მუშაკთა თითქმის მთელი შემადგენლობის გადამზადება.

ტვირთზიდვა 1926—27 წელში

ა.-კ. გადამზიდავ ხელშემწყობ კომიტეტმა შეადგინა 1926—27 წლის გადაზიდვის გეგმა. გეგმის თანახმად აღნიშნულ წლის განმავლობაში გადაზიდულ უნდა იქნეს 344 მილიონი ფუთი ტვირთი. საშუალო—დღიურ დატვირთვათ გამოანგარიშებულია მშრალ ტვირთთათვის 675 ვაგონი, თხიად ტვირთთათვის 300 ცისტერნა და მეზობელ გზებიდან 350 ვაგონის მიღება.

მატარებლის გაწყვეტა

გუშინ დილის 8 საათზე ცისტერნებისაგან შემდგარი მატარებელი მცხეთა-ქსანის შუა გასწყდა შუაზე; ამის გამო მატ. № 3 დააგვიანა გზაში ნახევარი საათით.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ფუნქციების შესახებ

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის გამოკვლევა და იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ნორმალურ მუშაობას — ეს არის ურთიერთობის გაურკვევლობა საქართველოს და ამიერ - კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოებს შორის.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა კონკრეტიული ღონისძიებანი ამ არანორმალური მოვლენის აღმოსაფხვრელად და დასამტკიცებლად წარუდგინა ისინი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

სახალხო კომისართა საბჭომ თავის მხრივ ეს საკითხი ყოველის მხრივ შესასწავლად და დასამუშავებლად გადასცა საქართველოს საგეგმო კომისიას. უკანასკნელმა სავსებით მიზანშეწონილად სცნო საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადებანი და აუცილებლად იცნო, რომ ამიერ - კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიეცეს მხოლოდ სადირექტივო ორგანოს ხასიათი, ამიერ - კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყველა ოპერატიული ფუნქციები, რომლებიც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობების კომპეტენციას შეადგენენ, უნდა გადაეცეს უკანასკნელებს.

ამასთანავე რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობები ჩაბმული უნდა იქნენ სამეცნიერო - გამოკვლევითი მუშაობაში, რომელსაც ამჟამად მონოპოლიურად აწარმოებს ამიერ - კავკასიის წყალთა სამმართველო.

ამავე დროს საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო გადიდებული იქნეს მომავალი საბიუჯეტო წლიდან წყლის ოლქები საქართველოში. გამოყოფილი უნდა იქნეს სამი ახალი ოლქი: ფოთის, ახალქალაქის და ბორჩალოს ოლქები

საგეგმო კომისიაში

თათბირი მეთამბაქოების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციაში შესდგა თათბირი მეთამბაქოების შესახებ, რომლის მიზანი იყო თამბაქოს თესვის კამპანიის გეგმის გამომუშავება.

თათბირზე გამოირკვა, რომ თამბაქოს თესვის, დამზადების და რეალიზაციის გასული წლის კამპანიას მრავალი დეფექტები ჰქონდა.

შარშან ბაზარზე გამოვიდა სამი დამამზადებელი ორგანიზაცია, რომლებიც სხვადასხვა პირობებში იძლეოდენ კრედიტებს. ერთი ორგანიზაცია აძლევინებდა პროცენტებს და ხანდახან ძალიან მაღალს, მეორე კი—თამბაქოს ტრესტი იძლეოდა ავანსს უპროცენტოთ. კრედიტების განაწილებაც არა თანასწორი და უსისტემო იყო. მაგალითად, დადგენილი იყო გურიაში თითო დესეტინაზე მიეცათ 300 მანეთი, ფაქტიურად კი დარიგდა მხოლოდ 60 მანეთი. დაითესა 400 დესეტინა, კრედიტი კი მხოლოდ 300 დესეტინაზე გაიცა.

სრულებით არ ჰქონდათ ყურადღება მიქცეული ინვენტარის საკითხს, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია მოწეულ თამბაქოს ღირსებაზე და რაოდენობაზე.

გასულ წელს დათესილი იყო სულ 1915 დესეტინა. წარმოკავშირს უნდა დაემზადებია 24.000 ფუთი, მაგრამ ფაქტიურად თამბაქოს ტრესტს მხოლოდ 21.000 ფუთი ჩაბარდა, ვინაიდან უკანასკნელმა დაპირებულ 150.000 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 120.000 მანეთი გაიღო. გურიის თამბაქო არ არის გასაღებული. თამბაქოს ტრესტს უნდა წაეღო 2.000—3.000 ფუთი გურიის თამბაქო, მაგრამ ყველა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უარი სთქვეს დაწესებულ ფასში ჩაბარებაზე. სამეგრელოს თამბაქო შეიძინა თამბაქოს ტრესტმა. საეროოდ გასაღებული არ არის საკრედიტო ორგანიზაციების კუთვნილი თამბაქო 25.000 ფუთამდე (გურიის თამბაქო და ნაწილი სამეგრელოს თამბაქოებისა).

წარმოკავშირის აზრით, მიმდინარე წელში უნდა მოხდეს თამბაქოს ნათესების გაფართოვება და ნათესების შემდეგნაირად განაწილება რაიონების მიხედვით. ლაგოდეხის რაიონში 1.600 დეს., სამეგრელოში—500 დეს. და გურია-აჭარაში—400 დეს., სულ კი 2.500 დეს.

თამბაქოს ნათესების გაფართოვება სამეგრელოში ნაკარნახევია ნიადაგის ხელსაყრელი პირობებით და აგრეთვე იმით, რომ იქ მუშა-ხელი საკმაოდ იშოვება.

ახალციხის თამბაქო ძალიან დაბალი ღირსებისაა. ასეთია ბორჩალოს მაზრის თამბაქოც, ამიტომ ამ ადგილებში თამბაქოს მოყვანა შეტანილი არ არის წარმოკავშირის გეგმაში.

მიმდინარე წლის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც დამტკიცებულ იქნა საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ.

სასამართლო

დავით კიკაჩეიშვილის საქმე

გუშინ სასამართლოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, კიკაჩეიშვილის მიერ გაფლანგულია 2.080 მანეთი.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლოს გამოძიება დასრულებულია. შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

საკავშირო თანხების გაფლანგვისათვის

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით გაირჩა **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** საქმე.

გაჩეჩილაძეს ბრალდება 1570 მანეთის საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა თბილისის ცენტრალურ პარტსკოლის მოლარეთ ყოფნის დროს.

ბრალს სდებს პროკურორი ბარამიძე, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი რიჟამაძე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ აღნიშნული თანხა კი არ მიმითვისებია, არამედ დავკარგეო.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულ გაჩეჩილაძეს არავისათვის არ განუცხადებია ფულის დაკარგვის შესახებ. გამოირკვა, რომ ის სტყუოდა სასამართლოს გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში.

სასამართლომ ალექსანდრე გაჩეჩილაძე სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

ქრონიკა

საჰაერო მიმოსვლა

ა.-წ. 6 მაისიდან გაიხსნა საჰაერო ფლოტის მოძრაობა თბილის-ბაქოს, როსტოვის, ხარკოვის და მოსკოვის შუა. ამითივე გაიგზავნება დასავლეთ ევროპის კორესპონდენციაც მოსკოვამდე. თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში სწარმოებს საჰაერო ფლოტით გასაგზავნ კორესპონდენციის მიღება.

სესხი კოოპერაციას

საკავშირო 25—26 წლის ბიუჯეტის თანახმად, ამიერ-კავკასიის კოოპერატივებისათვის სესხად დასარიგებლად გადადებულია 1.300.000 მან. ეს თანხა განაწილებული იქნება შემდეგი სახით: საქართველოს კოოპერაციას მიეცემა—537.000 მან., აზერბეიჯანს—499.000 მან., სომხეთს—314.000 მან., ხოლო აღნიშნული თანხა სხვადასხვა კოოპერატივებს შორის განაწილებული იქნება ამგვარათ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებს (მთელ ამიერ-კავკასიაში ერთად)—644.000 მან., სამომხმარებლო კოოპერაციას—430.000 მან. და შინამრეწველთა კოოპერაციას—150.000 მან.

არაყის დამზადება

ცეკავშირმა დაამთავრა არაყის დამზადების ოპერაცია. სულ ძირითად კოოპერატივების საშუალებით დამზადებული იქნა 400.000 გრადუსი არაყი. მთელი დამზადებული არაყი ხელშეკრულების თანახმად გადაეცა საქ. სპირტის ტრესტს.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

ცეკავშირის ინსტრუქტორთა მორიგი ყრილობა მოწვეულია 20 მაისისთვის ყრილობა გასტანს 8—10 დღეს.

ახალი კოოპერატიული ამხ-ბები

ეკონომიურ უმაღლეს საბჭოსთან არსებულ კოოპერაციის სამმართველომ თებერვალ-მარტში დაამტკიცა 21 ახალი კოოპერატიული ამხ-ბა.

სიმინდის დამზადება

ოზურგეთის საკრედიტო - ამხანაგობამ ღარიბ გლეხებისაგან შეიძინა და დაამზადა 2.000 ფუთი სიმინდი.

სასოფლო - სამეურნეო იარაღების შესაძენად

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად საკავშირო სას.-სამ. ბანკმა ამიერ-კავკასიისათვის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს გადასცა 460.000 მან., აზერბეიჯანს—138.000 მან., აფხაზეთს—25.000 მან., სომხეთს—190.000 მან., საქართველოსათვის და აფხაზეთისათვის დამატებით კიდევ გადადებული იქნება 485.000 მან.

თბილისის ალმასკომში

— **წყალში დახრჩობისაგან გადასარჩენათ** თბილისის ალმასკომმა ვერის ხიდთან, მუშტაიდის ახლოს, კარლ მარქსის ხიდთან და ორთაჭალაში მოაწყო საგანგებო სადარაჯოები.

— **ახალი სახელოსნო.** ალმასკომმა მოაწყო მოზაიკის სახელოსნო.

— **კეთილმოწყობა.** ალმასკომმა დაამთავრა კანალიზაციის მოწყობა ანტონოვის ქუჩის რაიონში.

— **არტელი.** ალმასკომმა დაამტკიცა სამრეწველო-კოოპერატიულ ახალ არტელის „ლავაშის" წესდება.

— **ღარიბ მოქალაქეებზე** ალმასკომმა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში დახმარების სახით გასცა 3632 მან.

— **უძრავ ქონებათა სამმართველოს** საბინაო სექცია ალმასკომის დადგენილებით უკვე გაუქმებულია.

— **ახალი ხიდი.** ალმასკომს განზრახული აქვს მტკვარზე ააგოს ახალი ხიდი, რომელიც სადგურის რაიონს შეაერთებს საბურთალოსთან.

— **საქონლის გაიაფება.** ამჟამად თბილისში მუშაობს ალმასკომის თაოსნობით დაარსებული საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მიიღოს ზომები საქონელზე ფასების დასწევად.

საკურორტო კამპანია

— **საკურორტო სამმართველო** ამჟამად აწარმოებს აბასთუმნის სანატორიუმების შეკეთება-გამშვენიერებას.

— **ახალი აბანოები.** წყალტუბოში აგებენ აბანოებს, რომელთაც ექნებათ სამრეცხველო და სადეზინფექციო განყოფილებები.

— **სოც. დაზღვევის** მთავარმა სამმართველომ დასასვენებელ სახლების საჭიროებისთვის გადასდო 150 ათასამდე მანეთი.

— **ახალი სანატორიუმი.** ბორჯომში ყოფ. ხომერიკის სახლი გადაკეთებული იქნა სანატორიუმათ, სადაც მოთავსდება 40 კაცი.

სახალხო ჯანმრთელობა

— **სანიტ-ჰიგიენურ ინსტიტუტისათვის** თბ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ საზღვარ-გარეთიდან მიიღო საჭირო ხელსაწყობი.

— **სანიტგანათლება.** მაისის შუა რიცხვებიდან თბილისის უმთავრეს ქუჩებში უჩვენებენ სანიტარულ შინაარსის სურათებს.

— **ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან** ახლო ხანში გაიხსნება წითელი ქარებით დაავადმყოფებულთა სამკურნალო.

სხვადასხვა

— **შემნახველი სალაროები.** მთავრობის დადგენილებით ყველა წარმოება-დაწესებულებებთან არსდება შრომის შემნახველი სალაროები.

შემთხვევები

— **თავის მოწამვლა.** 6 მაისს ფეოდოსიევის ქ. მეორე ჩიხი № 1 ნადია ფილიპოვამ თავი მოიწამლა, დაშავებული გადაგზავნილი იქნა მთავარ საავადმყოფოში.

— **„ტრეხ-გორნი"-ს** ქარხანაში (კლარა-ცეტკინის № 152) პაპიროსის ცეცხლისაგან გასკდა სპირტის ბაკი, რის დროსაც სასიკვდილოთ დაშავდა ანდრია ღვიჩუკი.

— **დაჭრა.** 6 მაისს წავკისის სამოვარზე ჩხუბის დროს მწყემსმა ლევან ელბაქიძემ თოფით დასჭრა კანდელაკი და მარკოზაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს

— **გატაცება.** 30 აპრილს სოფ. ორანში (ერწოს თემი) ყაჩაღმა ნიკო ბურდულმა ნაშუადღევის 2 ს. კოლა არაბულს მოსტაცა ცოლი და მოტაცებულთან ერთად მიიმალა.

— **გაძარცვა.** ჯვარი-პატიოსანთან (გომბორის თემი) ორი უცნობი ბოროტმოქმედის მიერ გაძარცული იქნა ილო დოხტურიშვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი „ზერენტგენის" სხივები

ბერლინელმა მეცნიერმა—კოლგერსტერმა დედამიწის ატმოსფერის უმაღლეს ფენებში აღმოაჩინა ახალი სხივები. ამ სხივების არსებობა დაადასტურა ცნობილმა ამერიკელმა ფიზიკოსმა, პროფ. **მილლიკანმა**, რომელმაც მიიღო ნობელის პრემია. თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც მიაწოდა ლონდონის აკადემიას პროფ. მილლიკანმა, დამტკიცებულია ამ სხივების საკმაო სიმძლავრე. ამ სხივების შედარებითი მცირეძალოვანობა დედამიწის ზედაპირთან აიხსნება მისი ნაწილობრივი გაბნევით ატმოსფერის სხვადასხვა ფენებში. ცდა მოახდინეს 4.600 ფუტის სიმაღლე მთაზე. გამოკვლევამ მეცნიერები დააყენა ამ სხივების ახალი საიდუმლოების წინაშე. სხივი სჭრის ტყვიის მსხვილ ფენასაც კი, და ამ გამტარობის წყალობით მას უწოდეს „ზერენტგენის სხივები". პროფ. მილლიკანის გაზომვით ამ სხივებს აქვთ ისეთი პატარა ტალღა, რომ მისი წარმოდგენაც კი საძნელოა; ახალ სხივების ტალღა უდრის ჩვეულებრივი სინათლის სხივის ტალღის სიგრძის ერთ მეათმილიონედს.

ნარევი

ფარაო სინეფრუს აკლდამის გათხრა

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა პროფესორმა რეისნერმა იპოვა ეგვიპტურ აკლდამებს შორის ყველაზე უძველესი, 5000 წლის წინად მცხოვრებ ფარაონ სინეფრუს აკლდამა. ჩასავალი სინეფრუს აკლდამაში რეისნერმა იპოვა გიზეს დელტაში მდებარე პირამიდის ახლოს. გათხრის დროს ნაპოვნი იქნა პატარა ოთხკუთხოვანი ქვის ფირფიტა ზედ გამოკვეთილ სამი ბატკნით, რომლებიც ყასაბს მიუყვანია ფარაოს სასახლეში ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის ახლად აღმოჩენილ აკლდამისაგან, რომლის შესავალიც გაგრძელებულია მთელ 300 ფუტის მანძილზე და რომელიც არც ისე ღრმად ზის მიწაში, ფარაო სინეფრუს აკლდამა განირჩევა მით, რომ ის ძევს 90 ფუტის სიღრმეზე მიწაში და შესასვლელ გვირაბს აქვს 10 ფუტი ვანი. ამ გვირაბის ძირიდან 30 ფუტის სიმაღლეზე გამოჭრილია ცალკე ოთახი, რომელშიც ინახებოდა ფარაო სინეფრუს პირადი საკუთრების ნივთები. გვირაბის ძირიდან ფარაოს სამარხში მიდის 12 ფუტის სიმაღლიანი კარი. თვით სამარხი, ისე როგორც ტუტ-ანხ-ამონის სამარხიც, გაყოფილია 5 ნაწილად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელის ოთახები გაგრძელებულია ერთი ხაზით 300 ფუტის მანძილზე.

პროფ. რეისნერმა აკლდამიდან უკვე გამოიტანა ფარაოს მუმია (შემურვილი გვამი). ახლო ხანში შეუდგებიან სარკოფაგის გახსნას, რაც მოითხოვს ძალიან დაკვირვებულ და ფრთხილ მუშაობას. ჯერ-ჯერობით რეისნერს არ შეუძლია სთქვას დარწმუნებით, თუ ვინ იქნება მოთავსებული აკლდამაში აღმოჩენილ სარკოფაგში, შესაძლებელია მუმია ეკუთვნოდეს სინეფრუს ან მის რომელიმე ნათესავს ან და ფარაო ხეოპსის დედას. ყოველ შემთხვევაში პროფ. რეისნერის ეს აღმოჩენა კულტურულ კაცობრიობის დიდ ყურადღებას მიიპყრობს.

უდიდესი სამგზავრო ბორანი

საკრამენტოში (კალიფორნია) ჩაუშვეს წყალში დედამიწის ზურგზე უდიდესი სამგზავრო ბორანი, რომელიც ივლის სანფრანცისკოს ყურეში. ამ ბორანს აქვს სიგრძე 300 ფუტი (90 მეტრზე მეტი) და სიგანე 78 ფუტი (დაახლოვებით 24 მეტრი). მასზე საჯდომი ადგილია 1950 მგზავრისთვის; სულ კი შეუძლია 4000 კაცის გადაყვანა.

სფინქსის „გაახალგაზრდავება"

ეგვიპტეში ახლა ათავებენ ერთ-ერთ უდიდეს სფინქსის „გაახალგაზრდავებას". აქამდე სწარმოებდა ამ სფინქსის გაწმენდა მრავალ საუკუნის განმავლობაში მასზე დაგროვილ ქვიშისაგან. ეხლა კი შეუდგნენ მის ჩამონგრეულ ნაწილების აღდგენას.

რამდენიმე თვის შემდეგ „გაახალგაზრდავების" წყალობით სფინქსი მიიღებს იმ სახეს, როგორისაც იყო რამდენიმე ათასი წლის წინ—ეგვიპტის ფარაონების დროს.

დოღი

კვირა, 9 მაისი

კვირის დოღი მონაწილეთა შემადგენლობის მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იქნება.

საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის 300 მანეთიან ჯილდოს გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცხენთსაშენების საუკეთესო ცხენები.

ჩაწერილია: **გრაცია**—სომხეთის ცხენთსაშენი, **მასხა და შაშარკა**—სამხრეთ-ოსეთის ცხენსაშენი, **ცო-ტო**—აზერბეიჯანის ცხენთსაშენი და **იაიჯა—ჰიათურელი**—საქართველოს ცხენთსაშენი. დისტანცია 1.600 მეტრი.

მეორე ჯგუფის გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ: **მალახიტი, სარდარი, სოფისტი** და **გულივერი.** დისტანცია 1.867 მეტრი.

მესამე ჯგუფის ჯილდო: **ვერაგი, ლედა** და სამხრეთ-ოსეთის ცხენთსაშენის ცხენი **მაკ-კინლეი,** რომელიც ამას წინად იქნა ჩამოყვანილი თბილისში. დისტანცია 1.277 მეტრი.

საერთო ჯილდო 80 მანეთი: **ჩაროვნიცა, ბუნჩუკი, რივიერა.** დისტანცია 2.134 მეტრი.

დოღი მოხალისე მხედრებისათვის: ზორკი, არმა, ელექტრიკო. დისტანცია 2.134 მეტრი.

საბარიერო დოღი: **ვარსკვლავი, ვარჯიში, ყირგიზი, დონი, საარიხი.** დისტანცია 2.344 მეტრი.

თბილისში ჩამოყვანილია და უახლოეს დღეებში მონაწილეობას მიიღებენ დოღში აფხაზეთის ცხენთსაშენის და როსტოვის კოოპერატიული ამხ-ბა „საჯდომი ცხენი"-ს სუფთა სისხლის ცხენები.

პასუხი შინამრეწველს

გაზ. „კომუნისტი"-ს 5 აპრილის ნომერში მოთავსებულია ვინმე „შინამრეწველის" წერილი, სათაურით: „შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს შესახებ".

წერილის ავტორი, რაღაც მიზეზების გამო, მეტად ცალმხრივად ეხება საკითხებს. ის ერთის მხრივ ცდილობს აამაღლოს მიწსახკომთან არსებული შინამრეწველობის განყოფილება, რომელიც ამ ცოტა ხანში უნდა დაიხუროს და მისი ფუნქციები დაუთმოს შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს და მეორე მხრივ ცდილობს დაამციროს საორგანიზაციო ბიუროს მუშაობა, რომლის ხელში გადადის საქართველოს შინა-მრეწველობის გაუმჯობესების საკითხი.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ავტორს, რომ მიწსახკომის განყოფილება მიზნად ისახავდა შინამრეწველობის დარგის განვითარებას ტეხნიკურის, მხატვრულის და ეკონომიურის მხრივ. მაგრამ მიზანი ერთია და ამ მიზნის განხორციელება მეორე. მიგვითითოს პატივცემულმა ავტორმა, რამდენი მეტრი არშია, ან რამდენი ნოხი, ხალიჩა იქნა განყოფილების პუნქტებში საქართველოს შინამრეწველობის მიერ დამზადებული და ბაზარზე გამოტანილი ხუთი წლის განმავლობაში, რაც მიწსახკომთან შინამრეწველობის განყოფილება არსებობს.

ავტორის მიერ ნაქები პუნქტები: ოზურგეთში, მცხეთაში, ქარელში, რუისში, ავლევში, და სხ. წელიწად ნახევარზე მეტია აღარ მოქმედებენ. გარდა იმისა, რომ ამავე დროს ამ პუნქტებში ორ-ორ პუნქტის გამგეებია და ჯამაგირსაც შესაფერისს ღებულობენ.

ასეთია მოკლედ ავტორის მიერ ნაქები განყოფილების მდგომარეობა. და თუ პატივცემული ავტორი ამით არ დაკმაყოფილდება, გაცილებით მეტ უტყუარ ცნობებს მივაწვდით.

ახლა შევეხოთ შინამრეწველთა კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს მუშაობას. ბიურომ მიიღო სამუშაოთ 35 ათასი მანეთი და არა 32, როგორც ავტორი აღნიშნავს. ამ ფულით წინასწარ დაამზადა ათასი ფუთი მატყლი, 10 ფუთი აბრეშუმის ძაფი და 10 ფუთამდ. ბამბის ძაფი. ბიუროს განზრახული ჰქონდა, რომ ასი ათასი ფუთი მატყლი გადაემუშავებინა ძაფად მიწსახკომის შინამრეწველობის განყოფილების ქარხანაში, რომელიც ბიუროს ხელში უნდა გადმოსულიყო განყოფილებასთან ერთად. მაგრამ ეს დროზე არ მოხდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ინსტრუქტორებისა, ადგილობრივ ალმასკომებისა და პარტიულ ორგანიზაციათა დახმარებით ბიურომ გააბა კავშირი შინამრეწველ გლეხებთან.

გლეხები აღფრთოვანებით შეხვდენ ჩვენს წინადადებას, გამოსთქვეს სურვილი შეკავშირების, მაგრამ, როგორც წინასწარ მოველოდით, მოითხოვეს მატერიალური დახმარება. ეს ადრეც ვიცოდით.

ამის შემდეგ ჩვენ შევკრიბეთ გაბნეულ გაფანტული საფეიქრო დაზგები, რომლებიც ალმასკომების და სხვა ორგანიზაციების საწყობებში და განკარგულებაში იმყოფებოდენ. ავიღეთ სპეციალური შენობები ალმასკომების საშუალებით. მოვახდინეთ შეკეთება დაზგებისა, შენობებისა და მოვაწყვეთ არტელები. არტელების წესდებები და საერთო კრებების ოქმი საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლად ასეთი მუშაობა მოხდა—და დამთავრდა მცხეთაში, გორში და ქარელში. რაც შეეხება რუისს, აქ საკითხი დამთავრებული არ არის შენობის უქონლობის გამო, რომელიც გორის აღმასრულებელ კომიტეტის საშუალებით ცოტა ხანია რაც მივიღეთ. დანგრეულ-დამპლილი საფეიქრო დაზგები გადვიტანეთ და შეკეთებას უნდა შეუდგეთ. წინასწარ მიტანილი ათი ფუთი ნართი და რუისის მომხმარებელ კოოპერატივთა საწყობში მიბარებული გვაქვს შესანახად.

მცხეთაში ავტორის მიერ ნაქები კერამიკული პუნქტის სახელოსნო წელიწად ნახევარზე მეტია გაუქმებული და დანგრეული იყო. ე სახელოსნო ჩვენ კაპიტალურად შევაკეთეთ, რაც 2.500 მან. დაგვიჯდა, არტელი მოვაწყვეთ და წესდებაც იმავე ს. მ. უ. ს. წარუდგინეთ.

ასეთივე მუშაობა ვაწარმოეთ დასავლეთ საქართველოში. არაა მართალი ავტორი, როცა ამბობს, თითქოს ხონის რაიონი „ღვთის" ანაბარადაა დატოვებული. განყოფილების ინსტრუქტორის თანხლებით, ადგილობრივ ალმასკომისა და პარტკომის წარმომადგენლების მონაწილეობით მთელი ორი დღე ორგბიურო შესაფერ შენობას დაეძებდა ხონის რაიონში. ხოლო, როდესაც ალმასკომა წერილებით აღგვითქვა ერთ-ერთ შესაფერის შენობის შეკეთება, შევაჩერეთ იქ დროებით მუშაობის დაწყება, ისე კი შესაფერ მზადებას ვაწარმოებთ. ასეთივე მდგომარეობა არის სამტრედიაში.

ახლა შევეხოთ ოზურგეთის რაიონს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოზურგეთში განყოფილებას გაუქმებული საქსოვი სახელოსნო ჰქონდა, რომელიც განყოფილებასთან ერთად ჩვენთან უნდა გადმოსულიყო. ჩვენ განზრახული გვქონდა ეს სახელოსნო არტელად გარდაგვექმნა. ამისათვის ავამუშავეთ სახელოსნო ჩვენ მიერ შეძენილი ძაფით და ეს სახელოსნო დღესაც ჩვენი ძაფით მუშაობს. ხოლო არტელად გარდაქმნა შეუძლებელი გახდა განყოფილების საკითხის გამოურკვევლობისა გამო. აქვე, ოზურგეთში მივიღეთ ქალთა განყოფილების განკარგულებაში მყოფი უმოქმედო საფეიქრო სახელოსნო. ოზურგეთშივე, მოვაწყვეთ შინამრეწველთა და ხელოვანთა საკრედიტო ამხანაგობა, რომლის წევრების რიცხვი 100 კაცს აღემატება, და რომლის მარტის თვის ბალანსი 15.000 მან. ავიდა.

ასეთია მოკლეთ ორგბიუროს მიერ გაწეული მუშაობა სოფლებში და თვით მკითხველმა გასინჯოს იქნა თუ არა საერთო ენა გამონახული ორგბიუროს მიერ გლეხებთან და გაკეთდა თუ არა რაიმე.

შინამრეწველთა კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს თავმ-რე **აივაზოვი.**

იურიდიული რჩევა-დახმარება

შრომის ხელფასის შესახებ

კითხვა

ვარ მეტად ღარიბი გლეხის შვილი. გ.-წ. 1 ნოემბრიდან ვმსახურობ ღანირ-ჭაგნის ფოსტ.-ტელ. განყოფილებაში დარაჯათ. ჩემთვის შრომის ხელფასი უნდა მოეცათ ადგილობრივ თემის მცხოვრებლებს. ჯამაგირი ჩემი განისაზღვრება 16 მანეთით თვეში და ესეც აგერ 6 თვე გადის და სრულებით ვერ მიმიღია. ვარ პროფ. კავშირის წევრი. ალმასკომის თავ-მარე არავითარ ზომას არ ხმარობს რათა მე მომეცეს ხელფასი.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება, თუ ვის მივმართო, რათა შრომის ხელფასი მომეცეს დროზე.

ღანირ-ჭაგნის ფ.-ტ. განყ. დარაჯი **ვ. გალდავა.**

პასუხი

მუშა-მოსამსახურეთ, **თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 65-ისა,** თუ მათი სამუშაო ატარებს მუდმივ ხასიათს, შრომის ხელფასი უნდა ეძლეოდეთ პერიოდულად, მაგრამ არა უგვიანეს ორი კვირისა—ხელფასის ერთი გაცემიდან მეორე გაცემამდე. თქვენ მიმართ კი, როგორც თქვენი განცხადებიდან სჩანს, ეს მუხლი დარღვეულია დამქირავებლის მიერ, ამიტომ თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ შრომის ინსპექტორის ან მისი რწმუნებულის საშუალებით შრომის სასამართლოს.

განქორწინების შემდეგ გვარის გამოცვლის შესახებ

კითხვა

მე და ჩემი ქმარი ივ. კალაძე განვშორდით ერთმანეთს 1921 წლის დეკემბრის 13-ს. სამწუხაროდ, გვარი შემრჩა დღემდე ქმრის—(კალაძის).

გთხოვთ მიპასუხოთ—მაქვს უფლება თუ არა დღეიდან მაინც ვატარო ჩემი გვარი და არა ქმრის?

ანეტა გერასიმეს ასული ნოდია.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 90—91-ის, ცოლ-ქმარი ატარებს საერთო გვარს (ქორწინების გვარს). ქორწინების შესრულებისას მათ ეძლევათ უფლება აირჩიონ გვარი ქმრისა (სასიძოსი), ან ცოლის, (სარძლოსი), ან ორივეს შეერთებული გვარი. მეუღლენი ატარებენ თავის (საერთო) საქორწინო გვარს მანამდი, სანამ იმყოფებიან ქორწინებაში, ასევე ქორწინების აქტის მოსპობის შემდეგაც, ერთი იმათგანის სიკვდილის, ან სასამართლოს წესით მიცვალებულად აღიარების გამო: მაგრამ ისინი კი, რომელთაც სურთ გამოიცვალონ საერთო გვარი, ან საგვარეულო მეტ-სახელი, მიმართავენ თავიანთ ბინადრობის მიხედვით მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებას „მმაჩს" და პირადათ წარუდგენენ წერილობით განცხადებას, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს თუ რა გვარი უნდა ატარონ განქორწინებულმა მეუღლეებმა მომავალში. **თუ ამის შესახებ მათ შორის შეთანხმება არ მოხდა, ისინი ატარებენ იმ გვარს, რომელიც მათ ჰქონდათ ქორწინებამდე.**

ამის შესახებ წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს პირადობის მოწმობა და სხვა საჭირო საბუთები.

(იხ. იქავე მუხლი 61 და 62).

სახლის პატრონს აქვს თუ არა უფლება ბინიდან გამოასახლოს

კითხვა

ვინაიდან უბინაობის გამო განვიცდიდი აუტანელ გასაჭირს იძულებული ვიქენი 2 ოქტომბერს 1925 წ. მარიამ ადამის ასულს ჩუბინაშვილ-წერეთლისას შევკრძოდი პირობით ნოტარიუსის წესით, სადაც აღნიშნულია სხვა და სხვა პირობები ჩემთვის შესასრულებლად. დღიდან ოთახებში ჩასახლებისა დღემდე მე ვიხდიდი ქირას ოცდაათ მან. (30 მან.) და ვალდებული ვიყავი პირობის თანახმად, თუ დასჭირდებოდა ოთახებისათვის რემონტი გამეკეთებინა, ბინის ქირის გარდა. დღეს მე ოჯახური მდგომარეობა საშუალებას არ მაძლევს რემონტიც გაუკეთო ოთახებს და სამი თუმანიც ვიხადო, სახლის პატრონი კი მემუქრება ბინიდან გამოძევებას.

გთხოვთ განმიმარტოთ: აქვს თუ არა სახლის პატრონს უფლება, გამომაგდოს ოთახიდან და 2) რამდენი უნდა გადავიხადო თვიურად არსებულ კანონის თანახმად.

ოთახები შეიცავს 80 კვ. არშ. ვმსახურობ საზოგადოება „მწყემსი"-ს გამსაღებელ პუნქტში. ვარ კავშირის წევრი (წიგნაკის № 13814) ჯამაგირს ვღებულობ 112 მანეთს.

სიმონ კილურაძე.

პასუხი

თანახმად არსებული წესებისა, მდგმურის (კავშირის წევრის) ბინიდან გამოსახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სასამართლოს წესით, თანახმად სასამართლოს დადგენილებისა, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მობინადრე (კავშირის წევრი დროზე არ იხდის) არა საპატიო მიზეზების გამო საბინაო ტარიფით დაწესებულ ბინის ქირას, ან თავისი უხეში მოპყრობით აფუჭებს სადგომს, ან და თავისი უზნეო და უმსგავსო ყოფაქცევით არღვევს სხვა მობინადრეთა მყუდროებას და სხ.

რაც შეეხება სახლის პატრონთან თქვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მისი გაბათილება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, **თანახმად სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. 33-ისა.**

ბინის ქირას თქვენი თვიური ხელფასის მიხედვით თვითეულ კვადრ. არშინზე გადაიხდით **13 კაპეიკ. (13 კაპ.).**

მუშათა ცხოვრება

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მმართველობის დებულების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1923 წ. იანვრის 12 დამტკიცებული საქართველოს ს. ს. რ. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მმართველობის დებულების მე-4 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

4. საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და სამაზრო კომიტეტების გამოცემანი და საერთოდ, პარტიული კომუნისტური ლიტერატურა, აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობისა და პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობის გამოცემანი განთავისუფლებულია ცენზურისაგან; ამასთანავე ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მმართველობას და მის ორგანოებს დაეკისრებათ მიიღონ ღონისძიება, რათა ზემოხსენებულ გამოცემათა მიმართ უზრუნველყოფილ იქნეს სამხედრო ცენზურის ინტერესები.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. პ. ჯუღელი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ალ. სალარიძე.

1926 წ., მაისის 5.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 8 მაისს „რემედას"-ის ც. კ. შენობაში (კომინტერნის ქუჩა № 5) შესდგება საქ. „რემედას"-ის ც. კ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. დასწრება სავალდებულოა ყველა ქვემო აღნიშნულ პირთათვის.

ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ბელიაევი, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენილიძე, გუდავაძე, ნაცვლიშვილი, მუმლაძე, არაზაშვილი, პელიძე, კიზირია, ნუცუბიძე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-ე რაიკომი იტყობინება,** რომ დღეს, 8 მაისს, საღამოს 5 ს. რაიკომის შენობაში (პლეხანოვის გამზ. № 96) შესდგება მე-2-ე რაიონის ჯგუფთა და ცეხთა **ორგანიზატორების თათბირი.**

აუცილებლად დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ: კოლოფის ფაბრიკის, თამბაქოს ფაბრიკ. „პროლეტარი"-ს, რ. ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის, არსენალის „ზაკავტოპრომტორგ"-ის და ტრამვაის უჯრედების ჯგუფთა და ცეხთა ორგანიზატორები.

სამუდამოდ ცრემლშეუშრობელი მშობლები: ნადეჟდა სიმონის ასული და ექიმი მიხეილ ნიკოლოზისძე ჟორჟოლიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი ერთად ერთი სიხარული და ნუგეში მოჭიკჭიკე, ხუჭუჭა ბიჭუნა

ჯანიკო (ჯანსოლი)

რომლის დასაფლავება მოხდება ქუთაისში კვირას, 9 აპრილს, საღამოს 5 საათზე. ქ. 2405

გრიგოლ ზაქარიასძე ჩხიკვაძე, ზაქარია ივანესძე და სოფიო გრიგოლის ასული ჩხიკვაძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, მაისის 9-ს შუადღის 1 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი პირველის დაუვიწყარი მეუღლის, ხოლო მეორეთა ძვირფასი რძლის

ელიკო შენგელია-ჩხიკვაძის

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად. ქ. 2410

ექიმი ალექსანდრე იასონისძე ქუთათელაძე ოჯახობით, ანა იასონის ასული თოფურიძისა მეუღლითურთ და მარიამ იასონის ასული პელიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობმეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის არტილერისტი

კირილე პეტრესძე ქუთათელაძის

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეზე, კვირას, მაისის 9-ს, ნაშუადღევის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი. ქ. 2391

ნინო დიმიტრის ასული მირიანაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის თავი გარდაცვალებიდან დაუვიწყარ მეუღლის

ალექსი ივანესძე მირიანაშვილისა

დანიშნულია 9 მაისს, წირვა 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე დიდუბის პანთეონში. 2398

ღრმად დამწუხრებული მეუღლე: ვარლამ (ვალიკო) პეტრესძე, შვილები—შოთა და ოთარი, მულები—მარო და გალინა დოლიძენი, დედა ფედოსი, დები—ქენია და ვერა მელაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და საყვარელი

ნინა სპირიდონის ასული დოლიძის

უდროოდ დაკარგვის გამო ორმოცი დღის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება დიდუბის გალავანში კვირას, 9 მაისს, დღის 1 საათზე. 2—1 ქ. 2399

ღრმად დამწუხრებული მშობლები ესტატე და ეფემია ოდიშვილები მადლობას უცხადებენ მე-16 შრომის სკოლის შემადგენლობას და ყველა იმათ, ვინც პატივი სცა ძვირფასი შვილის

გიორგი (გოგი) ოდიშელის

დაკარგვით გამოწვეულ მწუხარების გაზიარებით.

აპოლლო
ართისტო
სოლეი

დიდი წარმატების გამო გაგრძელებულია ჩვენება მეორე კვირაში

„ნამუსი"

შირვან-ზადეს რომანის მიხედვით.
რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
სურათის ჩვენების დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი
ყველა კონტრამარკები გაუქმებულია
ანონსი: ჩქარა „ძინა ძამუ"

0—28 ნ. 972

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის. რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—30

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ., ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82
25—1 ქვ. 2356

საქართველოს მუზეუმის საამშენებლო კომისია

აცხადებს სხვადასხვა საამშენებლო სამუშაოებზე

შეჯიბრებას 14.000 მანეთის ფარგლებში. წერილობითი შეჯიბრება მოხდება ორშაბათს, 10 მაისს, დღის 3 საათზე მუზეუმის აუდიტორიუმში (შესასვლელი ფურცელაძის ქ. № 1, ყოფილი კალოუბნის ქუჩა) ცნობების და პირობების მიღება შეიძლება 9 მაისს დილის 10 საათიდან 11 საათამდე იქვე ინჟენერ **ნ. სევეროვთან.**

ნ. 1263 2—1

გა⁴ე-უბნის სასამართ. ალმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 10 მაისს 1926 წ. საათის 12, ქუთაისის ქ. № 31 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკოლოზ და სამსონ მალალდაძეების უძრავ ქონებას ერთ ოთახიან ალიზი აგურისაგან აგებულს, დახურულს თუნუქით ზედ მიშენებული ფიცრული ფარდულით, აგებულს ნაკვეთ მიწაზე ზომით 89 ოთხ-კუთხი საჟ. ხეხილებით მოშენებულზე შეფასებულს 300 მან. დასაკმაყოფილებლად ანდრია ყაზიშვილისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. 2396

სახ. განათლების კომისარიატის საამშენებლო კომისია

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 11 მაისს, მოხდება

საჯარო ვაჭრობა

დახურულ კონვერტებით კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პრ. № 31, ოთახი № 9) ზემოავჭალის კოლონიის შენობების შეკეთების ასაღებად. კონდიციების მიღება შეიძლება ყოველდღე განათლ. კომისარიატში (რუსთაველ. პრ. № 31 ოთახი № 19) დილის 8 -12 საათამდე. შეჯიბრელებმა უნდა წარმოადგინონ საწინდარი 10 პროც. მუშაობის ღირებულებისა. ნ. 1264

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს ალმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 10 მაისს 1926 წ. დღის 10 საათზე სახლში № 2 რუსის ქუჩაზე, და იმავე დღეს კუზნეჩნ. № 1, 12 საათზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის დათა ზუკაკიშვილის მოძრავ ქონებას: საყინულეს, მაგიდებს, კასრებს და სხვ. შეფასებულს 885 მანეთად, კომუნალური ბანკის მე-4 შრომის კოლექტივის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის და მე 3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 28 იანვარს 1926 წ. თარიღით, № 585 10 აპრილს 1926 წ. გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 2402

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს ალმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 11 მაისს 1926 წ. 12 საათზე სახლი № 64, კომუნალურ ქუჩაზე მე-5 სამილიციო უბანში საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ასლან აბაზ-კული ოღლი შახვალადოვის სახლებს ამხ—ბა „ქართლი"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად, ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს 28 დეკემბერს 1925 წ. თარიღით № 124 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლის ძალით 500 მან. ეს სახლები არის ქვიტკირისა, დახურული თუნუქით, შესდგება ოთხ საცხოვრებელი ოთახიდან, სამზარეულო არა აქვს და აგებულია ქალაქის მიწაზე, ზომით 293 კვად. საჟ. ამ სახლს აქვს ხის აივნები. აწერილი სახლები შეფასებულია 2.000 მან. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის ალმასკომის კომუნალურ განყოფილების და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულწლოვან შვილებს ქ. თბილისში არავითარი უძრავი ქონება არ მოეპოვებათ და უნდა მისცეს ხელწერილი მასში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას. 2407

ექ. ე. ნ. მქინარიშვილი
სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 35
25—11

ექიმი
დ. ა. ბედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32
25—8

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914" ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე;
ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნიური მთის მზით პნეიმოტორაკსის და ტუბერკულოზის, რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

სათვალეების მორიგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—1

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—5
25—16

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
ოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
ფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავ რის ქუჩა).
25—7

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
ინგანახლა ავადმყოფების მიღება. ბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი იოსებ სიმონისძე შენგელიას სახელზე. ჩ. გ. 2400.

დავკარგე მატრიკული მოწმობა №.764 სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტიდან მიღებული ნიკოლოზ გარსევანისძე კენჭაძის სახელზე, ჩ. გ. 2403

დავკარგე მატრიკული მოწმობა №3248 სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტიდან მიღებული მიხეილ გარიგალისძე მალლაკელიძის სახელზე. ჩ. გ. 2404

დავკარგე სახლის წიგნაკი გიორგი გრიგორისძე ბიბილაშვილის, სახელზე ჩ. გ. 2401

დავკარგე თბილისის სალაროს სააღრიცხვო ფურცელი № 2059, მეხტი სადიკოვის სახელობაზე, ჩ. გ. 2393

დავკარგე პატენტი № 8798 და პირადობის მოწმობა კახაბრიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2392

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი სოლომონისძე ცაგარელის სახელზე, ჩ. გ. 2408

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი №418 ვასილ გიოს-ძე ქარუმიძის სახელზე, ჩ. გ. 2409

დავკარგე მატრიკული, მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური დარგიდან ალექსანდრე ლუარსაბისძე დეკანოსიძეს სახელზე ჩ. გ. 2397

დავკარგე პირადობის მოწმობა, საპენსიო წიგნაკი, საბუთები სტალინთან მუშაობის შესახებ, მეტრიკული ამონაწერი, 96 მ. ფული და სხვადასხვა საბუთები ილიანე შაფათავას სახელზე, ჩ. გ. 2389

დამეკარგა პარტიული წიგნაკი № 502456, მონადირეთა კავშირის საწევრო წიგნაკი, მოწმობა მილიციის უფროსის მონადირეთა იარაღის ტარების შესახებ დათიკო გრიგორის ძე ფსუტურის სახელზე, ჩ. გ. 2406

დავკარგე საფულე, პირადობის მოწ. № 76 უვადო, სამსახურის არტელ „ნადი"-საგან ალმასკომის ინსპექტორ სირაძის მიერ ავეჯეულობის აქტი. უქსის მიწერილობა მე-4 უბ. სასამართლოზე, ტანისამოსის შკაფის შესახებ. უწყება ალიმენტის დასაკმაყოფილებლად, 25 მანეთის მოცემული ხელწერილი ალიმენტის ანგარიშში და სხვადასხვა საბუთები ვალერიან იოსებისძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 2403

შინაური რწმუნების წერილს, ჩემ მიერ გაცემულს ვლადიმერ ვასილის ძე **შუბლაძის** სახელზე, საზიარო ქონების მოწესრიგების შესახებ, გაუქმებულად ვაცხადებ.

ილია თევდორეს-ძე შუბლაძე

2395

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68